სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესი და პირობები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესსა და პირობებს.

2. ეს წესი გამომდინარეობს საერთაშორისო კონვენციებიდან, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და სხვა ნორმატიული აქტებიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

ბ) საფასური – სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი;

გ) მომსახურება – დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება;

დ) სატრანსპორტო საშუალება – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებები;

ე) კატეგორია – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები;

ვ) ქვეკატეგორია – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები;“;

ზ) საგამოცდო სამსახური – სააგენტოს სტრუქტურული ერთეული ან თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც კანონმდებლობის ან სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტის საფუძველზე უფლება აქვს განახორციელოს ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებანი;

თ) გამომცდელი -საგამოცდო სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც იბარებს მართვის უფლების მისაღებ (თეორიულ ან/და პრაქტიკულ) გამოცდას;

ი) დაინტერესებული პირი – ფიზიკური პირი, რომელმაც მომსახურების გაწევის მოთხოვნით მიმართა სააგენტოს;

კ) მძღოლობის კანდიდატი – მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის მსურველი პირი, ან პირი რომელიც საგამოცდო სამსახურის მიერ დაშვებული იქნა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე;

ლ) მართვის მოწმობა – კანონმდებლობით დადგენილი ნიმუშის დოკუმენტი (მოწმობა), რომელიც ადასტურებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების ფაქტს;

მ) ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა – „სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 აპრილის №334 ბრძანებულებით დამტკიებული ფორმის მართვის მოწმობა;

ნ) მართვის მოწმობის დასტური – სათანადოდ დამოწმებული, უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სააგენტოში შესაცვლელად წარდგენილი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის გაცემის, მინიჭებული სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიისა და ქვეკატეგორიის, სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების, ასევე მართვის მოწმობის გამცემ ქვეყანაში მართვის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის (ასეთის არსებობის ან არარსებობის თაობაზე) შესახებ ინფორმაციას;

ო) სარეგისტრაციო ჩანაწერი – კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემები ან/და ინფორმაცია, რომელიც აისახება მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში;

პ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ამსახველი ცნობა (ფორმა №IV-100/ა);

ჟ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ამ წესის მიზნებისათვის ეს ტერმინი მოიცავს:

ჟ. ა) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში:

ჟ.ა.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას;

ჟ.ა.ბ) ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას – საქართველოს მოქალაქის პასპორტს ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემული მართვის მოწმობას;

ჟ.ბ) უცხოელთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა შემთხვევაში – ბინადრობის მოწმობა ან პასპორტი.

რ) ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვის თარიღი – დაინტერესებულ პირზე ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის (გარდა ამ წესის 47[1] და 51-ე მუხლებით დადგენილი წესით გაცემული ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობისა) ბოლო გაცემის თარიღი;

ს) პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა, რომელიც ამ წესის შესაბამისად დახურულ მოედანზე ან ავტოდრომზე ტარდება;

ტ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა, რომელიც ამ წესის შესაბამისად რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ტარდება;

უ) ტაქოგრაფი – ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პარამეტრების აღმრიცხველი საკონტროლო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპული შეთანხმებით (AETR) დადგენილ მოთხოვნებს.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

3. ამ წესში გამოყენებული ტერმინები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება, მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 3. სააგენტოს კომპეტენცია და მომსახურების გაწევის ზოგიერთი თავისებურებანი

1. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარებას, მართვის უფლების მინიჭებასა და გაუქმებას, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენას, აგრეთვე მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემასა (მათ შორის, შეცვლასა და აღდგენას) და გაუქმებას, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოებას, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობების შეცვლას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სააგენტო. სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საგამოცდო სამსახურების, გამომცდელებისა და სხვა უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

2. კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას სააგენტოს უფლება აქვს, მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), შეიტანოს სარეგისტრაციო ჩანაწერებში ან სხვა მონაცემებში ცვლილებები ან შესწორებები, გასცეს (გამოსცეს) ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა, აგრეთვე ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მომსახურების გაწევის თაობაზე მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ საგამოცდო სამსახურს, მიუხედავად საქართველოში მისი საცხოვრებელი ადგილისა.

4. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააგენტოს ერთ საგამოცდო სამსახურში დაწყებული მომსახურების გაგრძელება მოითხოვოს სააგენტო სხვა საგამოცდო სამსახურში. აღნიშნული გარემოებების არსებობისას საქმისწარმოებისათვის განსაზღვრული დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის საგამოცდო სამსახურების მიერ ურთიერთგაცვლის წესი განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის მიერ.

5. მომსახურების გაწევისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის პასპორტით ან საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ 2006 წლის 1 აპრილიდან გაცემული მართვის

მოწმობით შესაძლებელია დაინტერესებული პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დადგენა სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერების ამსახველ მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით.

6. საქმისწარმოების მიზნებისათვის, ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს, წარედგინება მატერიალური ფორმით. სააგენტო უფლებამოსილია არ მოითხოვოს დაინტერესებულ პირისგან დოკუმენტების მატერიალური ფორმით წარდგენა ან მიიღოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ელექტრონული სახით, თუ:

ა) სააგენტოს მიერ საქმისწარმოების მიზნებისათვის გამოყენებული სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მონაცემთა ბაზები შეიცავს წარმოსადგენ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას;

ბ) წარმოსადგენი დოკუმენტი ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება სააგენტოში;

გ) დაინტერესებული პირი, სააგენტოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით, უზრუნველყოფს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე ატვირთული, მატერიალურად წარმოსადგენი დოკუმენტის ელექტრონული ეგზემპლიარის ან ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის ასლის ხელმისაწვდომობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია დოკუმენტის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა.

6[1]. დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით წარდგენილი დოკუმენტების შემთხვევაში სააგენტოს ეხსნება მონაცემთა ბაზებში მოძიებული ინფორმაციის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე ატვირთული ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის გაკეთების ან ელექტრონული სახით შენახვის ვალდებულება.

7. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააგენტოს მიერ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტი მიიღება, თუ იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით.

8. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს ქართულად ნათარგმნი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლების სახით. საგამოცდო სამსახურის თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი სავალდებულო თარგმანის გარეშე, თუ იგი შედგენილია მისთვის გასაგებ ენაზე, ან თუ უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტში და მართვის მოწმობაში პირის პერსონალური მონაცემები ლათინური ტრანსლიტერაციითაცაა შესრულებული.

9. (ამოღებულია - 09.03.2021, №18).

10. (ამოღებულია - 09.03.2021, №18).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

მუხლი 3[1]. სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირის მობილური ტელეფონის ნომრის ასახვა

1. სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დამატებით შესაძლებელია აისახოს დაინტერესებული პირის მობილური ტელეფონის ნომერი.

2. დაინტერესებული პირის მიერ მობილური ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის გამჟღავნება ნებაყოფლობითია და ხორციელდება:

ა) ზეპირი ფორმით;

ბ) წერილობითი ფორმით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით მოთხოვნის წარდგენა ხორციელდება ე.წ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ან სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ჩატარებული საქმის წარმოების ფარგლებში. სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან/და დაადგინოს დაინტერესებული პირის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის ნამდვილობა და სიზუსტე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით მოთხოვნის წარდგენა ხორციელდება სააგენტოში განცხადების წარდგენის გზით. სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან/და დაადგინოს დაინტერესებული პირის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის ნამდვილობა და სიზუსტე.

5. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ზეპირი ან წერილობითი ფორმით მოითხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით გამჟღავნებული მობილური ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა ან წაშლა. მოთხოვნის წარდგენისათვის გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით მოთხოვნის სააგენტოში წარდგენამდე, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ასახული მობილური ტელეფონის ნომრის შესახებ მონაცემი ითვლება ნამდვილად და ზუსტად.

7. მობილური ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციის გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის ან წაშლის შესახებ დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ წარმოშობს მართვის მოწმობის შეცვლის ვალდებულებას.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში სააგენტო ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები ან აცნობოს დაინტერესებულ პირს უარის თქმის საფუძველი.

9. სააგენტოს მონაცემთა ბაზა არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზის შემადგენელი ნაწილი. სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ასახული მონაცემები/ინფორმაცია ელექტრონული სახით გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილ პირებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

თავი II. სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიები და ქვეკატეგორიები

მუხლი 4. სატრანსპორტო საშუალებათა კატეგორიები და ქვეკატეგორიები

1. სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) „AM“ – მოპედი და მსუბუქი კვადროციკლი;

ბ) „A“ – მოტოციკლი;

გ) „B“ – ავტომობილი (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც მიეკუთვნება „A“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს არ აღემატება; „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს; „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3 500 კგ-ს;

დ) „C“ – ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილისა, რომელიც მიეკუთვნება „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს; „C“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;

ე) „D“ – ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს აღემატება; „D“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;

ვ) „BE“ – „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს და ავტომობილის დაუტვირთავ მასას; „B“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს;

ზ) „CE“ – „C“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;

თ) „DE“ – „D“ კატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს;

ი) „T“ – სასოფლო-სამეურნეო მანქანა; „T“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;

კ) „S“ – სპეციალიზებული თვითმავალი მანქანა; „S“ კატეგორიის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან;

ლ) ტრამვაი.

2. „A“, „B“, „C“, „CE“, „D“ და „DE“ კატეგორიების ფარგლებში დაწესებული სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა სამართავად სავალდებულოა შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება, იყოფა შემდეგ ქვეკატეგორიებად:

ა) „A1“ – მოტოციკლი, რომლის ძრავის მუშა მოცულობა არ აღემატება 125 სმ^3-ს, მაქსიმალური სიმძლავრე – 11 კვტ-ს, ხოლო სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი – 0,1 კვტ/კგ-ს (მსუბუქი მოტოციკლი);

ბ) „A2“ – მოტოციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 35 კვტ-ს, ხოლო სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი – 0,2 კვტ/კგ-ს;

გ) „B1“ – მოტორიზებული ტრიციკლი; კვადროციკლი;

დ) „C1“ – ავტომობილი (გარდა იმ ავტომობილისა, რომელიც მიეკუთვნება „D“ კატეგორიას), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3 500 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება 7 500 კგ-ს; „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;

ე) „D1“ – ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს; „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს;

ვ) „C1E“ – „C1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს;

ზ) „D1E“ – „D1“ ქვეკატეგორიის ავტომობილი, გადაბმული მისაბმელთან, რომელიც არ არის განკუთვნილი მგზავრთა გადასაყვანად და რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 750 კგ-ს, მაგრამ არ აღემატება ავტომობილის დაუტვირთავ მასას, ხოლო ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს.“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 4^1. „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს

მიერ „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 16 წლიდან.

3. ნებისმიერი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა ამის შესაძლებლობას, აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

4. მოთხოვნის შემთხვევაში, „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭება აგრეთვე იმ პირს, რომელიც „A“ კატეგორიის/„A1“ ან A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვების მიზნით იქნა დაშვებული და წარმატებით ჩააბარა ამ წესის 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა, მიუხედავად იმისა, მოთხოვნის მომენტისათვის მინიჭებული აქვს თუ არა ამ პირს „A“ კატეგორიის/„A1“ ან A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

5. „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად სავალდებულო არ არის ამ წესის 21[1] მუხლით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის რიგში ადგილის დაჯავშნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 5. „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას:

ა) პირი, რომელსაც მოთხოვნის მომენტისათვის მოპოვებული არ აქვს „A1“ ან „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე;

ბ) მოთხოვნის მომენტისათვის „A1“ ან „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირი, მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

2. „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს:

ა) 21 წლიდან - თუ პირს ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღების მოთხოვნამდე არანაკლებ 2 წლით ადრე მიენიჭა „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

ბ) 24 წლიდან, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოება.

3. „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

დ) ტრიციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე აღემატება 15 კვტ-ს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 6. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას:

ა) მოთხოვნის მომენტისათვის „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების არმქონე პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ) მოთხოვნის მომენტისათვის „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 17 წლიდან.

3. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს:

ა) ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) ,,B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) თვლიანი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 4 250 კგ-ს, აგრეთვე აღნიშნული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან, თუ ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 4 250 კგ-ს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 6[1]. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას:

ა) მოთხოვნის მომენტისათვის „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების არმქონე პირი მოიპოვებს:

ა.ა) მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის, ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი და მეორე ეტაპის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ა.ბ) მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის, მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპისა და ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ) მოთხოვნის მომენტისათვის „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირი მოიპოვებს:

ბ.ა) ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი და მეორე ეტაპების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი

ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ.ბ) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპისა და ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 17 წლიდან.

3. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს არ აქვს მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

4. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვებით პირს არ ენიჭება ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

5. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მინიჭების დამადასტურებელ მართვის მოწმობაში აისახება ამ წესის 43-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო კოდი.

6. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირი მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს:

ა) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში;

ბ) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში;

გ) ამ წესის შესაბამისად „C“ ან „D“ კატეგორიის მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაში;

დ) ამ ბრძანებით განსაზღვრული წესით „C1“ ან „D1“ ქვეკატეგორიების მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაში.

7. ამ მუხლით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება ამ წესის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 7. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ (ამ ვადაში არ ჩაითვლება მართვის უფლების შეჩერების დრო).

2. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 21 წლიდან.

4. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) თვლიანი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს, აგრეთვე აღნიშნული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან, თუ ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 12 000 კგ-ს.

5. „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს მართვის მოწმობის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ უფლება აქვს დადგენილი წესით გადაიყვანოს მგზავრები სატვირთო ავტომობილის ძარით, თუ მგზავრთა რაოდენობა, გარდა მძღოლისა, 8-ს არ აღემატება.

6. „C“ და „D“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მიღებიდან სამი წლის შემდეგ უფლება აქვს, დადგენილი წესით მოწყობილი სატვირთო ავტომობილის ძარით გადაიყვანოს 8-ზე მეტი მგზავრი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 8. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ (ამ ვადაში არ ჩაითვლება მართვის უფლების შეჩერების დრო).

1[1]. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად საჭირო, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე.

2. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 24 წლიდან.

4. „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

5. სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელობის შუამდგომლობის საფუძველზე, სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილი მინიმალური ასაკი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არანაკლებ 19 წლისა.

შენიშვნა (ამოღებულია - 04.12.2021, №72).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 07.02.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 9. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

3. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლიდან.

4. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 9[1]. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის მინიჭებული აქვს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს:

ა) ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი და მეორე ეტაპების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპისა და ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისად შეზღუდული „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლის ასაკიდან.

4. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს უფლება არ აქვს მართოს მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

5. მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობაში აისახება ამ წესის 43-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო კოდი.

6. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირი მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს:

ა) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში;

ბ) ამ ბრძანებით განსაზღვრული წესით „C“ ან „D“ კატეგორიის მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაში;

გ) ამ წესის შესაბამისად „C1“ ან „D1“ ქვეკატეგორიების მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაში.

7. ამ მუხლით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება ამ წესის 33-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 10. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

3. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 21 წლიდან.

4. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

5. „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს, რომელსაც აქვს „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც, აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 11. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

3. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 24 წლიდან.

4. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

5. „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს, რომელსაც აქვს „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც, აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

6. შესახსრებული ავტობუსის მართვა დასაშვებია, მხოლოდ “DE” კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირის მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 12. „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 17 წლიდან.

3. „T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი13. „S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლიდან.

„S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 14. „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 21 წლიდან.

3. „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 15. “A1” ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. “A1” ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 17 წლიდან.

3. „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) ტრიციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 15 კვტ-ს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 15[1]. „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას:

ა) პირი, რომელსაც მოთხოვნის მომენტისათვის არ აქვს მოპოვებული ,,A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ ,,A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე;

ბ) მოთხოვნის მომენტისათვის ,,A1“ ქვეკატეგორიის მქონე პირი, მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ ,,A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

2. „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლიდან.

3. „A2“ ქვეკატეგორიის ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) ,,A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

გ) ტრიციკლი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 15 კვტ-ს.

შენიშვნა: „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაკეთებულია/წარმოებულია სატრანსპორტო საშუალების ბაზაზე, რომლის სიმძლავრე ორჯერ მეტად აღემატება მის სიმძლავრეს, მიიჩნევა ,,A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 16. „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 16 წლიდან.

3. „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს ,,AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 17. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებთა მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლიდან.

4. 4. „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) თვლიანი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორი, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 8 250 კგ-ს, აგრეთვე აღნიშნული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, გადაბმული მისაბმელთან, თუ ასეთი შემადგენლობის საერთო ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 8 250 კგ-ს.

5. სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელობის შუამდგომლობის საფუძველზე, სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც მოთხოვნის მომენტისათვის არ გააჩნია „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, შესაძლოა „B“ კატეგორიისა და „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭოს ერთდროულად. ერთდროულად „B“ კატეგორიისა და „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას სამხედრო მოსამსახურე მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები შესაბამისი თეორიული გამოცდის, აგრეთვე „B“ კატეგორიისა და „C1“ ქვეკატეგორიის პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „B“ კატეგორიისა და „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე. ამ პუნქტით განსაზღვრული პირი „C1“ ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ „B“ კატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს თეორიული გამოცდის მოქმედების ვადისა, ამასთან თუ პირმა ვერ ჩააბარა „C1“ ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა, გაიცემა „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობა.

6. სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც მინიჭებული აქვს „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნამდე, აგრეთვე უფლება აქვს:

ა) მართოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „C“ და „CE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებები;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ მოწყობილი ძარით გადაიყვანოს 8-ზე მეტი მგზავრი.

შენიშვნა (ამოღებულია - 04.12.2021, №72)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 07.02.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი18. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებიდან ერთი წლის შემდეგ (ამ ვადაში არ ჩაითვლება მართვის უფლების შეჩერების დრო).

1[1]. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად საჭირო, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე.

2. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 21 წლიდან.

4. „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 19. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

3. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 18 წლიდან.

4. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

5. „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს, რომელსაც აქვს „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც, აგრეთვე უფლება აქვს, მართოს „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 20. „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება

1. „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც მისი მიღების მოთხოვნის მომენტისათვის აქვს „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2. „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას პირი მოიპოვებს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს

მიერ „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწობის გაცემის საფუძველზე.

3. „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება პირს შეიძლება მიენიჭოს 21 წლიდან.

4. „D1E“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს აგრეთვე უფლება აქვს, მართოს:

ა) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

თავი III. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდა

მუხლი 21. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პირობის შესახებ

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა შესაბამისი მართვის უფლების მისაღები (თეორიული ან/და პრაქტიკული) გამოცდა.

2. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე პირი დაიშვება, თუ:

ა) მან გაიარა სათანადო მომზადება მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

ბ) აკმაყოფილებს მოთხოვნილი კატეგორიის ან ქვეკატეგორიის მართვის უფლების მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) შესრულებული აქვს მოთხოვნილი კატეგორიის ან ქვეკატეგორიის მართვის უფლების მინიჭებისათვის ამ წესით განსაზღვრული მინიმალური ასაკი;

დ) აღმოფხვრილია მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის საფუძველი და გასულია მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ვადა (გარდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 5^1 პუნქტის ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის შენიშვნის მე-5 და მე-6 ნაწილების და ამ წესის 54-ე მუხლის 23-ე-25-ე პუნქტების შესაბამისად მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით პირის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების შემთხვევისა);

ე) არ არსებობს მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმების) საფუძველი;

ვ) მოთხოვნის მომენტისათვის არ გააჩნია მოთხოვნილი კატეგორიის ან ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

$ვ^1$) მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევაში, მას წინასწარ აქვს დაჯავშნილი ადგილი სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის რიგში ამ წესის 21^1 მუხლის შესაბამისად (მხოლოდ აღნიშნული გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის შემთხვევაში);

$ვ^2$) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დასაშვებად, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევაში, მას წინასწარ აქვს დაჯავშნილი ადგილი სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის რიგში ამ წესის 21^1 მუხლის შესაბამისად (მხოლოდ აღნიშნული გამოცდის ჩაბარების აუცილებლობის შემთხვევაში);

ზ) აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

3. შეჩერებული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენისათვის მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა მხოლოდ ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 13.05.2019წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 21[1]. მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდისა და პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის რიგში ადგილის დაჯავშნა

1. მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე (გარდა „AM" კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდისა), ასევე პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დასაშვებად მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია რიგში დაჯავშნოს ადგილი (შემდგომ – რიგის დაჯავშნა).
2. რიგის დაჯავშნის მიზანია მძღოლობის კანდიდატის მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე ან პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე შესაძლო დაშვების დროის განსაზღვრა. რიგის დაჯავშნა შესაძლებელია განხორციელდეს:
ა) სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადებით;
ბ) ვებგვერდის, მობილური აპლიკაციის ან სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით;
გ) სააგენტოს დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.
3. რიგის დასაჯავშნად სავალდებულოა, მძღოლობის კანდიდატი გაეცნოს სააგენტოს მიერ მომზადებულ რიგის დაჯავშნის წესებს და მასზე და სააგენტოს მიერ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა. თანხმობის გაცხადებად მიიჩნევა მობილურ აპლიკაციაში, ვებგვერდზე, სწრაფი გადახდის ტერმინალში ან სააგენტოს ელექტრონული პროგრამის შესაბამის ფანჯარაში შესაბამისი თანხმობის ღილაკის მონიშვნა. რიგის დაჯავშნის წესები არ საჭიროებს მასზე ხელმოწერის შესრულებას ან/და შტამპის დასმას.
4. თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მძღოლობის კანდიდატმა რიგის დასაჯავშნად უნდა წარადგინოს (მიუთითოს) შემდეგი ინფორმაცია (დოკუმენტები):
ა) მძღოლობის კანდიდატის პერსონალური მონაცემები, კერძოდ:
ა.ა) მძღოლობის კანდიდატის პირადი ნომერი, ხოლო იმ პირის შემთხვევაში, რომელზეც საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული არ არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;
ა.ბ) მობილური ტელეფონის ნომერი;
ბ) სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, სადაც მძღოლობის კანდიდატს სურს მომსახურების მიღება (სტრუქტურული ერთეულის არჩევა ხდება ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებული ჩამონათვალიდან);
გ) დრო, როდესაც სურს მძღოლობის კანდიდატს მომსახურების მიღება (დროის არჩევა ხდება ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებულ კალენდარში არსებული თავისუფალი დროიდან);
დ) სააგენტოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია;
ე) მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადებით რიგის დაჯავშნის შემთხვევაში);
ვ) სატრანსპორტო საშუალების გადაცემათა კოლოფი (მექანიკური/ავტომატური), რომელზეც სურს მძღოლობის კანდიდატს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარება.
5. ვებგვერდის, მობილური აპლიკაციის ან სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით რიგის დაჯავშნის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატის მიერ ზუსტად და სრულად უნდა შეივსოს ველებში მითითებული შესაბამისი ინფორმაცია (მონაცემები). ამასთან, მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია, ელექტრონული სისტემის მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთში ელექტრონულად გადაიხადოს სააგენტოს მომსახურების საფასური, ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურად გენერირებული საფასურის გადახდის ველის მეშვეობით.

6. შესაბამის გამოცდაზე გამოცხადებისას მძღოლობის კანდიდატის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შესაბამის საფასურსა და მის მიერ გადახდილ/გადასახდელ თანხას შორის სხვაობა და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინოს საგამოცდო სამსახურში, წინააღმდეგ შემთხვევაში მძღოლობის კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება.

7. რიგის დაჯავშნისათვის ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტების წარდგენის/მითითების საფუძველზე, სააგენტო რიგის დაჯავშნის ან დაჯავშნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას მძღოლობის კანდიდატს აცნობებს ზეპირი ან წერილობითი (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით) ფორმით.

8. მძღოლობის კანდიდატის მიერ დაჯავშნილ დროს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რიგის შემდგომი დაჯავშნა დაიშვება ამ წესის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვის გათვალისწინებით, ხოლო მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რიგის შემდგომი დაჯავშნა დაიშვება (თეორიული გამოცდის დღედ შეიძლება არჩეულ იქნეს) არაუადრეს წინა რიგის დაჯავშნის დღის მე-7 კალენდარული დღისა. ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება, თუ მძღოლობის კანდიდატი გამოცდაზე გამოცხადების დრომდე 72 საათით ადრე გააუქმებს ჯავშანს ან შეცვლის ჯავშნის დროს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჯავშნის გაუქმების ან შეცვლის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული სისტემის მიერ გენერირებულ რიგის დაჯავშნის კალენდარზე სააგენტო ასახავს 24 საათის განმავლობაში.

10. რიგის დაჯავშნა არ განხორციელდება:

ა) რიგის დაჯავშნის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) თუ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგის დაჯავშნის განუხორციელებლობის ან პირის შესაბამის გამოცდაზე დაუშვებლობის საფუძველი.

11. სააგენტო უფლებამოსილია მძღოლობის კანდიდატის მიერ რიგის დაჯავშნის მიზნით ისარგებლოს როგორც სააგენტოს, ასევე სხვა დაწესებულებების, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზებით და მძღოლობის კანდიდატის თანხმობის გარეშე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 13.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 22. მძღოლთა მოსამზადებელი დაწესებულებები

1. გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტითა და ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირის „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების შემთხვევისა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც მძღოლთა მოსამზადებელ საჯარო ან კერძო დაწესებულებაში (შემდგომში – მძღოლთა მოსამზადებელი დაწესებულება) გაიარა შებამისი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მძღოლთა მომზადების თეორიული და პრაქტიკული სწავლების სრული კურსი.

2. მძღოლთა მოსამზადებელი დაწესებულება ვალდებულია ფუნქციონირების დაწყებისთანავე წერილობით მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო

პროგრამების შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს მას სწავლების გავლის დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში.

3. მძღოლთა მოსამზადებელმა დაწესებულებამ სწავლების დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, ჯგუფის რეგისტრაციისათვის სააგენტოში უნდა წარმოადგინოს განაცხადი და მსმენელთა სიები.

4. მძღოლთა მოსამზადებული დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია არ აღიაროს მის მიერ გაცემული სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი და უარი განაცხადოს მძღოლობის კანდიდატის გამოცდაზე დაშვებაზე.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები არ ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით და ახორციელებს „AM“, „A“ ან „B“ კატეგორიის/„A1“, „A2“ ან „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის სწავლებას.

6. მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება ამ დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა, რომელიც მოქმედებს უვადოდ.

7.(ამოღებულია 13.05.2019, №40)

8. „B“ კატეგორიის/„A1“, „A2“ ან „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე შეიძლება დაიშვას 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელსაც არ გაუვლია სათანადო მომზადება მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში. ამ პუნქტით დადგენილი წესი ვრცელდება აგრეთვე 21 წლის ასაკს მიღწეული პირის „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაშვებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 13.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 23. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობის დადგენა

1. ამ წესით განსაზღვრულ, წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად პირი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა:

ა) „A“, „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„A1“, „A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დასაშვებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის მიერ სააგენტოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ბოლო წარდგენიდან არ არის გასული 400 კალენდარული დღე და აღნიშნული ცნობით დასტურდება მოთხოვნილი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;

ბ) „AM“, „T“, „S“, „ტრამვაის“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დასაშვებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის მიერ სააგენტოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ბოლო წარდგენიდან არ არის გასული 400 კალენდარული დღე და აღნიშნული ცნობით დასტურდება მოთხოვნილი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;

გ) მართვის მოწმობის შესაცვლელად ან დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად, თუ:

გ.ა) დაინტერესებული პირი ითხოვს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სატრანსპორტო საშუალებათა მართვაზე მისთვის დაწესებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეზღუდვების მოხსნას, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ რაიმე მოწყობილობის ტარებასთან

ან/და სატრანსპორტო საშუალების ადაპტაციასთან, ან/და რაიმე ქმედების განხორციელების შეზღუდვასთან;

გ.ბ) დაინტერესებული პირი ითხოვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების აღდგენას, რომელიც შეჩერებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

გ.გ) დაინტერესებული პირი ითხოვს მისთვის მინიჭებული იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენას, რომელიც შეჩერებულია ამ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის (მხოლოდ ამ კატეგორიისათვის ან/და ქვეკატეგორიისათვის) გამო;

გ.დ) შესაცვლელ ან აღსადგენ მართვის მოწმობას ამოწურული აქვს მოქმედების საერთო ვადა ან დაკარგული აქვს იურიდიული ძალა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოების გამო;

გ.ე) დაინტერესებული პირი 65 ან მეტი წლისაა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის მიერ სააგენტოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ბოლო წარდგენიდან არ არის გასული 180 კალენდარული დღე და აღნიშნული ცნობით დასტურდება შესაცვლელად ან აღსადგენად მოთხოვნილი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;

გ.ვ) შესაცვლელი ან აღსადგენი მართვის მოწმობა გაცემულია 2012 წლის 1 აგვისტომდე;

გ.ზ) დაინტერესებული პირი მართვის მოწმობის ამ წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადით გაცემის წინააღმდეგია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის მიერ სააგენტოში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ბოლო წარდგენიდან არ არის გასული 400 კალენდარული დღე და აღნიშნული ცნობით დასტურდება შესაცვლელად ან აღსადგენად მოთხოვნილი კატეგორიისა და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა;

დ) ამ წესის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით შესაცვლელად;

ვ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

1[1]. თუ პირის მიერ წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მიხედვით, პირი აკმაყოფილებს „C“, „D“, „CE“, „DE“ ან ტრამვაის კატეგორიის/„C1“, „D1“, „C1E“ ან „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებს, ასეთი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა აგრეთვე მიიჩნევა პირის „AM“, „A“, „B“, „BE“, „S“, „T“ კატეგორიების/„A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობად (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში ასახული ექიმ-სპეციალისტის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება დაიშვას მხოლოდ ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან/და თუ პირი სატრანსპორტო საშუალების სამართავად შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ რაიმე მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში).

2. მომსახურებათა გაწევის ნებისმიერ ეტაპზე საგამოცდო სამსახურის თანამშრომელს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას მოითხოვოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, სააგენტო და საგამოცდო სამსახურის თანამშრომელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის თაობაზე ეჭვის წარმოშობის საფუძველი.

4. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არ მიიღება, თუ მისი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 180 კალენდარული დღე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 24. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე პირის დაშვება

1. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდა (შემდგომ – მართვის უფლების მისაღები გამოცდა) შედგება თეორიული ან/და ერთ- ან ორეტაპიანი პრაქტიკული გამოცდისაგან.

2. „A“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„A1“, „A2“, „B1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა მოიცავს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპს.

[2. „A“ კატეგორიის/„A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა მოიცავს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპს. ***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

3. „B“, „C“, „D“, „BE“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა მოიცავს პრაქტიკული გამოცდის პირველ და მეორე ეტაპებს.

[3. „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა მოიცავს პრაქტიკული გამოცდის პირველ და მეორე ეტაპებს.***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

4. მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დასაშვებად, მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო სამსახურში უნდა წარადგინოს:

ა) ელექტრონული ან მატერიალური სახის განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება იმ სატრანსპორტო საშუალების კატეგორია ან ქვეკატეგორია, რომლის მართვის უფლების მოპოვებაც სურს;

ბ) ფოტოსურათი (ფოტოსურათის გადაღება ხორციელდება საგამოცდო სამსახურში, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი არ მოიცავს აღნიშნულ ინფორმაციას;

ე) მომსახურების გაწევისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში სათანადო მომზადების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

ზ) მართვის მოწმობა:

ზ.ა) თუ მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების მოთხოვნამდე მძღოლობის კანდიდატს უკვე მოპოვებული აქვს სხვა კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მართვის უფლება და გაცხადებული არ აქვს მართვის მოწმობის დაკარგვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, დოკუმენტების მიღების შემდგომ, პირს უბრუნდება წარდგენილი მართვის მოწმობა და მისი განმეორებით ჩასაბარებლად წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ ახალი მართვის მოწმობის გაცემის საფუძვლის წარმოშობისას;

ზ.ბ) თუ ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაშვების მოთხოვნამდე მძღოლობის კანდიდატს მართვის მოწმობა არ აქვს ჩამორთმეული ან დაკარგული და გაცხადებული არ აქვს მართვის მოწმობის დაკარგვის თაობაზე;

თ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ამ წესის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით;

ი) ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის მე-6 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში დაშვებისას მძღოლობის კანდიდატის მიერ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის სააგენტოში წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოში აღნიშნული გარემოებების დადგენა შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით;

კ) ამ წესით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.

5. თეორიულ გამოცდაზე და პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დასაშვებად მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ყოველ ჯერზე განახორციელოს რიგის დაჯავშნა ამ წესის 21[1] მუხლით დადგენილი წესით.

6. მძღოლობის კანდიდატის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, საგამოცდო სამსახურის თანამშრომელი ახორციელებს წარდგენილი დოკუმენტებისა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის შემოწმებას. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის უფლების მინიჭების შემზღუდავი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატს ენიჭება უნიკალური ნომერი და ხორციელდება მისი რეგისტრაცია ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

7. თუ ამ წესიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, მძღოლობის კანდიდატის განცხადება და მის საფუძველზე განხორციელებული ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია იურიდიულ ძალას ინარჩუნებს მოთხოვნილი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისთვის მინიჭებამდე.

8. პირის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ ან/და პრაქტიკულ გამოცდაზე, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაც მას მინიჭებული არ აქვს საქართველოში კომპეტენტური ორგანოს მიერ და თუ მის მიერ მოთხოვნილი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების წესი ითვალისწინებს მის მიერ მითითებული გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №988- ვებგვერდი, 31.12.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 13.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 24[1]. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებული ზოგადი წესები

1. მართვის უფლების მისაღებ გამოცდას ატარებს საგამოცდო სამსახური, გამომცდელის მეშვეობით. გამოცდის მსვლელობას ზედამხედველობს საგამოცდო სამსახურის უფროსი.

2. გამომცდელი შეიძლება იყოს მხოლოდ სააგენტოს თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამასთან, პრაქტიკული გამოცდის გამომცდელს უნდა ჰქონდეს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელსაც თვითონ იბარებს.

3. დაუშვებელია გამომცდელი მუშაობდეს მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში.

4. გამომცდელს ეკრძალება მძღოლობის კანდიდატის ყურადღების გადატანა საგამოცდო პროცესიდან ლაპარაკით ან რაიმე ქმედებით, რომელიც არ უკავშირდება საგამოცდო პროცესს, ასევე – მინიშნება ან რაიმე სხვა სახის დახმარების გაწევა.

5. გამომცდელი ვალდებულია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას მუდმივად იყოს მობილიზებული და მიიღოს გონივრული ზომები მძღოლობის კანდიდატის, საკუთარი და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ბ) არ გასცეს მძღოლობის კანდიდატის შეცდომაში შემყვანი ან დამაბნეველი მითითებები;

გ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები.

6. მართვის უფლების მისაღები გამოცდის მსვლელობისას, უშუალოდ საგამოცდო ოთახში, საგამოცდო მოედანზე (ავტოდრომი ან დახურული მოედანი) ან საგამოცდო ავტომობილში სააგენტოს თანამშრომლისა და მძღოლობის კანდიდატების გარდა სხვა პირთა დასწრება აკრძალულია.

7. მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის ნივთები;

გ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები, გამომცდელის წინასწარი თანხმობით.

8. მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის შეტანა;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების (გარდა მობილური ტელეფონისა) ან/და ფოტო/ვიდეოაპარატურის შეტანა;

გ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლებისა და სხვა მასალების გამოყენება;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა მძღოლობის კანდიდატებისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) საგამოცდო ავტომობილის ან თეორიული გამოცდის ჩაბარების ადგილის გამომცდელის ნებართვის გარეშე დატოვება;

ვ) გამოცდაზე ნებადართული ნივთების გარდა სხვა ნივთების შეტანა;

ზ) გამომცდელის მითითების გარეშე მართვის უფლების მისაღები გამოცდის დაწყება;

თ) თეორიულ გამოცდაზე, საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება ან საგამოცდო ოთახში დარჩენა, ხოლო პრაქტიკული გამოცდის დასრულების შემდეგ გამომცდელის თანხმობის/მოთხოვნის გარეშე საგამოცდო ავტომობილში დარჩენა;

ი) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში გამოცდაზე გამოცხადება;

კ) საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საგამოცდო პროცესის შეფერხება, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფა ან სხვა მსგავსი ქმედება;

ლ) შესაბამისი მძღოლობის კანდიდატის ნაცვლად გამოცდაზე სხვა მძღოლობის კანდიდატის ან მესამე პირის გასვლა (საგამოცდო სამსახურის შეცდომაში შეყვანის გზით ან მის გარეშე);

მ) გამომცდელის მითითების გარეშე პრაქტიკული გამოცდით გათვალისწინებული ელემენტის ან მოქმედების არათანმიმდევრულად შესრულება ან პრაქტიკული გამოცდით გაუთვალისწინებელი ელემენტის ან მოქმედების შესრულება;

ნ) საგამოცდო მარშრუტიდან გადახვევა, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ო) მძღოლობის კანდიდატის მიერ გამოცდის მიმდინარეობის ფოტო/ვიდეო გადაღება ან/და აუდიო ჩაწერა;

პ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც აფერხებს გამოცდის მსვლელობას ან მიმართულია გამოცდის პროცესის ჩაშლისკენ.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევის/დარღვევის მცდელობის შემთხვევაში, გამომცდელს უფლება აქვს, პირი არ დაუშვას მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე ან გააძევოს იგი გამოცდიდან. ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების მისაღები გამოცდა არ იწყება, ხოლო დაწყებული გამოცდა წყდება და ხდება მართვის უფლების მისაღები შესაბამისი გამოცდიდან გაძევების საფუძვლით მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაცია, ხოლო მომსახურება ითვლება გაწეულად.

9[1]. ამ მუხლის მე-8 პუნქტის:

ა) „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვის ფარულად დარღვევის/ფარულად დარღვევის მცდელობის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება გამომცდელის მიერ მიეთითება მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილებაში;

ბ) „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის საგამოცდო სამსახურის შეცდომაში შეყვანის გზით დარღვევის/დარღვევის მცდელობის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება გამომცდელის მიერ მიეთითება მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილებაში.

10. მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია:

ა) ამ წესის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები (გარდა ამ წესით განსაზღვრული შემთხვევებისა) წარადგინოს:

ა.ა) თეორიულ გამოცდაზე დაშვებამდე, თუ:

ა.ა.ა) მართვის უფლების მოსაპოვებლად ან უფლების აღსადგენად სავალდებულოა მართვის უფლების მისაღები როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება;

ა.ა.ბ) მართვის უფლების მოსაპოვებლად ან უფლების აღსადგენად სავალდებულოა მართვის უფლების მისაღები მხოლოდ თეორიული გამოცდის ჩაბარება;

ა.ბ) პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაშვებამდე, თუ მართვის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა მართვის უფლების მისაღები მხოლოდ პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის ან პირველი და მეორე ეტაპის ჩაბარება;

ა.გ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვებამდე, თუ მართვის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა მხოლოდ მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარება;

ბ) პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ვადაზე ადრე დაშვების (დაჩქარებული მომსახურება) მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინოს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაჩქარებული წესით დაშვებამდე;

გ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე ვადაზე ადრე დაშვების (დაჩქარებული მომსახურება) მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინოს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაჩქარებული წესით დაშვებამდე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 02.04.2024წ.

მუხლი 24². სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლის ვადები

1. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კატეგორიის ან ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა მართვის უფლების მისაღები:

ა) როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, მძღოლობის კანდიდატს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა თეორიული გამოცდა, უფლება აქვს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე გავიდეს თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დამაკმაყოფილებელი შედეგის მიუღებლობის შემთხვევაში, თეორიულ გამოცდაზე მიღებული დამაკმაყოფილებელი შედეგი კარგავს იურიდიულ ძალას;

ბ) პრაქტიკული გამოცდის, როგორც პირველი, ასევე მეორე ეტაპის ჩაბარება, მძღოლობის კანდიდატს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი, უფლება აქვს პრაქტიკულ გამოცდის მეორე ეტაპზე გავიდეს პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან 365 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დამაკმაყოფილებელი შედეგის მიუღებლობის შემთხვევაში, თეორიულ გამოცდასა და პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მიღებული დამაკმაყოფილებელი შედეგი კარგავს იურიდიულ ძალას.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირი ამავე კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ მორიგი პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაიშვება ბოლო უარყოფითი შეფასების მიღებიდან არაუადრეს მე-7 კალენდარული დღისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაშვების ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.

2¹. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე პირი დაიშვება (პირველადი გასვლა) რიგის ჯავშნით განსაზღვრულ დროს, მაგრამ პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარებიდან არაუადრეს 15 კალენდარული დღისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვების ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ¹“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.

3. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პირი ამავე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები მორიგი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება ბოლო უარყოფითი შეფასების მიღებიდან არაუადრეს 30 კალენდარული დღისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვების ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის

დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაზე.

4. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შენიშვნის 9[1] პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, იმავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების საფასური მოიცავს:

ა) თუ შესაბამისი კატეგორიის ან ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება − დაინტერესებული პირის თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად დაშვებას, ხოლო მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში − პირის პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაშვებას, მაგრამ არაუგვიანეს თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებიდან 30 კალენდარული დღისა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე პირველივე გასვლისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ყოველ შემდგომ დაშვებას, მაგრამ არანაკლებ უარყოფითი შეფასების მიღებიდან მე-7 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30-ე კალენდარული დღისა.

5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პირი რომელმაც პირველივე ჯერზე წარმატებით ჩააბარა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა, იმავე ქვეპუნქტით განსაზღრული შეღავათით სარგებლობს:

ა) პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე პირველადი დაშვებისას, მაგრამ არაუგვიანეს თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებიდან 30 კალენდარული დღისა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე პირველივე გასვლისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ყოველი შემდგომი დაშვებისას, მაგრამ არანაკლებ უარყოფითი შეფასების მიღებიდან მე-7 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 30-ე კალენდარული დღისა.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვების წესი არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურებაზე.

7. დაუშვებელია ერთი კალენდარული დღის განმავლობაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ერთზე მეტჯერ გაწევა.

8. დაუშვებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ძ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების 7 კალენდარული დღის განმავლობაში ერთზე მეტჯერ გაწევა, ასევე ამავე მომსახურების პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე უარყოფითი შეფასების მიღების დღეს გაწევა.

9. სააგენტო უფლებამოსილია მართვის უფლების მისაღები გამოცდის მიზნებისათვის (მათ შორის, შეფასების მიზნით) განახორციელოს გამოცდის მიმდინარეობის ფოტო/ვიდეო გადაღება ან/და ვიდეო/აუდიო მონიტორინგი/ჩაწერა; აღნიშნულის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების

მიზნით, სააგენტო ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.

10. აკრძალულია ერთსა და იმავე დღეს, ერთი და იმავე მძღოლობის კანდიდატის დაშვება მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე და ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ ან „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე.

11. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

12. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლებაჩამორთმეული პირი მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაიშვება უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ ექიმი-სპეციალისტების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობისა (ფორმა №IV-100/ა) და სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის სააგენტოში წარდგენის შემთხვევაში.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ მიიღება, თუ მისი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 30 კალენდარული დღე.

14. ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატი დაიშვება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის მე-5 და მე-6 ნაწილებით განსაზღვრულ ვადებში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის მიმდინარეობისას არაუმეტეს ერთხელ, გარდა ამ წესის 54-ე მუხლის 25-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

15. თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაშვებული მძღოლობის კანდიდატისათვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის გაზრდის, ჩამორთმევის ან მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, პრაქტიკულ გამოცდაზე პირის შემდგომი დაშვება წყდება.

16. ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დასაშვებად მძღოლობის კანდიდატს არ მოეთხოვება ამ წესის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, ხოლო უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული და საქართველოს მიერ აღიარებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისას – აგრეთვე იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარდგენა.

17. უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული და საქართველოს მიერ აღიარებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისას ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაშვება არ განხორციელდება, თუ გასულია ამ წესის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, აგრეთვე 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან 1^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

18. სააგენტოს თანხმობის გარეშე, სააგენტოს ტერიტორიაზე დაუშვებელია მართვის უფლების მისაღები გამოცდის მიმდინარეობის ფოტო/ვიდეო გადაღება ან/და აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

19. ამ მუხლის პირველი და 21 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დენა იწყება მძღოლობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების დღიდან, ხოლო თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან/და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

20. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დენა იწყება მძღოლობის კანდიდატის მიერ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდის ბოლო უარყოფითი შეფასების დღიდან, ხოლო თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან/და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 19 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 20.04.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 3 მაისის ბრძანება №45 - ვებგვერდი, 04.05.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 24³. საგამოცდო ავტომობილი

1. მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე გამოიყენება მხოლოდ მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე (გარდა „B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისა) მარცხენა საჭიანი (გარდა მოტოციკლისა და კვადროციკლისა) სატრანსპორტო საშუალება (შემდგომ – საგამოცდო ავტომობილი), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – მოტოციკლი ეტლის გარეშე, რომლის დაუტვირთავი მასა აღემატება 180 კგ-ს (დასაშვებია დაუტვირთავი მასის მინიმალური მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 კგ-ით გადახვევა), ხოლო მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს არანაკლებ 50 კვტ-ს. ამასთან, შიგაწვის ძრავის მქონე მოტოციკლის შემთხვევაში, ძრავის მუშა მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600 სმ^3-ს, ხოლო ელექტროძრავიანი მოტოციკლის შემთხვევაში, სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0,25 კვტ/კგ-ს;
ბ) „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ოთხთვლიანი „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე შეადგენს არანაკლებ 100 კმ/სთ -ს;
გ) „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა შეადგენს არანაკლებ 12000 კგ-ს, სიგრძე – არანაკლებ 8 მ-ს, სიგანე – არანაკლებ 2,40 მ-ს, ხოლო კონსტრუქციული სიჩქარე – არანაკლებ 80 კმ/სთ-ს. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, მექანიკურ გადაცემათა კოლოფითა და ტაქოგრაფით. ავტომობილის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე არ უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების კაბინის სიგანესა და სიმაღლეზე ნაკლები. პრაქტიკულ გამოცდაზე საგამოცდო ავტომობილის ფაქტობრივი მასა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10000 კგ-ს;
დ) „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომლის სიგრძე შეადგენს არანაკლებ 10 მ-ს, სიგანე - არანაკლებ 2,40 მ-ს, ხოლო კონსტრუქციული საიჩქარე – არანაკლებ 80 კმ/სთ-ს. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და ტაქოგრაფით;
ე) „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილისა და არანაკლებ 1000 კგ-ის ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისაგან შემდგარი სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა, რომელიც არ მიეკუთვნება „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებას და რომლითაც შესაძლებელია არანაკლებ 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება. მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიმაღლე და სიგანე არ უნდა იყოს ავტომობილის სიმაღლესა და სიგანეზე ნაკლები. ფურგონის სიგანე შესაძლებელია ოდნავ ნაკლები იყოს ავტომობილის სიგანეზე იმ პირობით, რომ უკან ხედვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გარე უკანა ხედვის სარკეების გამოყენებით. პრაქტიკულ გამოცდაზე მისაბმელის ფაქტობრივი მასა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 800 კგ-ს;
ვ) „CE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილისა და არანაკლებ 7,5 მ-ის სიგრძის, 750 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისაგან შემდგარი სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა შეადგენს არანაკლებ 20000 კგ-ს, სირგძე – არანაკლებ 14 მ-ს, ხოლო სიგანე – არანაკლებ 2.40 მ-ს და რომლითაც შესაძლებელია

არანაკლებ 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარება. მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე არ უნდა იყოს ავტომობილის კაბინის სიგანესა და სიმაღლეზე ნაკლები. პრაქტიკულ გამოცდაზე სატრანპორტო საშუალებათა შემადგენლობის ფაქტობრივი მასა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15000 კგ-ს;

ზ) „DE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილისა და არანაკლებ 2,40 მ-ის სიგანის და არანაკლებ 1250 კგ-ის ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისაგან შემდგარი სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა, რომლითაც შესაძლებელია არანაკლებ 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარება. მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 2 მ. პრაქტიკულ გამოცდაზე მისაბმელის ფაქტობრივი მასა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 800 კგ-ს;

თ) „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება ეტლის გარეშე, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე შეადგენს არანაკლებ 90 კმ/სთ-ს. ამასთან, შიგაწვის ძრავის მქონე მოტოციკლის შემთხვევაში, ძრავის მუშა მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 120 სმ^3-ს, ხოლო ელექტრომძრავიანი მოტოციკლის შემთხვევაში, სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0,08 კვტ/კგ-ს;

ი) „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – მოტოციკლი ეტლის გარეშე, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს არანაკლებ 20 კვტ-ს, მაგრამ არაუმეტეს 35 კვტ-ს, ხოლო სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი შეადგენს არაუმეტეს 0,2 კვტ/კგ-ს. ამასთან, შიგაწვის ძრავის მქონე მოტოციკლის შემთხვევაში, ძრავის მუშა მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250 სმ^3-ს, ხოლო ელექტრომძრავიანი მოტოციკლის შემთხვევაში, სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0,15 კვტ/კგ-ს;

კ) „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – კვადროციკლი, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე შეადგენს არანაკლებ 60 კმ/სთ-ს და რომელსაც გააჩნია ისეთივე საჭის მექანიზმი, როგორიც მოტოციკლს;

ლ) „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა შეადგენს არანაკლებ 4000 კგ-ს, სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ს, ხოლო კონსტრუქციული სიჩქარე – არანაკლებ 80 კმ/სთ-ს. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და ტაქოგრაფით. ავტომობილის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე არ უნდა იყოს ავტომობილის კაბინის სიგანესა და სიმაღლეზე ნაკლები;

მ) „D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – „D1“ ქვეკატეგორის სატრანსპორტო საშუალება, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა შეადგენს არანაკლებ 4000 კგ-ს, სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ს, ხოლო კონსტრუქციული საიჩქარე – არანაკლებ 80 კმ/სთ-ს. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და ტაქოგრაფით;

ნ) „C1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ამ პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილისა და არანაკლებ 1250 კგ-ის ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისაგან შემდგარი სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა, რომლის სიგრძე შეადგენს არანაკლებ 8 მ-ს და რომლითაც შესაძლებელია არანაკლებ 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარება. მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე არ უნდა იყოს ავტომობილის კაბინის სიგანესა და სიმაღლეზე ნაკლები. ფურგონის სიგანე შესაძლებელია ოდნავ ნაკლები იყოს ავტომობილის კაბინაზე იმ პირობით, რომ უკან ხედვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გარე უკანა ხედვის სარკეების გამოყენებით. პრაქტიკულ გამოცდაზე მისაბმელის ფაქტობრივი მასა უნდა შედგენდეს არანაკლებ 800 კგ-ს;

ო) „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა – ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილისა და არანაკლებ 1250 კგ-ის ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელისაგან შემდგარი სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა, რომლითაც შესაძლებელია არანაკლებ 80 კმ/სთ სიჩქარის განვითარება. მისაბმელის სატვირთო განყოფილება უნდა შედგებოდეს დახურული ყუთისაგან (ფურგონი), რომლის სიგანე და სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 2 მ. პრაქტიკულ გამოცდაზე მისაბმელის ფაქტობრივი მასა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 800 კგ-ს.

2. საგამოცდო ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს მინიმუმ:

ა) გამომცდელისათვის განკუთვნილი:

ა.ა) დამატებითი გარე უკუხედვის სარკეებით;

ა.ბ) გადაბმულობისა და მუხრუჭის დამატებითი სატერფულებით (გარდა „A“ კატეგორიისა და „A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისა);

ბ) უსაფრთხოების ღვედითა და თავის დამჭერი მოწყობილობით (გარდა იმ საგამოცდო ავტომობილებისა, რომლის კონსტრუქციაც არ ითვალისწინებს აღნიშნულ მოწყობილობებს).

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღრული აღჭურვილობებისა, საგამოცდო ავტომობილი დამატებით შესაძლოა აღიჭურვოს:

ა) შიდა აუდიო და შიდა და გარე ვიდეო ჩაწერის მოწყობილობებით;

ბ) გამომცდელისათვის განკუთვნილი აქსელერატორის დამატებითი სატერფულით (გარდა „A“ კატეგორიისა და „A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისა);

გ) პრაქტიკული გამოცდის შეფასების მიზნით, ამ წესით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის ან/და საჯარიმო ქულების/შეცდომების/დისკვალიფიკაციის საფუძვლის დაფიქსირების სენსორული ან/და სხვა ელექტრონული სისტემითა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამით.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 პუნქტების „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ამ წესის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 25. საპრეტენზიო კომისია და მართვის უფლების მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის წესი

1. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის, პრაქტიკული გამოცდის პირველი ან/და მეორე ეტაპის შედეგებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს განიხილავს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისია (შემდგომ – კომისია). კომისია პრეტენზიას განიხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. დასაშვებია სხვადასხვა საგამოცდო სამსახურისათვის სხვადასხვა კომისიის შექმნა.

2. (ამოღებულია - 18.02.2022, №20);

3. კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისია კომპლექტდება სააგენტოს თანამშრომლებით.

4. მძღოლობის კანდიდატის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის ან/და პრაქტიკული გამოცდის პირველი ან/და მეორე ეტაპის შედეგებზე პრეტენზიის წარდგენა (გასაჩივრება) დასაშვებია 3 სამუშაო დღის ვადაში.

4[1]. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა აითვლება:

ა) მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდისა და პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის შემთხვევაში – მძღოლობის კანდიდატისათვის გამოცდის შედეგების გაცნობის დღიდან;

ბ) მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შემთხვევაში –მძღოლობის კანდიდატისათვის საგამოცდო ოქმის გაცნობის დღიდან, ხოლო თუ ამ წესით დადგენილ ვადაში

მძღოლობის კანდიდატის მიერ არ იქნა მოთხოვნილი საგამოცდო ოქმის გაცემა – საგამოცდო ოქმის გაცემის მოთხოვნისათვის დადგენილი ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

5. მძღოლობის კანდიდატის მიერ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იქნეს პრეტენზიის არსი და მისი დასაბუთება, კანდიდატის კონკრეტული მოთხოვნა.

6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს პრეტენზიის წარდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება კომისიის წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

[6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს პრეტენზიის წარდგენიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში. გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება კომისიის წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7. კომისია უფლებამოსილია:

ა) სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საპრეტენზიო განაცხადით განსაზღვრული მოთხოვნა;

ბ) სრულად ან ნაწილობრივ არ დააკმაყოფილოს საპრეტენზიო განაცხადით განსაზღვრული მოთხოვნა;

გ) შეცვალოს ან ძალაში დატოვოს გამოცდის შედეგი;

$გ^{1}$) თეორიული გამოცდის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატს დამატებით განუსაზღვროს იგივე საკითხებთან დაკავშირებული არაუმეტეს 5 (ხუთი) საგამოცდო ბილეთი (ტესტი) და მათზე გაცემული პასუხების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება საპრეტენზიო განაცხადით მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით;

$გ^{2}$) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული და გამომცდელის მიერ დაფიქსირებული შეცდომა შეცვალოს საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას კომისიის მიერ დადგენილი/გამოვლენილი სხვა შეცდომით;

დ) მძღოლობის კანდიდატს მოსთხოვოს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის ერთი ან რამდენიმე საკვალიფიკაციო მოთხოვნის კომისიის წევრის თანდასწრებით შესრულება და ამის მიხედვით შეცვალოს ან ძალაში დატოვოს გამოცდის შედეგი;

ე) ჩამოართვას ახსნა-განმარტებები;

ვ) უარი განაცხადოს საპრეტენზიო განაცხადის განხილვაზე, თუ:

ვ.ა) იგი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ვ.ბ) მძღოლობის კანდიდატი არ ასრულებს კომისიის კანონიერ მოთხოვნას;

ვ.გ) საპრეტენზიო განაცხადში არ არის ჩამოყალიბებული მოთხოვნა, ან არ არის დასაბუთებული პრეტენზია ან დარღვეულია პრეტენზიის წარდგენის ვადა;

ვ.დ) საპრეტენზიო განაცხადზე რეკვიზიტების მიუთითებლობის ან არასრულყოფილად მითითების გამო ვერ ხორციელდება პირის იდენტიფიცირება;

ზ) მიმართოს სააგენტოს დირექტრს თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების მოთხოვნით.

7^{1}. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით სააგენტოსა და მძღოლობის კანდიდატს შორის კომუნიკაცია (სააგენტოს მიერ შეტყობინებების/გადაწყვეტილებების გაგზავნა, ხოლო მძღოლობის კანდიდატის მიერ სააგენტოსათვის მოსაზრებების/განმარტებების წარდგენა) დასაშვებია განხორციელდეს სააგენტოს ელექტრონული ფოსტისა და მძღოლობის კანდიდატის მიერ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის (ასეთის მითითების შემთხვევაში) მეშვეობით (სააგენტოს მიერ, სააგენტოს ელექტრონული ფოსტიდან მძღოლობის კანდიდატის მიერ საპრეტენზიო განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო მძღოლობის კანდიდატის მიერ, საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით). ამასთან, საპრეტენზიო განაცხადში მძღოლობის კანდიდატის მიერ მითითებული მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით, საპრეტენზიო კომისიის წევრ(ებ)თან

განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის გზით მძღოლობის კანდიდატის მიერ სააგენტოსათვის მოსაზრებების/განმარტებების წარდგენა დაიშვება, თუ იგი აღნიშნული სატელეფონო კომუნიკაციისას გამოთქვამს თანხმობას საუბრის ჩაწერის თაობაზე.

8. კომისიის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოცდის შეფასება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

9. მიღებულ გადაწყვეტილებას კომისია მხარეებს უგზავნის გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

9[1]. კომისიის მიერ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპთან დაკავშირებული მძღოლობის კანდიდატის საპრეტენზიო განაცხადით განსაზღვრული მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდის შედეგი და გამოცდის მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომების შეფასება უქმდება, ხოლო მძღოლობის კანდიდატი გამოცდის გადაბარების მიზნით ხელახლა (რიგის დაჯავშნის გარეშე) დაიშვება პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე.

10. საპრეტენზიო განაცხადის შეტანით კომისიის მიერ გადწყვეტილების მიღებამდე ჩერდება საგამოცდო პროცედურისათვის ამ წესით დადგენილი ვადები.

10[1]. მძღოლობის კანდიდატის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის, პრაქტიკული გამოცდის პირველი ან/და მეორე ეტაპის შედეგებზე საპრეტენზიო კომისიაში პრეტენზიის წარდგენის (გასაჩივრება) შემთხვევაში, იგი იმავე გამოცდაზე საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არ დაიშვება.

11. კომისიის მიერ მიღებული გადაწყევეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან სასამართლოში.

12. ამ მუხლის მე-7 და 9[1] პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატი თავისუფლდება მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე დაშვების მომსახურების შესაბამისი საფასურის გადახდისაგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.01.2024 წ.

მუხლი 26. თეორიული გამოცდა

1. მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის ჩატარების მიზანია მძღოლობის კანდიდატის სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

2. თეორიული გამოცდა ტარდება საგამოცდო სამსახურში, სათანადოდ მოწყობილ საგამოცდო ოთახში. სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება დადგინდეს თეორიული გამოცდის ჩატარების სხვა ადგილიც.

3. მძღოლობის კანდიდატის თეორიულ გამოცდაზე დაშვება ხორციელდება საგამოცდო სამსახურის მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. თეორიულ გამოცდაზე შეიძლება მიღებულ იქნეს მძღოლობის კანდიდატთა მთელი ჯგუფი ან მისი ნაწილი. მძღოლობის კანდიდატთა რაოდენობა განისაზღვრება საგამოცდო ოთახის ფართობისა და აღჭურვილობის, აგრეთვე ყველა მძღოლობის კანდიდატის ქცევისადმი ზედამხედველობის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3[1]. მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია თეორიული გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე 10 წუთით ადრე გამოცხადდეს თეორიულ გამოცდაზე და წარმოადგინოს ამ წესით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით (შემდგომში - ელექტრონული ტესტირება), რომელიც ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით. თეორიული გამოცდისათვის დადგენილია საგამოცდო ტესტებზე (ბილეთები) სამუშაო დრო და გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად საჭირო

გამსვლელი ქულები. თითოეული მძღოლობის კანდიდატისათვის ამ ინსტრუქციის 28-ე მუხლით გათვალისწინებული რაოდენობის ტესტების (ბილეთები) შერჩევა ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით. მძღოლობის კანდიდატმა სენსორულ მონიტორზე გამოტანილი თითოეული საგამოცდო ტესტის (ბილეთი) სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს და დააფიქსიროს მხოლოდ ერთი პასუხი. ყოველ საგამოცდო ტესტზე (ბილეთი) სწორი პასუხი ფასდება – 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი – 0 ქულით. მონიტორზე აისახება საგამოცდო ტესტებზე (ბილეთები) გაცემული როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების რაოდენობა. თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრულ სამუშაო დროში უნდა დააგროვოს გამსვლელი ქულა. მძღოლობის კანდიდატის მიერ საგამოცდო ტესტებზე (ბილეთები) გაცემული პასუხების შეჯამება და გამოცდის შედეგის შეფასება ხორციელდება სპეციალური პროგრამის მიერ. მძღოლობის კანდიდატისათვის გამოცდის შედეგი ცნობილი ხდება საგამოცდო ტესტებზე (ბილეთები) სამუშაო დროის ამოწურვისთანავე, კომპიუტერის მონიტორზე შედეგის ასახვის გზით.

5. საგამოცდო ტესტებზე (ბილეთები) სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ, მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს, წერილობითი ფორმით მოითხოვოს თეორიულ გამოცდაზე მის მიერ დაშვებული შეცდომის ამსახველი საგამოცდო ტესტების (ბილეთები) კომპიუტერული ამონაბეჭდი.

6. მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც ვერ ჩააბარა თეორიული გამოცდა, პრაქტიკულ გამოცდაზე არ დაიშვება.

7. მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც ვერ ჩააბარა თეორიული გამოცდა, ხელახლა თეორიულ გამოცდაზე დაიშვება უარყოფითი შეფასების მიღებიდან არაუადრეს მე-7 დღისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 13 მაისის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 13.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 27. (ამოღებულია - 18.03.2014, №216)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

მუხლი 28. მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე პასუხგასაცემი ტესტის (ბილეთი) რაოდენობა, ელექტრონული ტესტირების დრო და თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო გამსვლელი ქულების მინიმალური რაოდენობა

მძღოლობის კანდიდატის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე პასუხგასაცემი ტესტის (ბილეთი) რაოდენობა, ელექტრონული ტესტირების დრო და თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო გამსვლელი ქულების მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) „A“ კატეგორიებისა და „A1“, „A2“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 30 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 30 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 27 ქულა;

ა[1]) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 20 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 20 წუთის განმავლობაში, უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა;

ბ) B კატეგორიისა და B1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 30 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 30 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 27 ქულა;

გ) C1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 35 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 35 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 32 ქულა;

დ) C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიული გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 40 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 40 წუთის განმავლობაში, უნდა დააგროვოს მინიმუმ 36 ქულა.

ე) D1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 35 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 35 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 32 ქულა;

ვ) D კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 40 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 40 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 36 ქულა;

ზ) T ან S კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიული გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 30 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 30 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 27 ქულა;

თ) ტრამვაის მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 40 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 40 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 36 ქულა;

ი) კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, სამხედრო სამსახურში მყოფი პირის მიერ ერთდროულად B კატეგორიისა და C1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 40 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 40 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 36 ქულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №988- ვებგვერდი, 31.12.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 თებერვლის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 07.02.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 29. ამოღებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

მუხლი 30. ამოღებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

მუხლი 31. ამოღებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

მუხლი 32. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მიღების ორგანიზება

1. „A“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„A1“, „A2“, „B1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის (პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი) მიზანია მძღოლობის კანდიდატის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა და

საგამოცდო ავტომობილის მართვის პროცესში თეორიული ცოდნის გამოყენების ეფექტურობის შემოწმება.

[1. „A“ კატეგორიის/„A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის (პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის) მიზანია მძღოლობის კანდიდატის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა და საგამოცდო ავტომობილის მართვის პროცესში თეორიული ცოდნის გამოყენების ეფექტურობის შემოწმება.*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

2. „B“, „C“, „D“, „BE“ კატეგორიების/„C1“, „D1 ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მიზანია ავტოდრომზე ან დახურულ მოედანზე საგამოცდო ავტომობილის მართვის პროცესში მძღოლობის კანდიდატის თეორიული ცოდნის გამოყენების საწყისი უნარ-ჩვევების შემოწმება, ასევე, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის დაშვების შესაძლებლობის განსაზღვრა.

[2. „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მიზანია ავტოდრომზე ან დახურულ მოედანზე საგამოცდო ავტომობილის მართვის პროცესში მძღოლობის კანდიდატის თეორიული ცოდნის გამოყენების საწყისი უნარ-ჩვევების შემოწმება, ასევე, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის დაშვების შესაძლებლობის განსაზღვრა.*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

3. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მიმდინარეობისას, მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილი ისე უნდა მართოს, რომ მასში მჯდომი გამომცდელი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს. გამომცდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს საგამოცდო ავტომობილის მართვისას მძღოლობის კანდიდატის მიერ პოზიტიური და ნეგატიური ჩვევების გამოვლენას. გამოცდის განმავლობაში გამომცდელს უნდა შეექმნას საერთო სურათი, თუ რამდენად ადაპტირებულად და თავდაჯერებულად შეუძლია მძღოლობის კანდიდატს სატრანსპორტო საშუალების მართვა.

4. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის ჩასატარებლად განკუთვნილი ავტოდრომი ან დახურული მოედანი ამ წესის შესაბამისად აღჭურვილია გამოცდის მისაღებად საჭირო ელემენტებით.

5. თითოეული კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნათა და ამ წესის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, ავტოდრომი და დახურული მოედანი უნდა აღიჭურვოს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი საგამოცდო ელემენტებით:

ა) „პარალელური პარკირება“;

ბ) „ზიგზაგი“;

გ) „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი“ („მოძრაობის მიმართულების შეცვლა“);

დ) „ბოქსი, ავტომობილის უკუსვლით სადგომზე დასაყენებლად“ („უკუსვლით პარკირება“);

ე) „რვიანი“;

ზ) „აღმართი“ (დახრა არანაკლებ 16%-ისა). „აღმართის“ ესტაკადის მოწყობის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ბუნებრივი რელიეფი;

თ) „პლატფორმასთან უკუსვლით პარკირების უბანი“;

ი) „საგაბარიტო წრეში მობრუნება“ (საგამოცდო ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანისათვის“ განკუთვნილი ტერიტორიის გამოყენება);

კ) „მისაბმელის გადაბმა და ჩახსნა“.

6. საგზაო მოძრაობის რეალურ პირობებთან მიახლოების მიზნით, დასაშვებია ავტოდრომზე და დახურულ მოედანზე ორი ან მეტი საგზაო მოძრაობის ზოლიანი გზის, მოწესრიგებული ან

მოუწესრიგებული გზაჯვარედინის, მოწესრიგებული ან მოუწერიგებელი ქვეითთა გადასასვლელის ან/და მოწესრიგებული ან მოუწერიგებელი რკინიგზის გადასასვლელის მოწყობა, აგრეთვე, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისათვის საგზაო ნიშნების დადგმა, საგზაო მონიშვნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ავტოდრომზე ან დახურულ მოედანზე საგზო ნიშნის დადგმის ან საგზაო მონიშვნის დატანისას შესაძლებელია სრულად არ იქნეს გათვალისწინებული „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგზაო ნიშნის დადგმის ან საგზაო მონიშვნის დატანის მოთხოვნები.

7. ავტოდრომზე ან დახურულ მოედანზე ყველა ან რომელიმე საგამოცდო ელემენტის შეზღუდვის (მონიშვნა) ფარგლების სრულად ან ნაწილობრივ აღსანიშნავად დასაშვებია ღია ან მკვეთრ ფერში შეღებილი სადგრების, ალმების, ლენტების ან/და სხვა მსგავსი მოწყობილობების გამოყენება. ამასთან, მსუბუქი ავტომობილებისათვის განკუთვნილი ელემენტების სადგრების სიმაღლე არ უნდა იყოს 85 სმ-ზე ნაკლები, ხოლო სატვირთო ავტომობილების შემთხვევაში, სადგრების სიმაღლე არ უნდა იყოს ავტომობილის პლატფორმის ქვედა ზღვარზე ნაკლები.

8. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობაზე კონტროლს გამომცდელი ახორციელებს ვიზუალურად ან/და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამასთან, გამომცდელი შეიძლება იმყოფებოდეს როგორც საგამოცდო ავტომობილში, ასევე მის გარეთ, პრაქტიკული გამოცდის მსვლელობაზე მეთვალყურეობისათვის მოსახერხებელ ადგილზე ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის შეწყვეტის ან შეჩერების, შეჯახების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ან/და სახიფათო სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, ასევე ამ წესით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, გამომცდელს უფლება აქვს ჩაერიოს საგამოცდო ავტომობილის მართვაში.

9. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას გამომცდელს უფლება აქვს მძღოლობის კანდიდატს მოსთხოვოს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის რომელიმე საკვალიფიკაციო მოთხოვნის განმეორებით შესრულება.

10. მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე, მძღოლობის კანდიდატის საგამოცდო ავტომობილში ჩაჯდომამდე, გამომცდელი ვალდებულია საგამოცდო ავტომობილი მოიყვანოს საწყის მდგომარეობაში – გამორთოს ძრავა, თუ საგამოცდო ავტომობილს გააჩნია მექანიკური გადაცემათა კოლოფი, ჩართოს პირველი გადაცემა, ხოლო თუ საგამოცდო ავტომობილს გააჩნია ავტომატური გადაცემათა კოლოფი, გადაცემების სელექტორი ჩართოს დგომის („PARK“) პოზიციაში, ჩართოს სადგომი მუხრუჭი.

11. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის შეფასებისათვის (მთლიანად ან ნაწილობრივ), გამომცდელის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საშუალებები (მაგ.: გამოცდის მსვლელობის ვიდეო/აუდიო ჩაწერა; ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის დაფიქსირება ან/და საჯარიმო ქულების/შეცდომების/დისკვალიფიკაციის საფუძვლის დათვლა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენება და ა.შ.).

12. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მიღება ხორციელდება მექანიკური გადაცემის კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილებზე, გარდა:

ა) ამ წესის 6^1 და 9^1 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ამ წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში ასახული ექიმ-სპეციალისტის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება დაიშვას მხოლოდ ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების სამართავად.

13. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობის აუდიო და ვიდეოჩანაწერის განხორციელების შემთხვევაში, ჩანაწერები ინახება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს მიმართოს სააგენტოს გამოცდის

მსვლელობის ამსახველი ჩანაწერის გასაცნობად. მძღოლობის კანდიდატისათვის პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობის ჩანაწერის გაცნობა ხორციელდება სააგენტოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 33. შეზღუდული შესასძლებლობის მქონე პირთათვის პრაქტიკული გამოცდის ორგანიზაციების ზოგიერთი საკითხის შესახებ

1. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში ასახული ექიმ-სპეციალისტის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება დაიშვას მხოლოდ ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების (მაგალითად, სიჩქარის ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე ან დამატებითი სატერფულებით აღჭურვილი ავტომობილი ან სხვა) სამართავად, აღნიშნული პირის მიერ მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება უნდა განხორციელდეს ასეთი სახით ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საგამოცდო სამსახურს არ გააჩნია შესაბამისად ადაპტირებული საგამოცდო ავტომობილი, მისი წარმოდგენა ხორციელდება მძღოლობის კანდიდატის მიერ.

2. თუ ექიმ-სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე პირი სატრანსპორტო საშუალების სამართავად შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ რაიმე მოწყობილობის გამოყენების (პროთეზი, სათვალე, ყურის სასმენი აპარატი და ა.შ.) შემთხვევაში, იგი მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ასეთი მოწყობილობით.

3. პირს, რომელმაც მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა ჩააბარა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული წესით, შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იდენტურად ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების ან/და მართვისას შესაბამისი მოწყობილობის გამოყენების ვალდებულებით შეზღუდული მართვის უფლება, რის შესახებაც მართვის მოწმობაში კეთდება უფლების შემზღუდველი შესაბამისი ჩანაწერი.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას პირს მიენიჭა მხოლოდ ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მართვის მოწმობაში აისახება ამ ბრძანების 43-ე მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინფორმაციო კოდი.

5. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, იმ პირის მიერ წარდგენილი ადაპტირებული საგამოცდო ავტომობილი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში ასახული რეკომენდაციის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვაზე უნდა დაუწესდეს სატრანსპორტო საშუალების ადაპტაციასთან დაკავშირებული შეზღუდვა, აღჭურვილი უნდა იყოს წინა სავარძლებს შორის განლაგებული სადგომი მუხრუჭით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 34. ამოღებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

მუხლი 35. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების საერთო წესი

1. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით: გამოცდის დაწყებამდე მძღოლობის კანდიდატს ენიჭება 100 ქულა, რომლიდანაც მძღოლობის კანდიდატის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იქვითება საჯარიმო ქულები. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მძღოლობის კანდიდატი გამოცდის ყველა საჭირო პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესრულების შედეგად არ დააგროვებს 39-ზე მეტ საჯარიმო ქულას და, ამასთან, არ მოხდება მისი დისკვალიფიკაცია ამ წესის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საგამოცდო ელემენტების დადგენილი წესით შესრულებას;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებას;

გ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გამოვლენას.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საგამოცდო ელემენტებია:

ა) „პარალელური პარკირება“ – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა.ა) საგამოცდო ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის პირველი პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

ა.ბ) საგამოცდო ელემენტის შესრულების დაწყებისას, უკუსვლით მოძრავმა ავტომობილმა არ უნდა გადაკვეთოს შემოსაზღვრული უბნის გარეთ წინ და მარჯვნივ არსებული მონიშვნები;

ა.გ) შემოსაზღვრულ უბანში შესვლისას, პარკირებისას, აგრეთვე შემოსაზღვრული უბნიდან გამოსვლისას ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ისე, რომ არ გადაკვეთოს ან/და არ შეეჯახოს შემოსაზღვრული უბნის მონიშვნებს;

ა.დ) „პარალელური პარკირების“ უბანში გაჩერების შემდეგ ავტომობილი ისე უნდა იდგეს, რომ მისი გარეგანი კონტურები მთლიანად მოექცეს შემოსაზღვრული უბნის შიდა არეალში;

ა.ე) შემოსაზღვრულ უბანში პარკირების დასრულების შემდეგ მის გამოსვლამდე სავალდებულოა ავტომობილის სადგომი მუხრუჭის გამოყენება;

ბ) „ზიგზაგი“ – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) საგამოცდო ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის მე-2 პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

ბ.ბ) საგამოცდო ელემენტის შესრულება უნდა დაიწყოს შუაში არსებული პირველი მონიშვნის (სადგარის) მარცხენა მხრიდან შემოვლით;

ბ.გ) საგამოცდო ელემენტის შესრულებისას ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ზიგზაგურად, შუაში არსებულ მონიშვნებს (სადგრებს) შორის;

ბ.დ) „ზიგზაგში“ მოძრაობა უნდა განხორციელდეს ელემენტის საზღვრების (მონიშვნების) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

ბ.ე) საგამოცდო ელემენტის დაწყებიდან მის დასრულებამდე არ უნდა შეწყდეს (გაჩერდეს) დასახული მიმართულებით ავტომობილის მოძრაობა;

ბ.ვ) საგამოცდო ელემენტის შესრულებისას აკრძალულია უკუსვლით მოძრაობა;

გ) „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი“ („მოძრაობის მიმართულების შეცვლა“) – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

გ.ა) ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის მე-3 პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

გ.ბ) ელემენტის შესრულება უნდა დაიწყოს შემოსაზღვრული უბნის წინა მარჯვენა მხრიდან;

გ.გ) ელემენტის შესრულებისას, დადგენილი ტრაექტორიის შესაბამისად, წინ მიმართულებით მოძრაობა უნდა განხორციელდეს სიჩქარის გადაცემათა ერთჯერადი გადართვით;

გ.დ) ელემენტის შესრულებისას, დადგენილი ტრაექტორიის შესაბამისად, უკან მიმართულებით მოძრაობა უნდა განხორციელდეს სიჩქარის გადაცემათა ერთჯერადი გადართვით;

გ.ე) ელემენტი უნდა შესრულდეს შეზღუდვის (მონიშვნის) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

გ.ვ) ელემენტში შემობრუნება უნდა განხორციელდეს ისე, რომ ავტომობილის გარეთა კონტურები მთლიანად მოექცეს შემოსაზღვრული უბნის შიგნით.

გ.ზ) ელემენტის შესრულება უნდა დასრულდეს საწყისი მხარის პარალელური მარცხენა მხრიდან, შემოსაზღვრული უბნიდან ავტომობილის სრულად გამოსვლით;

დ) „ბოქსი ავტომობილის უკუსვლით დაყენება“ (უკუსვლით პარკირება) – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

დ.ა) საგამოცდო ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის მე-4 პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

დ.ბ) უკუსვლით გადაცემის სიჩქარეში გადართვის შემდგომ, მანევრის დაწყებამდე ან მანევრის შესრულებისას, ავტომობილი არ უნდა დაგორდეს დასახული მიმართულების საპირისპიროდ 30-სმ-ზე მეტ მანძილზე;

დ.გ) შემოსაზღვრულ უბანში (ბოქსში) ავტომობილის უკუსვლით შესვლა უნდა განხორციელდეს უკუსვლით გადაცემის ერთჯერადი ჩართვით;

დ.დ) შემოსაზღვრულ უბანში (ბოქსში) გაჩერების შემდეგ ავტომობილი ისე უნდა იდგეს, რომ მისი გარეგანი კონტურები მთლიანად მოექცეს შემოსაზღვრული უბნის (ბოქსის) შიდა არეალში. ავტომობილის შემოსაზღვრულ უბანიდან (ბოქსიდან) გამოსვლა უნდა განახორციელდეს მხოლოდ ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესრულების შემდგომ;

დ.ე) შემოსაზღვრულ უბანში (ბოქსში) უკუსვლით შესვლა უნდა განხორციელდეს გვერდით და უკანა მხარეს არსებული საზღვრების (მონიშვნების) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

დ.ვ) შემოსაზღვრული უბნიდან (ბოქსიდან) გამოსვლა უნდა განხორციელდეს გვერდითი და უკანა მხარეს არსებული საზღვრების (მონიშვნების) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

ე) „რვიანი“ – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ე.ა) საგამოცდო ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის მე-5 პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

ე.ბ) „რვიანში“ მოძრაობა უნდა დაიწყოს შემოსაზღვრული უბნის მარჯვენა მხრიდან;

ე.გ) „რვიანში“ მოძრაობა უნდა დასრულდეს შემოსაზღვრული უბნის საწყისი მხარის პარალელური მარცხენა მხრიდან, შემოსაზღვრული უბნიდან ავტომობილის სრულად გამოსვლით;

ე.დ) საგამოცდო ელემენტის დაწყებიდან მის დასრულებამდე ავტომობილმა არ უნდა შეწყვიტოს (გაჩერდეს) დასახული მიმართულებით მოძრაობა;

ე.ე) საგამოცდო ელემენტი უნდა შესრულდეს შეზღუდვის (მონიშვნის) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

ე.ვ) საგამოცდო ელმენტის შესრულებისას აკრძალულია უკუსვლით მოძრაობა;

ვ) „აღმართიანი უბანი“ („აღმართი“)- ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცულ იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ვ.ა) საგამოცდო ელემენტის შესასრულებლად ავტომობილმა უნდა იმოძრაოს ამ წესის დანართი 4-ის მე-6 პუნქტში ასახული ტრაექტორიის შესაბამისად;

ვ.ბ) საგამოცდო ელემენტის დასაწყებად, ავტომობილი უნდა გაჩერდეს აღმართზე „სდექ“ ხაზთან (მაგრამ არანაკლებ ხაზამდე ერთი მეტრისა);

ვ.გ) საგამოცდო ელემენტის დაწყებისას, „სდექ“ ხაზიდან დაძვრისას, ავტომობილი არ უნდა დაგორდეს უკან 20 სმ-ზე მეტ მანძილზე;

ზ) „პლატფორმასთან უკუსვლით პარკირების უბანი“ -ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცული იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ზ.ა) პლატფორმასთან უკუსვლით პარკირება უნდა შესრულედეს სიჩქარის გადაცემათა ერთჯერადი გადართვით, პლატფორმასთან შეჯახების გარეშე;

ზ.ბ) პლატფორმასთან უკუსვლით პარკირება უნდა განხორციელდეს გვერდითა უკანახედვის სარკეების მეშვეობით;

ზ.გ) პლატფორმასთან პარკირების დასრულების შემდეგ, ავტომობილი (სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობა) ისე უნდა იდგეს, რომ მისი (მათი) მარჯვენა მხარეს განლაგებული წინა და უკანა საბურავები მოექცეს პლატფორმასა და მისგან 50 სმ-ზე დაშორებული მონიშვნის შორის;

თ) „საგაბარიტო წრეში მობრუნება“ – ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა დაცული იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

თ.ა) ელემენტის შესრულება უნდა დაიწყოს შემოსაზღვრული უბნის წინა მარჯვენა მხრიდან;

თ.ბ) შემოსაზღვრულ უბანში შემობრუნება უნდა განხორციელდეს 360 გრადუსით, უკუსვლით მოძრაობის გარეშე;

თ.გ) ელემენტი უნდა შესრულდეს შეზღუდვის (მონიშვნის) ფარგლების გადაკვეთის ან/და მათთან შეჯახების გარეშე;

თ.დ) ელემენტში შემობრუნება უნდა განხორციელდეს ისე, რომ მოტოციკლის გარეთა კონტურები მთლიანად მოექცეს შემოსაზღვრული უბნის შიგნით.

თ.ე) ელემენტის შესრულება უნდა დასრულდეს საწყისი მხარის პარალელური მარცხენა მხრიდან, შემოსაზღვრული უბნიდან მოტოციკლის სრულად გამოსვლით;

ი) **„მისაბმელის გადაბმა და ჩახსნა“** – საგამოცდო ელემენტის შესრულებისას სავალდებულოა ქვემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით (ავტომობილისა და მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლების (თავისებურებების) გათვალისწინებით) შესრულდეს შემდეგი მოქმედებები:

ი.ა) მისაბმელის ჩახსნა:

ი.ა.ა) მისაბმელის ჩახსნამდე ავტომობილი გაჩერებულ იქნეს მისაბმელთან მიმართებით ერთ ხაზზე;

ი.ა.ბ) ჩაირთოს ავტომობილის სადგომი მუხრუჭი და გამოირთოს ძრავა;

ი.ა.გ) ჩაირთოს მისაბმელის სადგომი მუხრუჭი (არსებობისას);

ი.ა.დ) არსებობისას, ჩამოწეულ იქნეს მისაბმელის ან მისაბმელის საბუქსირე მოწყობილობის საყრდენი (მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლის შესაბამისად) და დაფიქსირდეს საყრდენი ან საყრდენის ამწევის სახელური (მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლის შესაბამისად);

ი.ა.ე) დაიკეტოს საჰაერო სარქველები (არსებობისას);

ი.ა.ვ) გამოირთოს საჰაერო/ჰიდრავლიკური/ელექტრო შეერთებები (არსებობისას) და განთავსდეს შესაბამის ადგილას;

ი.ა.ზ) ჩაიხსნას მისაბმელი ავტომობილიდან;

ი.ა.თ) ავტომობილი ნელი სვლით დაყენდეს მისაბმელის გვერდზე (გამომცდელის მიერ მითითებული მხრიდან);

ი.ბ) ავტომობილის მისაბმელზე გადაბმა:

ი.ბ.ა) შემოწმდეს ჩართულია თუ არა მისაბმელის სადგომი მუხრუჭი (არსებობისას);

ი.ბ.ბ) შემოწმდეს ემთხვევა თუ არა მისაბმელისა და ავტომობილის გადაბმის მოწყობილობების სიმაღლე და მდგომარეობა ერთმანეთს და, საჭიროების შემთხვევაში, დარეგულირდეს მისაბმელის მდგომარეობა;

ი.ბ.გ) გაიღოს ავტომობილის გადაბმის მოწყობილობის საკეტი (ავტომობილის კონსტრუქციული მახასიათებლიდან გამომდინარე, საკეტის მექანიკურად გახსნის საჭიროების შემთხვევაში);

ი.ბ.დ) ავტომობილი ნელი სვლით მიუახლოვდეს მისაბმელს (დაიშვება ვითარების შესამოწმებლად მძღოლობის კანდიდატის ავტომობილიდან ერთხელ გადმოსვლა) და ავტომობილი გადაებას მისაბმელს (ავტომობილის და მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლის შესაბამისად);

ი.ბ.ე) ჩაირთოს ავტომობილის სადგომი მუხრუჭი და გამოირთოს ავტომობილის ძრავა;

ი.ბ.ვ) შეერთდეს საჰაერო, ჰიდრავლიკური და ელექტრო შეერთებები (არსებობისას);

ი.ბ.ზ) გაიღოს საჰაერო სარქველები (არსებობისას);

ი.ბ.თ) დაიკეტოს, დაფიქსირდეს და შემოწმდეს გადაბმის მოწყობილობის საკეტი ან დამცავი ჯაჭვი (გვარლი) (არსებობისას);

ი.ბ.ი) აიწიოს მისაბმელის ან მისაბმელის საბუქსირე მოწყობილობის საყრდენი (მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლის შესაბამისად) და დაფიქსირდეს საყრდენი ან საყრდენის ამწევის სახელური (მისაბმელის კონსტრუქციული მახასიათებლის შესაბამისად);

ი.ბ.კ) გამოირთოს მისაბმელის სადგომი მუხრუჭი.

შენიშვნა: გამომცდელის გადაწყვეტილებით, „მისაბმელის გადაბმის და ჩახსნის“ საგამოცდო ელემენტი შესაძლებელია შესრულდეს ჯერ მისაბმელის ჩახსნით და შემდეგ გადაბმით, ან პირიქით – ჯერ მისაბმელის გადაბმით და შემდეგ ჩახსნით, შესაბამისი მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვით.

2^1. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატმა შესაბამისი საგამოცდო ელემენტი (გარდა „მისაბმელის გადაბმის და ჩახსნის“ საგამოცდო ელემენტისა) დადგენილი წესით უნდა შეასრულოს არაუმეტეს:

ა) 2 წუთის განმავლობაში, „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში;

ბ) 4 წუთის განმავლობაში, „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში;

გ) 7 წუთის განმავლობაში, „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„CIE“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში.

2^2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატმა „მისაბმელის გადაბმის და ჩახსნის“ საგამოცდო ელემენტი დადგენილი წესით უნდა შეასრულოს არაუმეტეს 10 წუთის განმავლობაში.

2^3. ამ მუხლის 21 და 22 პუნქტებით გათვალისწინებული დროის ათვლის დაწყება მძღოლობის კანდიდატს ეცნობება შესაბამისი ხმოვანი სიგნალით ან გამომცდელის მიერ, თითოეული საგამოცდო ელემენტის შესრულების დაწყებამდე.

3. პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას დაცული უნდა იქნეს ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) მძღოლობის კანდიდატს გამოცდის დაწყებიდან მის დასრულებამდე არ უნდა გამოერთოს ავტომობილის ძრავი;

ბ) მძღოლობის კანდიდატს გამოცდის დაწყებიდან მის დასრულებამდე შეკრული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების ღვედი;

გ) ავტომობილმა არ უნდა იმოძრაოს ჩართული სადგომი მუხრუჭით;

დ) გამოცდის მსვლელობისას, მძღოლობის კანდიდატს არ უნდა დაუგორდეს ავტომობილი;

ე) გამოცდის მსვლელობისას „პარალელური პარკირების“, „აღმართის“ და „მისაბმელის გადაბმის და ჩახსნის“ საგამოცდო ელემენტების გარდა, არ უნდა იქნეს გამოყენებული სადგომი მუხრუჭი;

ვ) მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეასრულოს გამოცდით განსაზღვრული ყველა საგამოცდო ელემენტი;

ზ) საგამოცდო მოედანზე შუქნიშნის არსებობის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატი უნდა დაემორჩილოს მის მოთხოვნებს;

თ) მთელი გამოცდის მსვლელობისას ავტომობილმა უნდა იმოძრაოს მდორედ (ძიგ-ძიგის გარეშე).

4. პრაქტიკულ გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატს უნდა შეეძლოს სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული შემდეგი უნარ-ჩვევების გამოვლენა:

ა) უსაფრთხოების დამცავი ჩაფხუტის მორგება (მხოლოდ „A“ კატეგორიისათვის ან „A1“, „A2“ და „B1“ ქვეკატეგორიებისათვის);

ბ) მოძრაობის დასაწყებად ავტომობილის მომზადება, კერძოდ: სწორი დასაჯდომი პოზიციის უზრუნველსაყოფად მძღოლის ადგილის გასწორება, უკანა ხედვის სარკეების, უსაფრთხოების ღვედის და თავის დამჭერი მოწყობილობის დარეგულირება; სამუხრუჭე და საჭის სისტემების შემოწმება; საბურავების, საბურავების ხრახნების, ფრთების, საქარე მინის, მინების და გამწმენდების, სითხეების (ძრავის ზეთი, გამაგრილებელი, სარეცხი სითხე) მდგომარეობის შემოწმება; საკონტროლო პანელის ინსტრუმენტების შემოწმება;

გ) ავტომობილის სამართავი საშუალებების სწორედ გამოიყენება;

დ) მოხვევის მაჩვენებლების დროულად ჩართვა;

ე) სიჩქარის გადაცემათა დროული და მდორე გადართვის განხორციელება;

ვ) სავალ ნაწილზე ავტომობილის განლაგების სწორედ შეარჩევა;

ზ) მოძრაობის დროს რეკომენდებული სიჩქარის დაცვა;

თ) ავტომობილებს შორის დისტანციისა და ინტერვალის დაცვა;

ი) გაჩერებული ავტომობილისა და სხვა წინაღობათა შემოვლის სისწორის დაცვა;

კ) ზოლიდან ზოლში გადაადგილების წესის დაცვა;

ლ) გავლის უპირატესობის მქონე საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის გზის დათმობა;

მ) ქვეითად მოსიარულეთა, აგრეთვე რკინიგზის გადასასვლელების გავლისას უსაფრთხოების წესების დაცვა;

მ[1]) საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნათა დაცვა;

ნ) საგზაო მოძრაობის სხვა წესების დაცვა;

ო) (ამოღებულია - 18.02.2022, №20);

პ) მოტოციკლის დაქოქვა და ჩაქრობა და მისი დაძვრა ძრავის დახმარების გარეშე (მხოლოდ „A“ კატეგორიისათვის ან „A1“ და „A2“ ქვეკატეგორიისათვის);

ჟ) მოძრაობა სწორზე გადაცემის გადართვით დაბლიდან მაღალზე და პირიქით (მხოლოდ „A“ კატეგორიისათვის ან „A1“ და „A2“ ქვეკატეგორიისათვის);

რ) მოტოციკლის მართვა მინიმალური სიჩქარით, საფეხურიდან ფეხის აუღებლად (მხოლოდ „A“ კატეგორიისათვის ან „A1“ და „A2“ ქვეკატეგორიისათვის).

5. საგამოცდო ელემენტები უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად, ავტომობილში დამონტაჟებული ელექტრონული სისტემის ხმოვანი სიგნალის ან გამომცდელის მითითების შესაბამისად, ამასთან გამომცდელის მითითების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გამომცდელის მითითებას.

6. სააგენტო უფლებამოსილია შესაბამისი კატეგორიისა და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრული საგამოცდო ელემენტების ჩასაბარებელი რაოდენობა შეამციროს ერთი საგამოცდო ელემენტით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 36. „A“ კატეგორიის, აგრეთვე „A1“, „A2“ და „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა და მისი შეფასების წესი

1. „A“ კატეგორიის, აგრეთვე „A1“, „A2“ და „B1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს შემდეგი საგამოცდო ელემენტები:

ა.ა) „რვიანი“;

ა.ბ) „ზიგზაგი“;

ა.გ) „საგაბარიტო წრეში მობრუნება“ (მხოლოდ „A“ კატეგორიისა და „A1“ და „A2“ ქვეკატეგორიებისათვის);

ა.დ) „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი“ (მხოლოდ B1 ქვეკატეგორიისათვის);

ბ) პრაქტიკული გამოცდის მსვლელობისას განუხრელად დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2. პრაქტიკულ გამოცდაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;

ბ) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 37. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და მისი შეფასების წესი

1. „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს საგამოცდო ელემენტები:

ა.ა) „პარალელური პარკირება“;

ა.ბ) „ზიგზაგი“;

ა.გ) „შეზღუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი“ („მოძრაობის მიმართულების შეცვლა“):

ა.დ) „უკუსვლით პარკირება“ (ბოქსში ავტომობილის უკუსვლით დაყენება);

ა.ე) „რვიანი“;

ა.ვ) „აღმართიანი უბანი“ („აღმართი“);

ბ) პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას განუხრელად დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას გამოავლენოს ამ წესის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევები.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას, მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 5 საჯარიმო ქულა, ყოველ ჯერზე, თითოეული დარღვევისათვის, თუ დაირღვა ამ წესის 35-ე მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

ა.ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

ბ) 10 საჯარიმო ქულა, ყოველ ჯერზე, თითოეული დარღვევისათვის, თუ დაირღვა ამ წესის 35-ე მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტის „ა.ბ“, „ბ.ე“, „ბ.ვ“, „დ.ბ“ ან „ვ.გ“ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

ბ.ბ) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

გ)15 საჯარიმო ქულა, ყოველ ჯერზე, თითოეული დარღვევისათვის, თუ დაირღვა ამ წესის 35-ე მუხლის:

გ.ა) მე-2 პუნქტის „ა.გ“, „ა.ე“, „ბ.ბ“, „ბ.გ“, „ბ.დ“ „გ.ბ“, „გ.გ“, „გ.დ“ „დ.გ“, „დ.დ“, „ე.ბ“, „ე.გ“, „ე.ე“ ან „ე.ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

გ.ბ) მე-3 პუნქტის „ა“, ან „გ“ (ყოველ 4 მეტრზე) ან „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

დ) 20 საჯარიმო ქულა, ყოველ ჯერზე, თითოეული დარღვევისათვის, თუ დაირღვა ამ წესის 35-ე მუხლის:

დ.ა) მე-2 პუნქტის „ა.დ“, „გ.ე“’, „დ.ე“ ან „დ.ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

დ.ბ) მე-2 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა, თუ ავტომობილმა შეუჩერებლივ გადაკვეთა „სდექ“ ხაზი, მაგრამ არა უმეტეს 1 მეტრისა;

დ.გ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა;

ე) დადგენილ საჯარიმო ქულასთან ერთად დამატებით 15 საჯარიმო ქულა, იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ე“ და „ე.დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნის დარღვევისას, ავტომობილის გაჩერებას თან ახლავს ძრავის გათიშვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 37[1]. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და მისი შეფასების წესი

1. „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს შემდეგი საგამოცდო ელემენტი:

ა.ა) „უკუსვლით პარკირება“;

ა.ბ) (ამოღებულია - 07.09.2022, №88);

ა.გ) „პლატფორმასთან უკუსვლით დაყენება“;

ა.დ) „მისაბმელის გადაბმა და ჩახსნა“;

ბ) „პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამოავლინოს იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევები.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ამ მუხლის პირველი პუნქტებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით (გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული შემთხვევისა) დადგენილი თითოეული საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;

ბ) 10 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;

გ) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 37². „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და მისი შეფასების წესი

1. „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს შემდეგი საგამოცდო ელემენტები:

ა.ა) „უკუსვლით პარკირება“;

ა.ბ) „აღმართიანი უბანი“ („აღმართი“);

ა.გ) „პლატფორმასთან უკუსვლით დაყენება“;

ბ) პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამოავლინოს იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევები.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას, მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი თითოეული საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;

ბ) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

მუხლი 38. „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა და მისი შეფასების წესი

1. „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს შემდეგი საგამოცდო ელემენტები:

ა.ა) „უკუსვლით პარკირება“;

ა.ბ) ა.ბ) „აღმართიანი უბანი“ („აღმართი“), (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.გ) „პლატფორმასთან უკუსვლით დაყენება“;

ბ) პრაქტიკული გამოცდის მსვლელობისას დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამოავლინოს იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევები.

2. პრაქტიკულ გამოცდაზე ამ მუხლის პირველი პუნქტებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი თითოეული საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;

ბ) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

[მუხლი 38. „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და მისი შეფასების წესი

1. „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით შეასრულოს შემდეგი საგამოცდო ელემენტები:

ა.ა) „უკუსვლით პარკირება“;

ა.ბ) „პლატფორმასთან უკუსვლით დაყენება“;***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

[ა.გ) „მისაბმელის გადაბმა და ჩახსნა“;***(ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)]***

[ბ) პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის მსვლელობისას დაიცვას ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამოავლინოს იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევები.

2. პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაბარებისას მძღოლობის კანდიდატს ეკისრება საჯარიმო ქულა შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით (გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) დადგენილი თითოეული საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

[ბ) 10 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი საგამოცდო ელემენტის შესრულების წესის თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე;*(ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)]*

[გ) 40 საჯარიმო ქულა – ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნის დარღვევის ყოველ ჯერზე.*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 38[1]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მიღების ორგანიზება

1. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი ტარდება ამ წესის 21[1] მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრულ დროს და მასზე მძღოლობის კანდიდატი დაიშვება, თუ:

ა) მან წარმატებით ჩააბარა პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა პრაქტიკული გამოცდის პირველი და მეორე ეტაპების ჩაბარება.

2. მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება, განმეორებით პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება ამ წესის 24[2]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, აღნიშნულ ვადაში პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე პირის დასაშვებად საჭირო არ არის პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის განმეორებით ჩაბარება.

3. ამ წესის 38[4] მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება უნდა მიმდინარეობდეს რეალური საგზაო მოძრაობის სხვადასხვა პირობებში, მოძრაობის სხვადასხვა ინტენსივობის გზებზე (შესაბამისი საგამოცდო სამსახურის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით):

ა) დაუსახლებელ პუნქტებში;

ბ) ავტომაგისტრალზე ან სხვა მსგავს გზაზე ან იმ გზაზე, რომელზედაც მოძრაობა ნებადართულია 80 კმსთ-ზე მეტი სიჩქარით;

გ) დასახლებულ პუნქტებში, გზებზე, სადაც მოძრაობა ნებადართულია არაუმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით.

4. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ხანგრძლივობა და მანძილი ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ შესაძლებელი იყოს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული მოქმედებების, ასევე სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის შეფასება. „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე საგამოცდო ავტომობილის უშუალოდ საგზაო მოძრაობაში მართვისათვის განკუთვნილი დრო (საგამოცდო მარშრუტის გავლისათვის საჭირო დრო) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 25 წუთს, ხოლო „C“, „D“, კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე – არანაკლებ 45 წუთს.

[4. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ხანგრძლივობა და მანძილი ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ შესაძლებელი იყოს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული მოქმედებების, ასევე, სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის შეფასება.

„B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე საგამოცდო ავტომობილის უშუალოდ საგზაო მოძრაობაში მართვისათვის განკუთვნილი დრო (საგამოცდო მარშრუტის გავლისათვის საჭირო დრო) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 25 წუთს, ხოლო „C“, „D“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე – არანაკლებ 45 წუთს.*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

5. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი ტარდება ამ წესის დანართი №5-ით დამტკიცებული საგამოცდო მარშრუტის (შემდგომ – საგამოცდო მარშრუტი) შესაბამისად, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი. თითოეული საგამოცდო სამსახურისათვის შეიძლება შემუშავდეს რამდენიმე საგამოცდო მარშრუტი.

5[1]. დანართი №5-ით დამტკიცებულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტებია:

ა) „B“ და „BE“ კატეგორიებისთვის – ქ. რუსთავი, საგამოცდო მარშრუტი №1-№8; ქ. თელავი, საგამოცდო მარშრუტი №1-№2[3]; ქ. გორი, საგამოცდო მარშრუტი №1-№4; ქ. ახალციხე, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. საჩხერე, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. ქუთაისი, საგამოცდო მარშრუტი №1-№4; ქ. ოზურგეთი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. ფოთი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. ბათუმი, საგამოცდო მარშრუტი №1-№2; ქ. ზუგდიდი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3;

ბ) „C“ კატეგორიისთვის/„C1“ და „D1“ ქვეკატეგორიებისთვის – ქ. რუსთავი, საგამოცდო მარშრუტი №9-№10; ქ. თელავი, საგამოცდო მარშრუტი №3-№4; ქ. ქუთაისი, საგამოცდო მარშრუტი №5-№6; ქ. ფოთი, საგამოცდო მარშრუტი №4-№5;

გ) „D“ კატეგორიისთვის – ქ. რუსთავი, საგამოცდო მარშრუტი №9-№10; ქ. ქუთაისი, საგამოცდო მარშრუტი №5-№6.

6. მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამოცხადდეს რიგის ჯავშნით გათვალისწინებულ დრომდე 15 წუთით ადრე. გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატის აღნიშნული დროის დარღვევით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ან რიგის ჯავშნით გათვალისწინებულ დრომდე 72 საათზე ნაკლებ დროში პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გასვლაზე უარის გაცხადების შემთხვევაში (გარდა ამ წესის 38[2] მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), გამომცდელის მიერ ხდება მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაცია. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მძღოლობის კანდიდატს გადახდილი მომსახურების საფასური (მათ შორის დაჩქარებული მომსახურების საფასური) უბრუნდება მხოლოდ ნაწილობრივ (საფასურის 50 %) კანონით დადგენილი წესით.

7. მძღოლობის კანდიდატს გამომცდელის ვინაობისა და საგამოცდო მარშრუტის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქვს მხოლოდ უშუალოდ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დაწყების წინ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 19 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 20.04.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №63 - ვებგვერდი, 23.08.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 22 აპრილის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 23.04.2024წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 12 ივლისის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 15.07.2024წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 38[2]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მიღება

1. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დაწყებამდე გამომცდელი მძღოლობის კანდიდატს აცნობს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ჩატარების და შეფასების სისტემის ზოგად პრინციპებს. ამასთან, მძღოლობის კანდიდატს უფლება აქვს, გამომცდელის მიერ განსაზღვრულ დროში, მგზავრობისათვის მომზადებისას გაეცნოს საგამოცდო ავტომობილს და გამომცდელს დაუსვას კითხვები მოცემული საგამოცდო ავტომობილის მართვის ისეთი თავისებურებების შესახებ, როგორიცაა მძღოლის სავარძლის რეგულირების მექანიზმი, უკუხედვის სარკეებისა და საჭის სიმაღლის რეგულირების მექანიზმის ადგილმდებარება, გადაცემათა გადართვის სქემა, სადგომი მუხრუჭის ადგილმდებაროება და მუშაობის რეჟიმი, მოხვევის შუქმაჩვენებლისა და მინამრეცხების მუშაობის რეჟიმი.

2. საგამოცდო მარშრუტზე მოძრაობის მიმართულება მძღოლობის კანდიდატს მიეთითება საგამოცდო ავტომობილში დამონტაჟებული ელექტრონული სისტემის ხმოვანი სიგნალით ან გამომცდელის მიერ. ამასთან, ხმოვან სიგნალსა და გამომცდელის მითითებას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამომცდელის მითითებას. გამომცდელს აგრეთვე უფლება აქვს, მძღოლობის კანდიდატს მოსთხოვოს მოძრაობის ზოლის შეცვლა (გადაჯგუფება), სხვა სატრანსპორტო საშუალების გასწრება, საგამოცდო ავტომობილის გაჩერება და სხვა მოქმედებების შესრულება, ასევე მისცეს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპთან დაკავშირებული ორგანიზაციული, უსაფრთხოების უზრუნველმყოფი და ამ წესით გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო სხვა სახის მითითებები. გამომცდელის მითითება უნდა იყოს დროული და მკაფიო.

3. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი წყდება, ამასთან, მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია დაუყოვნებლივ გააჩეროს საგამოცდო ავტომობილი გამომცდელის მიერ მითითებულ უსაფრთხო ადგილზე.

4. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ გამომცდელი მძღოლობის კანდიდატს ზეპირად აცნობებს გამოცდის შედეგს, ხოლო მძღოლობის კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, ზოგადად განუმარტავს მას დაშვებულ შეცდომებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მძღოლობის კანდიდატის წერილობით მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი საგამოცდო სამსახური ვალდებულია მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში გასცეს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შედეგების ამსახველი საგამოცდო ოქმი (შემდგომ – საგამოცდო ოქმი).

4[1]. მძღოლობის კანდიდატს საგამოცდო ოქმის გაცემის მოთხოვნის უფლება აქვს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შესაბამისი გამოცდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საგამოცდო ოქმი არ გაიცემა.

5. სააგენტო უფლებამოსილია არადამაკმაყოფილებლად შეფასებული პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შედეგების ამსახველი საგამოცდო ოქმი ასევე გასცეს სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთვის გზით. სააგენტოს ვებგერდზე საგამოცდო ოქმი ინახება 30 დღის განმავლობაში.

6. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი სრულდება შეფასების გარეშე, თუ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი არ დაიწყო ან შეწყდა:

ა) მძღოლობის კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო;

ბ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (ავარია) გამო, რომელიც გამოწვეული არ არის მძღოლობის კანდიდატის ბრალეულობით;

გ) კლიმატური პირობების გაუარესების გამო;

დ) საგამოცდო ავტომობილის/ელექტრონული პროგრამის (მოწყობილობის) მწყობრიდან გამოსვლის გამო;

ე) გამომცდელის გადაწყვეტილებით, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს მძღოლობის კანდიდატის არამართლზომიერი მოქმედებიდან ან უმოქმედობიდან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული გარემოების წარმოშობის შემთხვევაში გამოცდის არდაწყების ან დაწყებული გამოცდის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გამომცდელი

(მძღოლობის კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფუძვლის არსებობისას ამ მუხლის 7^1 და 7^2 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით). შეწყვეტილი/არდაწყებული გამოცდა ხელახლა ტარდება შეწყვეტის/არდაწყების საფუძვლის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, რიგის დაჯავშნისა და მომსახურების საფასურის დამატებით გადახდის გარეშე. გამოცდის შეწყვეტიდან/არდაწყებიდან გამოცდის ხელახლა ჩატარებამდე არსებული პერიოდი არ გაითვალისწინება ამ წესის 24^2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გამოთვლისას. გამოცდის შეწყვეტის საფუძვლის გონივრულ ვადაში აღმოფხვრისას, მძღოლობის კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გამომცდელი უფლებამოსილია გააგრძელოს გამოცდა. მძღოლობის კანდიდატი გამომცდელს თანხმობას განუცხადებს ზეპირად. გამოცდა გაგრძელდება იმ ადგილიდან, სადაც წარმოიშვა მისი შეწყვეტის საფუძველი. ამასთანავე, გამოცდის შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობამდე დაშვებული შეცდომები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

7^1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მძღოლობის კანდიდატის მოთხოვნით პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის არდაწყების ან დაწყებული გამოცდის შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურება ჩაითვლება გაწეულად. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვების საფასურის დაბრუნება შესაძლებელია სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის შემთხვევაში.

7^2. თუ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გამომცდელს წარმოეშვა გონივრული ეჭვი მძღოლობის კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნულის თაობაზე კითხვით მიმართავს მძღოლობის კანდიდატს. ამასთან, მძღოლობის კანდიდატის მიერ გამომცდელის კითხვაზე პასუხის არგაცემის ან აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაში, გამოცდა არ დაიწყება, დაწყებული გამოცდა შეწყდება, ხოლო მომსახურება ჩაითვლება გაწეულად. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაშვების საფასურის დაბრუნება შესაძლებელია სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის შემთხვევაში.

8. ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ ან „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება მხოლოდ ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით.

9. მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ ან „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით, ხოლო მისი მოთხოვნის შემთხვევაში – ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“ ან „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით.

10. გამომცდელი უფლებამოსილია როგორც პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დაწყებამდე, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას მძღოლობის კანდიდატს მოსთხოვოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმების გავლა. შემოწმების საფუძველზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის დადგენის ან მძღოლობის კანდიდატის მიერ შემოწმებისათვის თავის არიდების შემთხვევაში პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი არ დაიწყება, ხოლო დაწყებული წყდება და ხდება მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაცია. ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმების სააგენტოს მიერ ჩატარების შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ალკოჰოლური სიმთვრალის ფაქტის დადგენის მარეგულირებელი დებულებები.

11. თუ ამ მუხლით და ამ წესის 38^3 მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მიმართ გამოიყენება ამ წესის 32-ე მუხლის მე-8, მე-10, მე-12 და მე-13 პუნქტებითა და 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები (წესები).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.01.2024 წ.

მუხლი 38³. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს ამ წესის 38⁷ მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დაცვითა და უნარ-ჩვევების გამოვლენით შემდეგი მოქმედებების შესრულებას:

ა) მგზავრობის დაწყებამდე:

ა.ა) სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;

ა.ბ) საგზაო მოძრაობისთვის მომზადება;

ბ) საგამოცდო მარშრუტისა და გზაზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საგზაო მოძრაობის რეალურ პირობებში:

ბ.ა) მოძრაობის დაწყება: მდგომი სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან დაძვრა, მიმდებარე ტერიტორიიდან გზაზე გასვლა, მანევრის შესასრულებლად გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან დაძვრა (მოძრაობის განახლება);

ბ.ბ) მოძრაობა გზის სწორ მონაკვეთზე, გვერდის აქცევა: სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა გზის სწორ მონაკვეთზე, შემხვედრი სატრანსპორტო საშუალებისათვის გვერდის აქცევა, მათ შორის ისეთ გზაზე, სადაც გვერდის აქცევა შეუძლებელია ან გართულებულია;

ბ.გ) მოძრაობა მიხვეულ-მოხვეული გზის მონაკვეთზე: მოძრაობა მიხვეულ-მოხვეული გზის მონაკვეთზე;

ბ.დ) მოძრაობა გზაჯვარედინზე: არარეგულირებულ და რეგულირებულ გზაჯვარედინთან მიახლოვება და გზაჯვარედინის გავლა;

ბ.ე) მოძრაობის მიმართულების შეცვლა: მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევა, მობრუნება, უკუსვლით მოძრაობა, საგზაო მოძრაობის ზოლის შეცვლა (გადაჯგუფება);

ბ.ვ) მოძრაობა ავტომაგისტრალზე: მოძრაობა ავტომაგისტრალზე ან სხვა მსგავს (გათანაბრებული) გზაზე ან/და ისეთ გზაზე, რომელზედაც მოძრაობა ნებადართულია 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, ავტომაგისტრალზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აჩქარების ზოლზე შესვლა და შენელების ზოლზე გადასვლა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ.ზ) გასწრება და დაბრკოლების შემოვლა: სხვა სატრანსპორტო საშუალებების გასწრება მარჯვენა და მარცხენა მხრიდან, გზის სავალ ნაწილზე არსებული დაბრკოლების შემოვლა (მაგ.: მდგომი სატრანსპორტო საშუალებების შემოვლა), სხვა სატრანპორტო საშუალებების მიერ საგამოცდო ავტომობილის გასწრება (ასეთი საჭიროების შემთხვევაში);

ბ.თ) გზის სხვადასხვა სირთულის მქონე მონაკვეთზე მოძრაობა: გზის ისეთ სახიფათო მონაკვეთებზე მოძრაობა, როგორიცაა: რკინიგზის შლაგბაუმიანი ან უშლაგბაუმო გადასასვლელი, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებების ადგილი, ქვეითთა გადასასვლელი, ციცაბოაღმართიანი და ციცაბოდაღმართიანი გზის მონაკვეთი ან სხვა;

ბ.ი) სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოსვლისას უსაფრთხოების ზომების მიღება: პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დასრულებისას საგამოცდო ავტომობილის უსაფრთხოდ დაყენება და საგამოცდო ავტომობილიდან უსაფრთხოდ გადმოსვლა.

ბ.კ) სატრანსპორტო საშუალების აჩქარებისას, შენელებისას და აღმართზე და დაღმართზე მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალების ისე მართვა, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას და საწვავის მოხმარებისა და გამონაბოლქვის შემცირებას, საჭიროების შემთხვევაში,

გადაცემების შერჩევის გზით (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში).

[ბ.კ) სატრანსპორტო საშუალების აჩქარებისას, შენელებისას და აღმართზე და დაღმართზე მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალების ისე მართვა, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას და საწვავის მოხმარებისა და გამონაბოლქვის შემცირებას, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემების შერჩევის გზით (მხოლოდ „C“, „D“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში).*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №108 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 38[4]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასების წესი

1. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულება ფასდება 38[3] მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას მძღოლობის კანდიდატის მიერ ამავე წესის 38[7] მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დაცვისა და გამოვლენილი უნარ-ჩვევების მიხედვით.

2. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასებისას გამომცდელის მიზანია არა მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული შეცდომების ზედმიწევნით ზუსტი აღრიცხვა, არამედ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფით, საგამოცდო ავტომობილის მართვის პროცესში მძღოლობის კანდიდატის მიერ თეორიული ცოდნის გამოყენების ეფექტურობის შემოწმება. ამასთან, თითოეული მოქმედების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მძღოლობის კანდიდატის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის სიიოლის ხარისხი და სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვის (მათ შორის, სატრანსპორტო ნაკადში) უნარ-ჩვევები.

3. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგამოცდო ავტომობილის მართვისას რამდენად ავლენს მძღოლობის კანდიდატი უსაფრთხო და საზოგადოებრივ ქცევას (პოზიტიური და ნეგატიური ჩვევები), რაც უნდა ქმნიდეს მართვის საერთო სტილს და გათვალისწინებულ იქნეს მძღოლობის კანდიდატის შეფასების საერთო სურათში, რაც მოიცავს სატრანსპორტო საშუალების მისადაგებულ, დამაჯერებელ (უსაფრთხო) მართვის სტილს საგზაო პირობების (ადგილის რელიეფი, გზისა და სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, ატმოსფერული პირობები, მოძრაობის ინტენსივობა, არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობა და სხვა) გათვალისწინებით, აგრეთვე საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების (განსაკუთრებით, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ველოსიპედისტები) ინტერესების გათვალისწინებას და მათი მოქმედებების გაანალიზებისა და წინასწარ განჭვრეტის უნარს. ამასთან, მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილი ისე უნდა მართოს, რომ მასში მჯდომი გამომცდელი თავს გრძნობდეს უსაფრთხოდ.

4. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ფასდება შეცდომის ხარისხიდან გამომდინარე ამ წესის 38[8] მუხლით განსაზღვრულ მსუბუქ შეცდომად ან მძიმე შეცდომად, ხოლო ამავე წესის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში იწვევს მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაციას.

5. მსუბუქ შეცდომას წარმოადგენს მძღოლობის კანდიდატის ქმედება, რომელიც გამოხატავს მძღოლობის კანდიდატის სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარ-ჩვევების არასაკმარისად მაღალ ხარისხს, მაგრამ თავისთავად ან კონკრეტულ სიტუაციაში არ წარმოადგენს საფრთხეს საგზაო მოძრაობის მონაწილისათვის ან ხელს არ უშლის საგამოცდო ავტომობილის უსაფრთხოდ მართვას, ანუ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას.

6. მძიმე შეცდომას წარმოადგენს მძღოლობის კანდიდატის ქმედება, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კრიტერიუმს:

ა) გამოხატავს მძღოლობის კანდიდატის სატრანსპორტო საშუალების მართვის უნარ-ჩვევების არასათანდო დონეს ან არასაკმარის სიფრთხილეს ან უპატივცემულობას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიმართ;

ბ) შეიძლება წარმოადგენდეს/წარმოადგენს საფრთხეს საგზაო მოძრაობის ნებისმიერი მონაწილისათვის, ან შეიძლება ხელი შეუშალოს/ხელს უშლის საგამოცდო ავტომობილის უსაფრთხო მართვას (შემდგომ – პოტენციურად საფრთხის შემცველი სიტუაცია);

გ) ამ წესით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში მძღოლობის კანდიდატის მიერ ცალკეული მსუბუქი შეცდომების მეექვსედ დაშვება.

7. თუ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება (მოქმედება/უმოქმედობა) გათვალისწინებულია ამ წესის 38[8] მუხლის ზოგადი და სპეციალური ნორმებით, მძღოლობის კანდიდატის კონკრეტული ქმედება შეფასდება მხოლოდ სპეციალური ნორმით, ხოლო თუ მძღოლობის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება (მოქმედება/უმოქმედობა)ამ წესის 38[8] მუხლის შესაბამისად მიჩნეულია როგორც მსუბუქ, ასევე მძიმე შეცდომად, მძღოლობის კანდიდატის კონკრეტული ქმედება შეფასდება მძიმე შეცდომად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 38[5]. მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული მსუბუქი შეცდომების აღრიცხვის წესი

1. მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული მსუბუქი შეცდომები ფიქსირდება შემდეგი წესით:

ა) მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული ამ წესის 38[8] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მგზავრობის დაწყებამდე შემოწმებასთან დაკავშირებული თითოეული ქმედების/დავალების შეუსრულებლობისათვის – ერთხელ;

ბ) მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული ამ წესის 38[8] მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტომობილის გარე სანათი ხელსაწყოებისა და მართვის დამატებითი (დამხმარე) სხვა საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ბ) მე-3 პუნქტის „ა.გ“-„ა.მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაბმულობის მართვასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.გ) მე-5 პუნქტით განსაზღვრული აქსელერატორის მართვასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არუმეტეს სამჯერ;

ბ.დ) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დამუხრუჭებასა და გაჩერებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ე) მე-7 პუნქტის „ა.გ“-„ა.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საჭის მართვასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ვ) მე-8 პუნქტის:

ბ.ვ.ა) „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.დ“, „ა.ე“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დაკვირვებასა და მეთვალყურეობასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ვ.ბ) „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უკუხედვის გარე ან/და შიდა სარკეების გამოყენებასთან დაკავშირებული მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ზ) მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფრთხის გამოვლენასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.თ) მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უპირატესობის (პრიორიტეტი)/გზის დათმობის (დაბრკოლების არშექმნა) და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ი) მე-11 პუნქტის:

ბ.ი.ა) „ა.კ“-„ა.მ“ და „ა.ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მარცხნივ მოხვევის წინ გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ი.ბ) „ა.ნ“ და „ა.ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მარცხნივ მოხვევის შემდეგ გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ი.გ) „ა.თ“ და „ა.ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მარჯვნივ მოხვევის წინ გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ი.დ) „ა.ი“, „ა.ი[1]“ და „ა.ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მარჯვნივ მოხვევის შემდეგ გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.კ) მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისტანციისა და გვერდითი ინტერვალის დაცვასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.ლ) მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სიჩქარის შერჩევასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

ბ.მ) მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მარეგულირებლისა და შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, ასევე საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს სამჯერ;

გ) მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული ამ წესის 38[8] მუხლის:

გ.ა) მე-3 პუნქტის:

გ.ა.ა) „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ძრავის ჩაქრობასთან დაკავშირებული მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.ა.ბ) „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაბმულობის მართვასთან დაკავშირებული მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.ბ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცემის შერჩევასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.გ) მე-7 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საჭის მართვასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.დ) მე-8 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაკვირვებასა და მეთვალყურეობასთან დაკავშირებული მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.ე) (ამოღებულია - 07.09.2022, №88);

გ.ვ) მე-11 პუნქტის „ა.ა“-„ა.ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

გ.ზ) მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შუქ-მაჩვენებლის გამოყენებასთან დაკავშირებული ერთიდაიგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა – არაუმეტეს ხუთჯერ (შეცდომის მეექვსედ დაშვება მიიჩნევა მძიმე შეცდომად);

დ) მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული თითოეული მსუბუქი შეცდომა, რომელიც არ ფიქსირდება ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით – ფიქსირდება ყოველ ჯერზე ერთხელ.

1[1]. მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული მსუბუქი შეცდომა, რომელიც უწყვეტად ხორციელდება, ფიქსირდება ყოველი გზაჯვარედინიდან გზაჯვარედინამდე არსებულ გზის მონაკვეთზე, როგორც ხელახლა დაშვებული შეცდომა, ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებული შეცდომები შესაძლოა გამოვლინდეს:

ა) სპეციალური ელექტრონული მოწყობილობისა და მასში ჩატვირთული პროგრამის მეშვეობით. ამასთან, გამომცდელს უფლება აქვს, გააუქმოს შეცდომის დაფიქსირების ავტომატური მეთოდით გამოვლენილი შეცდომა, თუ მძღოლობის კანდიდატის შეცდომა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე ან შეცდომა დაფიქსირდა ელექტრონული მოწყობილობის/პროგრამის ტექნიკური გაუმართაობის გამო;

ბ) უშუალოდ გამომცდელის მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

მუხლი 38[6]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შეფასება და საგამოცდო ოქმი

1. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი ფასდება:

ა) დამაკმაყოფილებელი შეფასებით, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რომელიმე გარემოება;

ბ) არადამაკმაყოფილებელი შეფასებით, თუ გამოცდის მსვლელობისას დაფიქსირდა:

ბ.ა) ერთი მძიმე შეცდომა;

ბ.ბ) 12 ან მეტი მსუბუქი შეცდომა;

ბ.გ) ერთი ან მეტი გარემოება, რომელიც წარმოადგენს დისკვალიფიკაციის საფუძველს.

2. გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შეფასების საფუძვლის წარმოშობისთანავე გამოცდა წყდება.

3. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე საგამოცდო ავტომობილის მართვაში გამომცდელი ფიზიკურად ან სიტყვიერად ჩაერევა:

ა) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (ავარია) თავიდან აცილების მიზნით;

ბ) მძღოლობის კანდიდატის მიერ საგამოცდო ავტომობილის არაადეკვატური ან აგრესიული მართვის გამო საფრთხის შემცველი სიტუაციის (მაგ.: მძღოლობის კანდიდატის ისეთი მოქმედება, რაც მოძრაობის სხვა მონაწილეს იძულებულს ხდის უეცრად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება ან სიჩქარე) თავიდან აცილების მიზნით;

გ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ნებისმიერ ეტაპზე, მძღოლობის კანდიდატის შესაბამისი უნარის არქონის ან მისი ვერ გამოვლენის გამო მძღოლობის კანდიდატის დახმარების მიზნით.

აღნიშნული გულისხმობს მძღოლობის კანდიდატის ნაცვლად მოქმედების შესრულებას ან მძღოლობის კანდიდატისთვის რომელიმე მოქმედების შერულების თაობაზე მითითების მიცემას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან მოძრაობის დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით ან გამოცდის დასრულების არაგონივრულად შეფერხების აღმოფხვრის საჭიროების გამო.

4. ამ წესის 38[8] მუხლით განსაზღვრული მსუბუქი და მძიმე შეცდომები, ასევე ამავე წესის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დისკვალიფიკაციის საფუძვლები ფიქსირდება მექანიკურად ან ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ხოლო საბოლოო შედეგი აისახება საგამოცდო ოქმში. ამასთან, გამომცდელი უფლებამოსილია საგამოცდო ოქმში არ ასახოს ის მსუბუქი შეცდომები, რომლებიც დაფიქსირებული იყო მძღოლობის კანდიდატის მიერ მძიმე შეცდომის დაშვებამდე ან დისკვალიფიკაციის საფუძვლის წარმოშობამდე.

5. საგამოცდო ოქმში შეიტანება:

ა) მძღოლობის კანდიდატის პერსონალური მონაცემები: მძღოლობის კანდიდატის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხოლო იმ პირის შემთხვევაში, რომელზეც საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული არ არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;

ბ) სატრანსპორტო საშუალების კატეგორია, რომლის მართვის უფლების მოსაპოვებლად ტარდება პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი;

გ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ჩატარების თარიღი;

დ) საგამოცდო ავტომობილის გადაცემათა კოლოფის შესახებ ინფორმაცია (მექანიკური/ავტომატური);

ე) საგამოცდო მარშრუტის ნომერი;

ვ) გამომცდელის სახელი, გვარი;

ზ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შეფასება;

თ) პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შეფასების გარეშე შეწყვეტის საფუძველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) ამ წესის 38[8] მუხლით გათვალისწინებული ის მსუბუქი შედომა, რომელიც დაფიქსირდა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მსვლელობისას;

კ) ამ წესის 38[8] მუხლით გათვალისწინებული ის მძიმე შეცდომა, რომელიც დაფიქსირდა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მსვლელობისას;

ლ) ამ წესის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ის დისკვალიფიკაციის საფუძველი, რომელიც დაფიქსირდა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მსვლელობისას;

მ) გამომცდელის ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ი“-„ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები საგამოცდო ოქმში შესაძლებელია:

ა) შეტანისას ასევე აღნიშნულ იქნეს (მიეთითოს) ამ წესის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის ნუმერაციისას გამოყენებული ციფრებით და ქვეპუნქტის თანმიმდევრობის აღმნიშვნელი ქართული ანბანის ასოებით (პრიმა მუხლის, პუნქტისა და ქვეპუნქტის აღმნიშვნელი დამატებითი ციფრი შეიტანება ფრჩხილებში), მაგალითად, ამ წესით გათვალისწინებული 38[8] მუხლის მე-4 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი შეიტანება შემდეგი სახით: 38(8)/4/ა.ბ;

ბ) შეტანილ იქნეს სრულად ან ნაწილობრივ კოდირებული სახით, რომელთა მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია თავსდება სააგენტოს ვებგვერდზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 38[7]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და უნარ-ჩვევები

1. ამ წესის 383 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოქმედების შესრულება გულისხმობს გამომცდელის დავალების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე მძღოლობის კანდიდატის მიერ პასუხის გაცემას ვიზუალურად ჩვენებით, შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით ან სხვა მოქმედებით ან/და ზეპირად (ზეპირი პასუხის გადმოცემა შესაძლებელია თავისუფალი თხრობით, თუმცა პასუხი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი დავალების პასუხს). სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმებასთან დაკავშირებით გამომცდელის მიერ მძღოლობის კანდიდატისათვის შერჩევითად შეიძლება მიცემულ იქნეს შემდეგი დავალებები (2 დავალება):

[1. ამ წესის 38[3] მუხლის ,,ა.ა'' ქვეპუნქტით განსაზღვრული მოქმედების შესრულება გულისხმობს გამომცდელის დავალების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე მძღოლობის კანდიდატის მიერ პასუხის გაცემას ვიზუალურად ჩვენებით, შესაბამისი ხელსაწყოს გამოყენებით ან სხვა მოქმედებით ან/და ზეპირად (ზეპირი პასუხის გადმოცემა შესაძლებელია თავისუფალი თხრობით, თუმცა, პასუხი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს ამ პუნქტის ,,ა''-,,დ'' ქვეპუნქტებით შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი დავალების პასუხს). სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმებასთან დაკავშირებით გამომცდელის მიერ მძღოლობის კანდიდატისათვის შერჩევითად შეიძლება მიცემულ იქნეს შემდეგი დავალებები (2 დავალება):*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

ა) „B“ კატეგორიის საგამოცდო ავტომობილზე:

ა.ა) განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავში ზეთის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: ჰორიზონტალურ სიბრტყეზე გამორთული ძრავით მდგომი ავტომობილის ძრავიდან ამოღებული უნდა იქნეს ზეთის დონის შესამოწმებელი ცეცი, რომელიც გაწმენდის შემდეგ კვლავ თავსდება მის ბუდეში და განმეორებით ამოღების შემდეგ მასზე მოწმდება ზეთის კვალი, რომლის ზედა ზღვარი უნდა იყოს ცეცზე აღნიშნული მაქსიმუმისა და მინიმუმის ნიშნულებს შორის);

ა.ბ) განმარტოს, როგორ მოწმდება რეზერვუარში სამუხრუჭო სითხის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: სამუხრუჭო სითხის დასაშვები მაქსიმალური და მინიმალური დონეების ნიშნულების მქონე რეზერვუარში სამუხრუჭე სითხის დონე უნდა იყოს აღნიშნულ ნიშნულებს შორის);

ა.გ) განმარტოს, როგორ მოწმდება მუშა მუხრუჭის გამართულობა (პასუხი: ძრავის ჩართვამდე მუხრუჭის სატერფულზე რამდენჯერმე დაწოლის შემდეგ, სატერფულზე მუდმივ რეჟიმში ერთ დონეზე ზემოქმედებისას (სატერფულზე დაჭერილი ფეხის გაჩერებით) უნდა ჩაირთოს ძრავა. ძრავის ჩართვამ უნდა გამოიწვიოს სატერფულის გარკვეულ დონემდე (არა ბოლომდე) თავისუფლად დაშვება, რის შემდეგ, სატერფულზე არ უნდა შეიგრძნობოდეს ზედმეტი სირბილე. ამასთან, მოძრაობის პირობებში დამუხრუჭებისას სატრანსპორტო საშუალებას არ უნდა „ქაჩავდეს“ გვერდზე);

ა.დ) განმარტოს, როგორ მოწმდება სადგომი მუხრუჭის გამართულობა (პასუხი: ჰორიზონტალურ სიბრტყეზე სრულად ჩართული სადგომი მუხრუჭით, ძრავიდან გამორთული ტრანსმისიით მდგომი სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან დაძვრა (გაგორება) ადამიანის მიერ ხელის მიწოლით შეუძლებელი უნდა იყოს);

ა.ე) განმარტოს, სად მოიძიება ინფორმაცია საბურავებში რეკომენდებული ჰაერის წნევის შესახებ (პასუხი: ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური

მომსახურების ინსტრუქციაში ან სატრანსპორტო საშუალების ძარაზე ქარხანა-დამამზადებლის მიერ დამაგრებულ სათანადო ფირნიშზე);

ა.ვ) განმარტოს, როგორ მოწმდება უსაფრთხო მოძრაობისათვის საბურავების საერთო მდგომარეობა (პასუხი: ვიზუალურად უნდა დათვალიერდეს საბურავები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მოცემული სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციით განსაზღვრულს და მათზე არ უნდა აღინიშნებოდეს ჰაერის წნევის ნაკლებობის, პროტექტორის საბურავისაგან განშრევების, სხვა ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანების და საბურავის დასაშვებზე მეტი ცვეთის ნიშნები. ცვეთის ინდიკატორის არარსებობის შემთხვევაში, საბურავის ექსპლუატაციისათვის უვარგისობაზე მიუთითებს, თუ პროტექტორის ნახატის სიმაღლე 1,6 მმ-ზე ნაკლებია);

ა.ზ) განმარტოს, როგორ მოწმდება დამუხრუჭების სიგნალების გამართულობა (პასუხი: დამუხრუჭების სიგნალები (ძირითადი და დამატებითი) უნდა ირთვებოდეს მუხრუჭის სატერფულზე ზემოქმედებისას და მუშაობდეს მუდმივ რეჟიმში);

ა.თ) განმარტოს, როგორ მოწმდება საჭის გამაძლიერებლის გამართულობა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ძრავის ჩართვის შემდეგ, საგრძნობლად უნდა შემცირდეს საჭის თვლის მობრუნებისათვის საჭირო ძალა, ხოლო მართვადი თვლების სწორხაზოვანი მიმარულებით მოძრაობის მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, საჭის თვალი თვითნებურად არ უნდა მობრუნდეს. საჭის თვლის მაბრუნი ძალის ცვლილება მოხვევის კუთხის მთელ დიაპაზონში უნდა იყოს მდორე და არ უნდა საჭიროებდეს განსაკუთრებულ ძალისხმევას და საჭის თვლის შემობრუნება უნდა ხორციელდებოდეს ბიძგების, ვიბრაციისა და ხმაურის გარეშე);

ა.ი) განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: გამორთული, ცივი ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დასაშვები მაქსიმალური და მინიმალური დონეების ნიშნულების მქონე რეზერვუარში გამაგრილებელი სითხის დონე უნდა იყოს აღნიშნულ ნიშნულებს შორის);

ა.კ) განმარტოს, როგორ მოწმდება მოხვევის შუქ-მაჩვენებლების მუშაობის გამართულობა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ, უნდა ჩაირთოს მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევის შუქ-მაჩვენებლები და მათი ჩართვა უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, რის შემდეგაც, ვიზუალურად (დაიშვება, მათ შორის, მესამე პირის მეშვეობით) უნდა შემოწმდეს მათი ჩართვა (მუშაობა ციმციმის რეჟიმში), ყველა მოხვევის შუქ-მაჩვენებლის მთლიანობა, სისუფთავე და მუშაობის გამართულობა);

ა.ლ) განმარტოს, როგორ მოწმდება ფარებისა და შუქამრეკლების მწყობრში ყოფნა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ უნდა ჩაირთოს გაბარიტული სინათლეები და მათი ჩართვა უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, რის შემდეგაც ვიზუალურად (დაიშვება, მათ შორის, მესამე პირის მეშვეობით) უნდა შემოწმდეს მათი ჩართვა, ყველა გაბარიტული სინათლის და შუქამრეკლის მთლიანობა, სისუფთავე და მუშაობის გამართულობა. ამავე მეთოდით უნდა შემოწმდეს ახლო და შორი განათების ფარების მწყობრში ყოფნა. ფარების გამართულობის შესამოწმებლად შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალების წინ არსებული კედელი ან სხვა ობიექტი);

ა.მ) განმარტოს, როგორ მოწმდება მუშაობს თუ არა საავარიო შუქსიგნალიზაცია (პასუხი: უნდა ჩაირთოს საავარიო შუქსიგნალიზაცია და მისი ჩართვა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, რის შემდეგაც, ვიზუალურად (დაიშვება, მათ შორის, მესამე პირის მეშვეობით) უნდა შემოწმდეს მათი ჩართვა (საავარიო შუქსიგნალიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს მოხვევის ყველა შუქ-მაჩვენებლის სინქრონულ მუშაობას ციმციმის რეჟიმში), ყველა მოხვევის შუქ-მაჩვენებლის მთლიანობა, სისუფთავე და მუშაობის გამართულობა);

ა.ნ) განმარტოს, როგორ მოწმდება მინამრეცხის რეზერვუარში სითხის დონე (პასუხი: მინამრეცხის რეზერვუარში სითხის დონის შემოწმება შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, ხოლო ასეთი საკონტროლო მაჩვენებლის არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის ინსტრუქცია);

ა.ო) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს მათში რეკომენდებული ჰაერის წნევის არსებობაში (პასუხი: საბურავების ჰაერის წნევის შესამოწმებლად გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის ინსტრუქციები და შესაბამისი მოწყობილბები – საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფის შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებელი ან/და მანომეტრი. საბურავში ჰაერის წნევა უნდა შემოწმდეს ცივი საბურავის პირობებში);

ა.პ) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს პროტექტორის ნახატის საკმარისი სიმაღლის არსებობაში (პასუხი: საბურავების პროტექტორის ნახატის სიმაღლის შესამოწმებლად გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის ინსტრუქციები და სპეციალური თარგი ან სახაზავი. გაზომვა უნდა განხორციელდეს პროტექტორის ყველაზე მეტად გაცვეთილ ადგილას);

ა.ჟ) აჩვენოს, სად მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დონე (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს ძრავის გაგრილების სისტემის რეზერვუარი);

ა.რ) აჩვენოს, სად მდებარეობს მინამრეცხის რეზერვუარი (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს მინამრეცხის რეზერვუარი);

ა.ს) აჩვენოს, როგორ მოწმდება ხმოვანი სიგნალის გამართულობა (მძღოლობის კანდიდატმა ხმოვანი სიგნალის ღილაკზე ხელის დაჭერით უნდა ჩართოს ხმოვანი სიგნალი, რომელიც უნდა იყოს თანაბარი და საკმარისი ხმამაღლობის. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის ანთების გასაღები უნდა გადართოს შესაბამის მდგომარეობაში);

ა.ტ) აჩვენოს, სად მოწმდება ძრავში ზეთის დონე (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს ძრავში ზეთის დონის შესამოწმებელი ცეცის სახელური);

ა.უ) აჩვენოს, სად მდებარეობს სამუხრუჭე სითხის რეზერვუარი (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს სამუხრუჭე სითხის რეზერვუარი);

ბ) „BE“ კატეგორიის საგამოცდო ავტომობილზე:

ბ.ა) განმარტოს, როგორ უნდა დაიტვირთოს და დამაგრდეს ტვირთი უსაფრთხოდ მისაბმელზე (პასუხი: დატვირთვა მისაბმელზე უნდა გადანაწილდეს თანაბრად. მძიმე ტვირთი უნდა განთავსდეს მაქსიმალურად დაბლა იმისათვის, რომ ის მაქსიმალურად იყოს განლაგებული ღერძ(ებ)ის ზემოდან. შედარებით მსუბუქი და მოცულობითი ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ დატვირთვა მისაბმელ მოწყობილობაზე არ აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის სპეციფიკაციას. ტვირთი მისაბმელზე უნდა განლაგდეს სატრანსპორტო საშუალების გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონის) ფარგლებში. ამასთან, დამაგრებული ტვირთი არ უნდა გადაადგილდებოდეს და არ უნდა გადავარდეს მისაბმელიდან მოხვევის ან დამუხრუჭების დროს);

ბ.ბ) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს პროტექტორის ნახატის საკმარისი სიმაღლის არსებობაში (პასუხი: საბურავების პროტექტორის ნახატის სიმაღლის შესამოწმებლად გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის ინსტრუქციები და სპეციალური თარგი ან სახაზავი. გაზომვა უნდა განხორციელდეს პროტექტორის ყველაზე მეტად გაცვეთილ ადგილას. ცვეთის ინდიკატორის არარსებობის შემთხვევაში, პროტექტორის ნახატის სიმაღლე (მათ შორის, მისაბმელის საბურავის) არ უნდა იყოს 1,6 მმ-ზე ნაკლები);

ბ.გ) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს საბურავების საერთო მდგომარეობის უსაფრთხოებაში (პასუხი: საბურავების საერთო მდგომარეობის შესამოწმებლად საბურავები უნდა დათვალიერდეს ვიზუალურად, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მოცემული

სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციით განსაზღვრულს და მათზე არ უნდა აღინიშნებოდეს ჰაერის წნევის ნაკლებობის, პროტექტორის საბურავისაგან განშრევების, სხვა ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანების და საბურავის დასაშვებზე მეტი ცვეთის ნიშნები);

ბ.დ) განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: გამორთული, ცივი ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დასაშვები მაქსიმალური და მინიმალური დონეების ნიშნულების მქონე რეზერვუარში გამაგრილებელი სითხის დონე უნდა იყოს აღნიშნულ ნიშნულებს შორის);

ბ.ე) განმარტოს, როგორ მოწმდება სადგომი მუხრუჭის გამართულობა (პასუხი: ჰორიზონტალურ სიბრტყეზე სრულად ჩართული სადგომი მუხრუჭით, ძრავიდან გამორთული ტრანსმისიით მდგომი სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან დაძვრა (გაგორება) ადამიანის მიერ ხელის მიწოლით შეუძლებელი უნდა იყოს);

ბ.ვ) აჩვენოს, როგორ მოწმდება ხმოვანი სიგნალის გამართულობა (მძღოლობის კანდიდატმა ხმოვანი სიგნალის ღილაკზე ხელის დაჭერით უნდა ჩართოს ხმოვანი სიგნალი, რომელიც უნდა იყოს თანაბარი და საკმარისი ხმამაღლობის. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის ანთების გასაღები უნდა გადართოს შესაბამის მდგომარეობაში);

ბ.ზ) აჩვენოს, სად მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დონე (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს ძრავის გაგრილების სისტემის რეზერვუარი);

ბ.თ) აჩვენოს, როგორ მოწმდება, არის თუ არა სატრანსპორტო საშუალების და მისაბმელის კარი სანდოდ და უსაფრთხოდ დაკეტილი (მძღოლობის კანდიდატმა ფიზიკური შემოწმება უნდა განახორციელოს იმაში დასარწმუნებლად, რომ ავტომობილისა და მისაბმელის ყველა კარი დაკეტილია და ავტომობილის შიდა სანათ(ებ)ი გამორთულია);

გ) „C“ და „D“ კატეგორიების/„C1“ და „D1“ ქვეკატეგორიების საგამოცდო ავტომობილებზე:

გ.ა) განმარტოს, უსაფრთხოების ძირითადი ფაქტორები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის დროს (პასუხი: დატვირთვა თანაბრად უნდა იყოს განაწილებული სატრანსპორტო საშუალების მთელ სიგრძეზე, ისე, რომ გავლენა არ იქონიოს სატრანსპორტო საშუალების ეფექტურ მართვაზე. ნებისმიერი ტვირთი ისე უნდა იქნეს გადაზიდული, რომ საფრთხე არ შეუქმნას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს. ტვირთი უსაფრთხოდ უნდა განლაგდეს სატრანსპორტო საშუალების გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონა) ფარგლებში. ამასთან, დამაგრებული ტვირთი არ უნდა გადაადგილდებოდეს და არ უნდა გადავარდეს სატრანსპორტო საშუალებიდან მოხვევის ან დამუხურუჭების დროს);

გ.ბ) განმარტოს, როგორ მოწმდება შუქამრეკლების გამართული მუშაობა (პასუხი: უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა შუქამრეკლი დაყენებულია, სუფთაა და ფუნქციონებს (არ არის გაბზარული ან გატეხილი));

გ.გ) განმარტოს, როგორ მოწმდება საქარე მინისა და ფანჯრების მდგომარეობა (პასუხი: საქარე მინა და ფანჯრები უნდა იყოს სუფთა, გამჭვირვალე და უდეფექტო. მათზე არ უნდა იყოს ისეთი რამ დაკრული, რაც შეზღუდავს მხედველობის არეალს);

გ.დ) განმარტოს, როგორ მოწმდება საშხეფარების (ფრთები) გამართულობა სატრანსპორტო საშუალებაზე (პასუხი: საშხეფარების (ფრთები) გამართულობა მოწმდება ვიზუალურად, ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში);

გ.ე) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს მათში რეკომენდებული ჰაერის წნევის არსებობაში (პასუხი: საბურავების ჰაერის წნევის შესამოწმებლად გამოყენებული უნდა იქნეს მწარმოებლის ინსტრუქციები და შესაბამისი მოწყობილბები – საზომი-საკონტროლო ხელსაწყოების დაფის შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებელი ან/და მანომეტრი. საბურავში ჰაერის წნევა უნდა შემოწმდეს ცივი საბურავის პირობებში);

გ.ვ) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს პროტექტორის ნახატის საკმარისი სიმაღლის არსებობაში (პასუხი: საბურავების პროტექტორის ნახატის სიმაღლის შესამოწმებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მწარმოებლის ინსტრუქციები და სპეციალური თარგი ან სახაზავი. გაზომვა უნდა განხორციელდეს პროტექტორის ყველაზე მეტად გაცვეთილ ადგილას. ცვეთის ინდიკატორის არარსებობის შემთხვევაში, პროტექტორის ნახატის სიმაღლე არ უნდა იყოს 1,0 მმ-ზე ნაკლები „C1“ ქვეკატეგორიისა და „C“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში, ხოლო „D1“ ქვეკატეგორიისა და „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში – 2,0 მმ-ზე ნაკლები);

გ.ზ) განმარტოს, როგორ მოწმდება საბურავები, რათა დარწმუნდეს საბურავების საერთო მდგომარეობის უსაფრთხოებაში (პასუხი: საბურავების საერთო მდგომარეობის შესამოწმებლად, საბურავები უნდა დათვალიერდეს ვიზუალურად, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მოცემული სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციით განსაზღვრულს და მათზე არ უნდა აღინიშნებოდეს ჰაერის წნევის ნაკლებობის, პროტექტორის საბურავისაგან განშრევების, სხვა ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისა და საბურავის დასაშვებზე მეტი ცვეთის ნიშნები);

გ.თ) განმარტოს, როგორ მოწმდება მინამრეცხის მდგომარეობა (პასუხი: მინამრეცხი უნდა მუშაობდეს და მისი ჯაგრისები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში);

გ.ი) განმარტოს, როგორ მოწმდება ავტომობილის ძარის გამართულობა (პასუხი: ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში უნდა დარწმუნდეს, რომ ძარა ვარგისია ექსპლუატაციისათვის და არ აქვს მნიშვნელოვანი დეფექტები. ძარაზე არ უნდა იყოს დაუმაგრებელი ისეთი ნაწილი ან მოწყობილობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს);

გ.კ) განმარტოს, როგორ მოწმდება ჰაერის სათანდო წნევა სამუხრუჭე სისტემაში (პასუხი: უნდა დარწმუნდეს, რომ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებელი მიუთიებს ჰაერის სათანადო წნევას, შესაბამისი მაფრთხილებელი სიგნალის მაჩვენებელი ჩამქვრალია, ხოლო ხმოვანი მაფრთხილებელი სიგნალი არ გამოსცემს ხმას);

გ.ლ) განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავში ზეთის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: ჰორიზონტალურ სიბრტყეზე გამორთული ძრავით მდგომი ავტომობილის ძრავიდან ამოღებულ უნდა იქნეს ზეთის დონის შესამოწმებელი ცეცი, რომელიც გაწმენდის შემდეგ კვლავ თავსდება მის ბუდეში და განმეორებით ამოღების შემდეგ მასზე მოწმდება ზეთის კვალი, რომლის ზედა ზღვარი უნდა იყოს ცეცზე აღნიშნული მაქსიმუმისა და მინიმუმის ნიშნულებს შორის);

გ.მ) განმარტოს, როგორ მოწმდება, რომ თვლების ქანჩები სათანადოდ არის მოჭერილი (პასუხი: ვიზუალურად უნდა შემოწმდეს მოშვებული ხომ არ არის თვლების რომელიმე ქანჩი და დარწმუნდეს, რომ თვლების ქანჩების ინდიკატორები (არსებობის შემთხვევაში) არის სათანადო მდგომარეობაში);

გ.ნ) განმარტოს, როგორ მოწმდება სატრანსპორტო საშუალების დაკიდების სისტემის მდგომარეობა (პასუხი: ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში უნდა შემოწმდეს დაკიდების სისტემა, გაცვეთის აშკარა ნიშნების ან დაზიანების არარსებობაზე);

გ.ო) განმარტოს, როგორ მოწმდება დამუხრუჭების სიგნალების გამართულობა (პასუხი: დამუხრუჭების სიგნალები (ძირითადი და დამატებითი) უნდა ირთვებოდეს მუხრუჭის სატერფულზე ზემოქმედებისას და მუშაობდეს მუდმივ რეჟიმში);

გ.პ) განმარტოს, როგორ მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის აუცილებელი დონის არსებობა (პასუხი: გამორთული, ცივი ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დასაშვები მაქსიმალური და მინიმალური დონეების ნიშნულების მქონე რეზერვუარში გამაგრილებელი სითხის დონე უნდა იყოს აღნიშნულ ნიშნულებს შორის);

გ.ჟ) განმარტოს, როგორ მოწმდება ფარების მწყობრში ყოფნა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ, უნდა ჩაირთოს გაბარიტული სინათლეები და მათი ჩართვა უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, რის შემდეგაც, ვიზუალურად (დაიშვება, მათ შორის, მესამე

პირის მეშვეობით) უნდა შემოწმდეს მათი ჩართვა და ყველა გაბარიტული სინათლის მთლიანობა, სისუფთავე და მუშაობის გამართულობა. ამავე მეთოდით უნდა შემოწმდეს ახლო და შორი განათების ფარების მწყობრში ყოფნა. ფარების გამართულობის შესამოწმებლად შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალების წინ არსებული კედელი ან სხვა ობიექტი);

გ.რ) განმარტოს, როგორ გამოიყენებს მოცემული სატრანსპორტო საშუალების ამწე მექანიზმს (სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, მაგ: პანდუსი შშმ პირებისათვის ან ტვირთის ასაწევად) (პასუხი: მძღოლობის კანდიდატმა მოკლედ უნდა ახსნას შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ამწე მექანიზმის სათანადო და უსაფრთხო მუშაობის პრინციპი);

გ.ს) განმარტოს, როგორ მოწმდება საჭის გამაძლიერებლის გამართულობა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ძრავის ჩართვის შემდეგ, საგრძნობლად უნდა შემცირდეს საჭის თვლის მობრუნებისათვის საჭირო ძალა, ხოლო მართვადი თვლების სწორხაზოვანი მიმარულებით მოძრაობის მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, საჭის თვალი თვითნებურად არ უნდა მობრუნდეს. საჭის თვლის მაბრუნი ძალის ცვლილება მოხვევის კუთხის მთელ დიაპაზონში უნდა იყოს მდორე და არ საჭიროებდეს განსაკუთრებულ ძალისხმევას და საჭის თვლის შემობრუნება უნდა ხორციელდებოდეს ბიძგების, ვიბრაციისა და ხმაურის გარეშე);

გ.ტ) განმარტოს, როგორ მოწმდება მოხვევის შუქ-მაჩვენებლების მუშაობის გამართულობა (პასუხი: სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ, უნდა ჩაირთოს მარცხნივ და მარჯვნივ მოხვევის შუქ-მაჩვენებლები და მათი ჩართვა უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, რის შემდეგაც, ვიზუალურად (დაიშვება, მათ შორის, მესამე პირის მეშვეობით) უნდა შემოწმდეს მათი ჩართვა (მუშაობა ციმციმის რეჟიმში), ყველა მოხვევის შუქ-მაჩვენებლის მთლიანობა, სისუფთავე და მუშაობის გამართულობა);

გ.უ) განმარტოს, როგორ მოწმდება მინამრეცხის რეზერვუარში სითხის დონე (პასუხი: მინამრეცხის რეზერვუარში სითხის დონე მოწმდება სატრანსპორტო საშუალების ანთების გასაღების შესაბამის მდგომარეობაში გადართვის შემდეგ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით, ხოლო ასეთი საკონტროლო მაჩვენებლის არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის ინსტრუქცია);

გ.ფ) განმარტოს, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე რა უნდა შემოწმდეს ძრავის ჩართვამდე (პასუხი: უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე ყველა საკონტროლო მაჩვენებლისა და მაფრთხილებელი სიგნალის მუშაობა);

გ.ქ) განმარტოს, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე რა მაჩვენებელი უნდა შემოწმდეს ძრავის ჩართვის შემდეგ (პასუხი: უნდა შემოწმდეს, რომ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე ყველა საკონტროლო მაჩვენებელი და მაფრთხილებელი სიგნალი მიუთითებენ ავტომობილის ტექნიკურ გამართულობაზე);

გ.ღ) აჩვენოს, სად მდებარეობს მინამრეცხის რეზერვუარი (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს მინამრეცხის რეზერვუარი);

გ.ყ) აჩვენოს, როგორ მოწმდება, რომ სატრანსპორტო საშუალების ყველა კარი, მათ შორის, სატვირთო განყოფილების კარი, არის დახურული (პასუხი: მძღოლობის კანდიდატმა სატრანსპორტო საშუალების ყველა კარი უნდა დახუროს, ხოლო სატვირთო განყოფილების კარის ჩამკეტი ბერკეტი უნდა დააყენოს რეკომენდებულ უსაფრთხო პოზიციაზე);

გ.შ) აჩვენოს, როგორ მოწმდება, არის თუ არა საჰაერო სისტემაში გაჟონვა (მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეავსოს ჰაერის რეზერვუარები და საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით შეამოწმოს ეცემა თუ არა ჰაერის წნევა, შემოუაროს სატრანსპორტო საშუალებას და ყურადღებით მოუსმინოს ნებისმიერ ხმას, რომელიც შესაძლოა მიანიშნებდეს ჰაერის გაჟონვაზე);

გ.ჩ) აჩვენოს, სად მოწმდება ძრავის გაგრილების სისტემაში გამაგრილებელი სითხის დონე (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს ძრავის გაგრილების სისტემის რეზერვუარი);

გ.ც) აჩვენოს, ტაქოგრაფში როგორ გამოცვლის მონაცემების აღრიცხვის მატარებელს (მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეძლოს ელექტრო-მექანიკურ (ანალოგური) ტაქოგრაფის პერსონალურ დიაგრამული დისკის – სააღრიცხვო ფურცლის შეცვლა. ელექტრონული (ციფრული) ტაქოგრაფის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა უნდა განმარტოს, როგორ ხორციელდება მისი გამოყენება (პასუხი: ელექტრონულ (ციფრული) ტაქოგრაფში მუშაობის რეჟიმის დასაწყებად, ტაქოგრაფის ბარათის ჩასადებში უნდა მოთავსდეს მძღოლის ბარათი, რის შემდეგაც, ტაქოგრაფის მენიუში სანავიგაციო ღილაკების მეშვეობით, შესაბამისი ჩამონათვალიდან არჩეულ უნდა იქნეს სამუშაოს დაწყების ადგილი (ქვეყანა) და ღილაკით „OK“ დადასტურდეს ქვეყნის არჩევა, ხოლო დასვენების რეჟიმი უნდა შეიცვალოს სამუშაო რეჟიმით (სხვა სამუშაო, ლოდინის პერიოდი და ა.შ.). აღნიშნულის შედეგად სამუშაო დღე ტაქოგრაფში ჩაითვლება გახსნილად. საერთო სამუშაო დროის ამოწურვის ან გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემდეგ უნდა დაიხუროს სამუშაო დღე. ამ მიზნით, სატრანსპორტო საშუალება უნდა გაჩერდეს და გამოირთოს ძრავა, რის შედეგადაც, ტაქოგრაფში ავტომატურად ფიქსირდება დასვენების რეჟიმი. გარდა ამისა, ტაქოგრაფის მენიუში სანავიგაციო ღილაკების მეშვეობით, შესაბამისი ჩამონათვალიდან არჩეულ უნდა იქნეს სამუშაოს დასრულების ადგილი (ქვეყანა) და ღილაკით „OK“ დადასტურდეს ქვეყნის არჩევა. რამდენიმეკაციანი ეკიპაჟის (ორი ან მეტი მძღოლი) შემთხვევაში სათადარიგო მძღოლის ბარათი უნდა მოთავსდეს ტაქოგრაფში, მეორე ბარათის ჩასადებში);

გ.ძ) აჩვენოს, სად მოწმდება ძრავში ზეთის დონე (მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილში უნდა აჩვენოს ძრავში ზეთის დონის შესამოწმებელი ცეცის სახელური).

[დ) „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების საგამოცდო ავტომობილებზე:

დ.ა) განმარტოს უსაფრთხოების ძირითადი ფაქტორები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის დროს (პასუხი: დატვირთვა თანაბრად უნდა იყოს განაწილებული სატრანსპორტო საშუალების მთელ სიგრძეზე, ისე, რომ გავლენა არ იქონიოს სატრანსპორტო საშუალების ეფექტურ მართვაზე. ნებისმიერი ტვირთი ისე უნდა იქნეს გადაზიდული, რომ საფრთხე არ შეუქმნას საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს. ტვირთი უსაფრთხოდ უნდა განლაგდეს სატრანსპორტო საშუალების გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონის) ფარგლებში. ამასთან, დამაგრებული ტვირთი არ უნდა გადაადგილდებოდეს და არ უნდა გადავარდეს სატრანსპორტო საშუალებიდან მოხვევის ან დამუხრუჭების დროს);

დ.ბ) განმარტოს, როგორ მოწმდება შუქამრეკლების გამართული მუშაობა (პასუხი: უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა შუქამრეკლი დაყენებულია, სუფთაა და ფუნქციონირებს (არ არის გაბზარული ან გატეხილი));

დ.გ) განმარტოს, როგორ მოწმდება საშხეფარების (ფრთების) გამართულობა სატრანსპორტო საშუალებაზე (პასუხი: საშხეფარების (ფრთების) გამართულობა მოწმდება ვიზუალურად, ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში);

დ.დ) განმარტოს, როგორ მოწმდება მინამრეცხის მდგომარეობა (პასუხი: მინამრეცხი უნდა მუშაობდეს და მისი ჯაგრისები უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში);

დ.ე) განმარტოს, როგორ მოწმდება ავტომობილის ძარის გამართულობა (პასუხი: ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში უნდა დარწმუნდეს, რომ ძარა ვარგისია ექსპლუატაციისათვის და არ აქვს მნიშვნელოვანი დეფექტები. ძარაზე არ უნდა იყოს დაუმაგრებელი ისეთი ნაწილი ან მოწყობილობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს);

დ.ვ) განმარტოს, როგორ მოწმდება, რომ თვლების ქანჩები სათანადოდ არის მოჭერილი (პასუხი: ვიზუალურად უნდა შემოწმდეს მოშვებული ხომ არ არის თვლების რომელიმე ქანჩი და დარწმუნდეს, რომ თვლების ქანჩების ინდიკატორები (არსებობის შემთხვევაში) არის სათანადო მდგომარეობაში);

დ.ზ) განმარტოს, როგორ მოწმდება სატრანსპორტო საშუალების დაკიდების სისტემის მდგომარეობა (პასუხი: ყოველდღიური შემოწმების ფარგლებში უნდა შემოწმდეს დაკიდების სისტემა, გაცვეთის აშკარა ნიშნების ან დაზიანების არარსებობაზე);

დ.თ) განმარტოს, როგორ გამოიყენებს მოცემული სატრანსპორტო საშუალების ამწე მექანიზმს (სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, მაგ.: პანდუსი შშმ პირებისათვის ან ტვირთის ასაწევად) (პასუხი: მძღოლობის კანდიდატმა მოკლედ უნდა ახსნას შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული ამწე მექანიზმის სათანადო და უსაფრთხო მუშაობის პრინციპი);

დ.ი) განმარტოს, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე რა უნდა შემოწმდეს ძრავის ჩართვამდე (პასუხი: უნდა შემოწმდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე ყველა საკონტროლო მაჩვენებლისა და მაფრთხილებელი სიგნალის მუშაობა);

დ.კ) განმარტოს, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე რა მაჩვენებელი უნდა შემოწმდეს ძრავის ჩართვის შემდეგ (პასუხი: უნდა შემოწმდეს, რომ საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე ყველა საკონტროლო მაჩვენებელი და მაფრთხილებელი სიგნალი მიუთითებენ ავტომობილის ტექნიკურ გამართულობაზე);

დ.ლ) აჩვენოს, როგორ მოწმდება, რომ სატრანსპორტო საშუალების ყველა კარი, მათ შორის, სატვირთო განყოფილების კარი, არის დახურული (პასუხი: მძღოლობის კანდიდატმა სატრანსპორტო საშუალების ყველა კარი უნდა დახუროს, ხოლო სატვირთო განყოფილების კარის ჩამკეტი ბერკეტი უნდა დააყენოს რეკომენდებულ უსაფრთხო პოზიციაზე);

დ.მ) აჩვენოს, როგორ მოწმდება, არის თუ არა საჰაერო სისტემაში გაჟონვა (მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეავსოს ჰაერის რეზერვუარები და საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე შესაბამისი საკონტროლო მაჩვენებლით შეამოწმოს, ეცემა თუ არა ჰაერის წნევა, შემოუაროს სატრანსპორტო საშუალებას და ყურადღებით მოუსმინოს ნებისმიერ ხმას, რომელიც შესაძლოა მიანიშნებდეს ჰაერის გაჟონვაზე);

დ.ნ) აჩვენოს, ტაქოგრაფში როგორ გამოცვლის მონაცემების აღრიცხვის მატარებელს (მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეძლოს ელექტრომექანიკურ (ანალოგური) ტაქოგრაფის პერსონალური დიაგრამული დისკის – სააღრიცხვო ფურცლის შეცვლა. ელექტრონული (ციფრული) ტაქოგრაფის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა უნდა განმარტოს, როგორ ხორციელდება მისი გამოყენება (პასუხი: ელექტრონულ (ციფრულ) ტაქოგრაფში მუშაობის რეჟიმის დასაწყებად, ტაქოგრაფის ბარათის ჩასადებში უნდა მოთავსდეს მძღოლის ბარათი, რის შემდეგაც, ტაქოგრაფის მენიუში სანავიგაციო ღილაკების მეშვეობით, შესაბამისი ჩამონათვალიდან არჩეულ უნდა იქნეს სამუშაოს დაწყების ადგილი (ქვეყანა) და ღილაკით „OK“ დადასტურდეს ქვეყნის არჩევა, ხოლო დასვენების რეჟიმი უნდა შეიცვალოს სამუშაო რეჟიმით (სხვა სამუშაო, ლოდინის პერიოდი და ა.შ.). აღნიშნულის შედეგად სამუშაო დღე ტაქოგრაფში ჩაითვლება გახსნილად. საერთო სამუშაო დროის ამოწურვის ან გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემდეგ უნდა დაიხუროს სამუშაო დღე. ამ მიზნით, სატრანსპორტო საშუალება უნდა გაჩერდეს და გამოირთოს ძრავა, რის შედეგადაც, ტაქოგრაფში ავტომატურად ფიქსირდება დასვენების რეჟიმი. გარდა ამისა, ტაქოგრაფის მენიუში სანავიგაციო ღილაკების მეშვეობით, შესაბამისი ჩამონათვალიდან არჩეული უნდა იქნეს სამუშაოს დასრულების ადგილი (ქვეყანა) და ღილაკით „OK“ დადასტურდეს ქვეყნის არჩევა. რამდენიმეკაციანი ეკიპაჟის (ორი ან მეტი მძღოლის) შემთხვევაში სათადარიგო მძღოლის ბარათი უნდა მოთავსდეს ტაქოგრაფში, მეორე ბარათის ჩასადებში).*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

2. ამ წესის 38[3] მუხლის „ა.ბ“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოქმედებები უნდა შესრულდეს შემდეგ მოთხოვნათა დაცვით:

ა) მოძრაობის დაწყებამდე მძღოლობის კანდიდატმა:

ა.ა) უნდა შეამოწმოს, რომ ავტომობილის ყველა კარი დაკეტილია;

ა.ბ) მძღოლის სავარძელი ისე დაარეგულიროს, რომ შესაძლებელობა ჰქონდეს ეფექტურად მართოს ავტომობილი და გამოიყენოს შესაბამისი მართვის ხელსაწყოები (ორგანოები), კერძოდ:

ა.ბ.ა) ფეხები ერთმანეთზე არ უნდა იყოს მიტყუპებული, მარჯვენა ფეხით შესაძლებელი უნდა იყოს მუხრუჭის სატერფულის მართვა;

ა.ბ.ბ) მარცხენა ფეხით შესაძლებელი უნდა იყოს გადაბმულობის სატერფულის ბოლომდე დაჭერა;

ა.ბ.გ) სატერფულზე ბოლომდე დაჭერისას (ავტომატურ გადაცემთა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილის შემთხვევაში მარცხენა ფეხის ე.წ „მკვდარ სატერფულზე“ დადებისას), ფეხები მუხლებში ოდნავ მოხრილი უნდა რჩებოდეს;

ა.ბ.დ) საჭის სრულად (ბოლომდე) მობრუნება შესაძლებელი უნდა იყოს ისე, რომ ხელები იდაყვებში რჩებოდეს ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში, ხოლო მხრები მიბჯენილი იყოს მძღოლის სავარძლის საზურგეზე;

ა.ბ.ე) მძღოლის სავარძლის დასაჯდომის სიმაღლე და საზურგის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს მძღოლობის კანდიდატის აღნაგობას;

ა.გ) საჭის განლაგება უნდა დაარეგულიროს ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს მის აღნაგობას, ამასთან:

ა.გ.ა) საჭე ხელს არ უნდა უშლიდეს მძღოლობის კანდიდატს ბერკეტების, გადამრთველების მართვაში და ავტომობილის საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფის თავისუფალ ხილვადობაში და არ აფერხებდეს ფეხების სატერფულებთან მიმართებით თავისუფალ მოძრაობას;

ა.გ.ბ) მძღოლის სავარძლის საზურგეზე მხრების ბოლომდე მიბჯენისას და ხელების გაშლისას, ორივე ხელის მაჯა უნდა თავსდებოდეს საჭის თვლის უმაღლეს წერტილზე;

ა.დ) მძღოლის სავარძლის თავის საყრდენი მოწყობილობა (თავის მისაყუდებელი) დაყენებული უნდა იქნას მძღოლობის კანდიდატის თავის სიმაღლის (რეკონდებულია თავის ან ყურების უმაღლესი წერტილის დონეზე) შესაბამისად. მანძილი მძღოლობის კანდიდატის თავსა და მძღოლის სავარძლის თავის საყრდენ მოწყობილობას (თავის მისაყუდებელს) შორის უნდა იყოს რამდენადაც შესაძლებელია მინიმალური;

ა.ე) უკუხედვის სარკეები ისე უნდა იქნეს დარეგულირებული, რომ მათი საშუალებით უზრუნველყოფილ იქნეს რაც შეიძლება მეტი ხილვადობა, კერძოდ:

ა.ე.ა) უკუხედვის შიდა სარკეში სრულად უნდა აისახებოდეს უკანა საქარე მინა, თავის მინიმალური მოძრაობის პირობებში;

ა.ე.ბ) უკუხედვის გარე სარკეებში უნდა აისახებოდეს ავტომობილის გვერდითა ნაწილის მცირე მონაკვეთი და გზის რაც შეიძლება კარგი ხილვადობა;

შენიშვნა: თუ მძღოლობის კანდიდატი საგზაო მოძრაობისთვის მომზადების ეტაპზე მიიჩნევს, რომ მძღოლის სავარძელს, უკუხედვის სარკე(ებ)ს, მძღოლის სავარძლის თავის საყრდენ მოწყობილობას (თავის მისაყუდებელს) ან/და საჭის ფაქტობრივ მდგომარებას მისი მხრიდან არ ესაჭიროება დამატებითი რეგულირება, იგი ვალდებულია მოძრაობის დაწყებამდე აღნიშნულის თაობაზე განაცხადოს ხმამაღლა. ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა მძღოლის სავარძლის, უკუხედვის სარკე(ებ)ის, მძღოლის სავარძლის თავის საყრდენი მოწყობილობის (თავის მისაყუდებელის) ან/და საჭის მდგომარების რეგულირების მოთხოვნების შეუსრულებლობად;

ა.ვ) უნდა დაარეგულიროს უსაფრთხოების ღვედი და შეიკრას იგი (უსაფრთხოების ღვედი შეკრული უნდა იყოს გამოცდის დაწყებიდან მის დასრულებამდე) ისე, რომ:

ა.ვ.ა) წელის სექცია მჭიდროთ ეკვროდეს თეძოს;

ა.ვ.ბ) მხრის სექცია გადადიოდეს მხარზე და მჭიდროდ ეკვროდეს გულის უჯრედს (ამასთან, ღვედი არ უნდა ეკვროდეს კისერს);

ა.ვ.გ) ღვედი არ იყოს დახვეული;

ა.ვ.დ) ღვედი თანაბრად ეკვროდეს სხეულს (უსაფრთხოების ღვედს და სხეულს შორის არ უნდა იყოს უცხო საგანი);

ა.ვ.ე) ღვედის ზედა დამაგრების წერტილი მისი მხრის სიმაღლეზე იყოს (თუ ეს შესაძლებელია);

ა.ზ) უნდა შეამოწმოს, რომ სადგომი მუხრუჭი ჩართულია. ამასთან მექანიკური გადაცემათა კოლოფი მქონე ავტომობილის შემთხვევაში, ბერკეტი ძრავის ჩართვამდე უნდა იყოს ნეიტრალურ გადაცემაში, ხოლო ავტომატურ გადაცემთა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილის შემთხვევაში – გადაცემის სელექტორი უნდა იყოს დგომის („P“) პოზიციაში;

ა.თ) საგამოცდო ავტომობილის დაძვრამდე უნდა შეამოწმოს, რომ სადგომი მუხრუჭი გამორთულია;

ბ) მძღოლობის კანდიდატმა უნდა მომართოს და მხოლოდ საჭიროებისას (უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ დროში), შესაბამისი დანიშნულებით გამოიყენოს სატრანსპორტო საშუალების მართვის დამატებითი (დამხმარე) საშუალებები (გარე სანათი ხელსაწყოების გადამრთველი, მოხვევის შუქ-მაჩვენებელი, ხმოვანი სიგნალი, საავარიო შუქსიგნალიზაცია, საქარე მინის მინამწმენდი, წყლის შესაშხურებელი, ვენტილაცია, კლიმატ-კონტროლი, კონდიციონერი, გვერდითი მინის ამწევი და მართვის დამატებითი (დამხმარე) სხვა საშუალებები). ამასთან:

ბ.ა) ავტომობილის ძრავი უნდა ჩართოს (დაქოქოს) ოპტიმალურად. ძრავის ამუშავებისას (დაქოქვისას) მძღოლობის კანდიდატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ავტომობილი არ დაიძრას/არ დაგორდეს უკონტროლოდ, ხოლო ძრავი არ გამოირთოს;

ბ.ბ) ძრავის ამუშავების შემდეგ, მოძრაობის დაწყებამდე მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეამოწმოს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და მაფრთხილებელი სიგნალების მაჩვენებლები და დარწმუნდეს ავტომობილის ტექნიკურ გამართულობაში. ამასთან, უნდა იცოდეს რაზე მიუთითებს და რა მოიმოქმედოს, როდესაც მაფრთხილებელი სიგნალი შესაბამის დროში არ გამოირთო ან როდესაც საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები მიუთითებენ გაუმართაობაზე;

ბ.გ) ავტომობილის მოძრობისას მძღოლობის კანდიდატი 30 წამზე ნაკლებ დროში უნდა რეაგირებდეს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების მაჩვენებლებზე და მაფრთხილებელ სიგნალებზე. ამასთან, უნდა იცოდეს რაზე მიუთითებს და რა მოიმოქმედოს, როდესაც ჩაირთო მაფრთხილებელი სიგნალი ან გაუმართაობის მაუწყებელი საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები;

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატმა ხმოვანი სიგნალი არ უნდა გამოყენოს უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ეს აუცილებელია. ამასთან, ხმოვანი სიგნალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ:

ბ.დ.ა) საგზაო მოძრაობის მონაწილეთა დროული გაფრთხილებისათვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად;

ბ.დ.ბ) დასახლებული პუნქტის გარეთ, როდესაც საჭიროა სხვა სატრანსპორტო საშუალების მძღოლის გაფრთხილება გასწრების განზრახვის შესახებ;

ბ.ე) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილიდან გადმოსვლამდე უნდა გამორთოს (ჩააქროს) ძრავი;

ბ.ვ) მძღოლობის კანდიდატი უკუხედვის სარკეს/სარკეების, მძღოლის სავარძლის, მძღოლის სავარძლის საყრდენი მოწყობილობის (თავის მისაყუდებელის) რეგულირება (მორგება) არ უნდა განახორციელოს საგამოცდო ავტომობილის მოძრაობისას;

ბ.ზ) მძღოლობის კანდიდატმა ავტომობილის მოძრაობისას არ უნდა მოიხსნას უსაფრთხოების ღვედი;

გ) გადაბმულობის მართვისას მძღოლობის კანდიდატმა:

გ.ა) გადაბმულობა უნდა მართოს მოძრაობის პირობების შესაბამისად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს გადაცემათა მდორე გადართვა, სიმძლავრის წამყვანი თვლებისათვის გადაცემა და არ გამოიწვიოს ძრავის გამორთვა (ჩაქრობა). აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მან:

გ.ა.ა) გადაცემის ჩართვისას, გადართვისას ან გამორთვისას ბოლომდე უნდა დააჭიროს გადაბმულობის სატერფულს და მდორედ აუშვას, ხოლო შეცდომის დაშვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას იგი;

გ.ა.ბ) თავი უნდა აარიდოს სატერფულზე ფეხის აუღებლად სრულად ჩაურთველი გადაბმულობით მოძრაობას. თუ არ არსებობს გააბმულობის გამოყენების საჭიროება ფეხი არ უნდა იყოს მიბჯენილი გადაბმულობის სატერფულზე, როცა ავტომობილის ძრავი მუშაობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნელა მოძრავ სატრანსპორტო ნაკადში ხდება ავტომობილის დაძვრა და მალე უნდა მოხდეს მისი გაჩერება;

გ.ა.გ) გადაბმულობის სატრეფულის გამოყენებისას, ფეხი სატერფულზე არ უნდა დააჭეროს იმაზე მეტი ხნით, ვიდრე საჭიროა გადაცემის ჩასართველად, გამოსართველად, გადასართველად, მოძრაობის დაწყების, გაჩერების ან დაბალი სიჩქარით მანევრირებისათვის;

გ.ა.დ) დამუხრუჭებისას უნდა დააჭიროს მუშა მუხრუჭის სატერფულს გადაბმულობის გამორთვამდე, გარდა აღმართზე გაჩერების ან ნელა მოძრავ სატრანსპორტო ნაკადში ადგილიდან დაძვრის ან გაჩერების შემთხვევებისა;

გ.ა.ე) ავტომობილის გადაცემათა კოლოფის ნეიტრალურ მდგომარეობაში ჩართვისას ფეხი უნდა აიღოს გადაბმულობის სატერფულიდან;

გ.ა.ვ) ავტომობილის გაჩერებისას არ უნდა გამორთოს გადაბმულობა ავტომობილის 30კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას;

გ.ა.ზ) საჭიროების შემთხვევაში, ორჯერ დააჭიროს ფეხი გადაბმულობის სატერფულს (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

[გ.ა.ზ) საჭიროების შემთხვევაში ორჯერ დააჭიროს ფეხი გადაბმულობის სატერფულს (მხოლოდ „C“, „D“, „„CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

გ.ბ) დაძვრისას და შემდგომი მოძრაობისას ავტომობილი უნდა მართოს მდორედ და ბიძგების გარეშე;

დ) გადაცემის შერჩევისას მძღოლობის კანდიდატმა:

დ.ა) გადაცემა უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს სათანადოდ სიტუაციის, ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის, მისი ტექნიკური მახასიათებლების და საგზაო მოძრაობის პირობების შესაბამისად. ამასთან, მის მიერ შერჩეული გადაცემა უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ ავტომობილი დაიძრას ადგილიდან საჭირო მიმართულებით;

დ.ბ) გადაცემის ჩართვა, გადართვა ან გამორთვა უნდა განხორციელდეს გადაბმულობის გამორთვის შემდეგ. გადაცემათა გადართვა უნდა განახორციელოს მდორედ, ისე რომ ავტომობილში მყოფმა პირებმა არ იგრძნონ რყევა. ამასთან, გადაცემათა ჩართვა/გადართვა უნდა განხორციელდეს სწრაფად (დრო გადაბმულობის სატერფულზე ბოლომდე დაჭერიდან სატერფულიდან ფეხის აღებამდე არ უნდა შეადგენდეს 3 წამზე მეტს);

დ.გ) გადაცემა უნდა შეარჩიოს, ისე რომ ავტომობილმა არ დაიწყოს სრიალი, ძრავი არ გადაიტვირთოს, არ იმუშაოს ძალიან მაღალ სიხშირეზე, ამასთან ავტომობილმა იმოძრაოს მდორედ და თანაბრად, რამდენადაც შესაძლებელია მაღალი გადაცემით. აღნიშნულის უზრუნველსაფად მან:

დ.გ.ა) ავტომობილის გაჩერებისას, საჭიროების დადგომდე არ უნდა განახორციელოს უფრო დაბალ გადაცემაში გადართვა;

დ.გ.ბ) გაჩერებისათვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილამდე (გზაჯვარედინი, სადაც ჩართულია მოძრაობის ამკრძალავი შუქნიშნის სიგნალი, დგას 7.16 საგზაო ნიშანი და სხვ.) გაჩერებამდე ან სხვა სიტუაციაში, თუ მოძრაობის უსაფრთხოება ამის საშუალებას იძლევა, მექანიკური გადაცემათა კოლოფი მქონე ავტომობილის შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოიყენოს (გახარჯოს) ავტომობილის ინერცია და იმოძრაოს ნეიტრალური გადაცემით. ნეიტრალური გადაცემით მოძრაობა დაუშვებელია დაღმართზე, მოსახვევში ან მიხვეული ან მოხვეული გზის მონაკვეთზე მოძრაობისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომობილი მოძრაობს 30კმ/სთ ან მეტი სიჩქარით;

დ.გ.გ) მდგარი/გაჩერებული „B“, „BE“ კატეგორიების ავტომობილების დაძვრისას, გადაცემათა გადართვა პირველიდან მეორე გადაცემაში უნდა განახორციელოს მალევე, რათა არ მოხდეს ავტომობილის ძრავის გადატვირთვა (რეკომენდებულია გადაცემის გადართვა მოხდეს როგორც კი ავტომობილი გაივლის ერთი ავტომობილის სიგრძის მანძილს). ეს წესი არ გამოიყენება, როდესაც ავტომობილის დაძვრიდან (მაგ.: ნელა მოძრავ სატრანსპორტო ნაკადში) მალე უნდა მოხდეს გაჩერება, ასევე აღმართზე ადგილიდან დაძვრისას, დაბალი სიჩქარით მანევრირებისას და სხვა შემთხვევებში, როდესაც ამას გზაზე არსებული სიტუაცია მოითხოვს;

დ.გ.დ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგზაო სიტუაცია ან/და საგზაო მოძრაობის პირობები ამას მოითხოვს, მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე „B“, „BE“ კატეგორიების ავტომობილებით, თანაბრად:

დ.გ.დ.ა) 30 კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას, არ უნდა ჩართოს მე-3 გადაცემაზე დაბალი გადაცემა;

დ.გ.დ.ბ) 50 კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას, არ უნდა ჩართოს მე-4 ან მე-5 გადაცემაზე დაბალი გადაცემა;

დ.გ.დ.გ) 70 კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას, არ უნდა ჩართოს მე-5 ან მე-6 (არსებობის შემთხვევაში) გადაცემაზე დაბალი გადაცემა;

დ.დ) გადაცემათა გადართვა უნდა განახორციელოს ცოტა უფრო ადრე ვიდრე ამის აუცილებლობა დადგება. ამასთან, გადაცემის გადართვის საჭიროების არსებობისას, შესაბამისი გადაცემა უნდა შეირჩეს:

დ.დ.ა) გზის იმ მონაკვეთზე შესვლამდე, რომელზეც საჭიროა სიჩქარის შემცირება ან/და გაჩერება (გზაჯვარედინი, გზის მიმდებარე ტერიტორია, რკინიგზის გადასასვლელი, ქვეითთა გადასასვლელი, ის ადგილები, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ ქვეითები, ველოსიპედისტები ან მდგარი სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.);

დ.დ.ბ) გზაჯვარედინზე მოხვევამდე;

დ.დ.გ) გასწრებამდე;

დ.ე) გადაცემათა გადართვა, როგორც წესი, უნდა განახორციელოს მაშინ, როდესაც ავტომობილი მოძრაობს სწორხაზოვანი მიმართულებით (გადაბმულობის სატერფული აშვებული უნდა იქნეს ვიდრე ავტომობილი მოძრაობს პირდაპირ. გადაცემის გადართვა დასრულებული არ არის, ვიდრე გადაბმულობის სატერფული აშვებული არ არის ბოლომდე);

დ.ვ) უნდა გაითვალისწინოს, რომ გზაჯვარედინზე, მოხვეული ან მიხვეული გზის მონაკვეთზე მოძრაობისას, გადაცემების გადართვა დასაშვებია თუ არ ხდება საჭის მობრუნება და გადაცემათა გადართვა არ შეაფერხებს ავტომობილის მდორე და თანაბარ მოძრაობას;

დ.ზ) დაღმართზე მოძრაობისას უნდა შეარჩიოს ისეთი გადაცემა, რომელშიც მოძრაობისას ძრავა ავტომობილს დაეხმარება დამუხრუჭებაში და თავიდან აიცილებს მუხრუჭის ზედმეტ ან ხანგრძლივ გამოყენებას;

დ.თ) ავტომობილის უსაფრთხოდ დგომის უზღუნველყოფის მიზნით უნდა ჩართოს სადგომი მუხრუჭი. ამასთან:

დ.თ.ა) თუ ავტომობილს გააჩნია მექანიკური გადაცემათა კოლოფი, სწორ ადგილზე ან აღმართზე ავტომობილის აღმართის მიმართულებით წინა მხარით გაჩერებისას უნდა ჩართოს პირველი გადაცემა, ხოლო დაღმართზე გაჩერებისას – უკუსვლის გადაცემა;

დ.თ.ბ) თუ ავტომობილს გააჩნია ავტომატური გადაცემათა კოლოფი, გადაცემების სელექტორი უნდა ჩართოს დგომის („PARK’’) პოზიციაში.

ე) აქსელერატორის მართვისას მძღოლობის კანდიდატმა:

ე.ა) აქსელერატორის სატერფული უნდა მართოს მდორედ, ამასთან:

ე.ა.ა) სიჩქარის მოსამატებლად მდორედ დააჭიროს აქსელერატორის სატერფულს;

ე.ა.ბ) მუდმივი სიჩქარის შესანარჩუნებლად გამოიყენოს აქსელერატორი;

ე.ა.გ) აღმართზე მოძრაობისას, მუდმივი სიჩქარის შესანარჩუნებლად აქსელერატორი გამოიყენოს უფრო მეტად, ვიდრე გადაცემები;

ე.ა.დ) მართოს აქსელერატორი მოძრაობის მიმართულების, სიჩქარის, გზის საფარის, პროფილის ცვალებადობის და საგზაო მოძარობის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, აქსელერატორის მართვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს ავტომობილში მყოფ პირთა რყევა, საბურავების ადგილზე სრიალი, საბურავების გზის საფართან მოჭიდების დაკარგვა;

ე.ა.ე) გადაცემის ყოველი გადართვის დასრულებისთანავე, აქსელერატორის მეშვეობით შეუსაბამოს ძრავის მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირე ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეს;

ე.ა.ვ) ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე ავტომობილით მიხვეული ან მოხვეული გზის ან მოლიპულ გზის მონაკვეთამდე მოძრაობისას, მდორედ მართოს აქსელერატორის სატერფული, რათა უფრო დაბალი გადაცემა ჩაირთოს ცოტა ადრე ვიდრე ჩვეულებრივ საჭიროამიხვეული ან მოხვეული ან მოლიპული გზის მონაკვეთამდე;

ე.ა.ზ) ამ პუნქტის „დ.გ.ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გაჩერებისათვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილემდე (მოძრაობის ამკრძალავი შუქნიშნის სიგნალი, 7.16 საგზაო ნიშანი ან სხვ.) გაჩერებამდე ან სხვა შესაბამის სიტუაციაში, თუ მოძრაობის უსაფრთხოება ამის საშუალებას იძლევა, აუშვას აქსელერატორის სატერფულს და გამოიყენოს (გახარჯოს) ავტომობილის ინერცია;

ე.ა.თ) არ უნდა დააჭიროს აქსელერატორის სატერფულს, როდესაც გადაბმულობა გამორთულია;

ე.ბ) როდესაც საგზაო სიტუაცია ან/და საგზაო მოძრაობის პირობები ამას არ მოითხოვს, საგამოცდო ავტომობილის ძრავის მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირემ წუთში არ უნდა გადააჭარბოს 3000 ბრუნს (მხოლოდ „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ვ) ავტომობილის დამუხრუჭებისას და გაჩერებისას მძღოლობის კანდიდატმა:

ვ.ა) ავტომობილის გაჩერება და ადგილზე შეკავება უნდა უზრუნველყოს მუშა მუხრუჭის მეშვეობით. ამასთან, მუშა მუხრუჭის გამოყენება უნდა განხორციელდეს:

ვ.ა.ა) ისე, რომ არ გამოიწვიოს ავტომობილის მექანიკური ნაწილების (კვანძების) და აგრეგატების დაძაბვა (გადატვირთვა);

ვ.ა.ბ) ისე, რომ არ გამოიწვიოს ავტომობილის და მასში მყოფი პირების რყევა;

ვ.ა.გ) უსაფრთხოდ, ძრავის მუშაობისას;

ვ.ა.დ) ისე, რომ ავტომობილის ადგილზე შეკავება მოხდეს გადაცემის ჩართვამდე;

ვ.ბ) მუშა მუხრუჭის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოს ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე, დისტანცია სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან, საგზაო პირობები (ადგილის რელიეფი, გზისა და სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, მისი დატვირთვა, ატმოსფერული პირობები, მოძრაობის ინტენსივობა და სხვ.). ამასთან, მუშა მუხრუჭი გამოყენებულ უნდა იქნეს:

ვ.ბ.ა) მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად;

ვ.ბ.ბ) ვიდრე ავტომობილი მოძრაობს სწორხაზოვანი მიმართულებით;

ვ.ბ.გ) ისე, რომ არ გამოიწვიოს ავტომობილის თვლების ბლოკირება და სრიალი;

ვ.ბ.დ) უფრო დაბალ გადაცემაში გადართვამდე (მოძრაობის სიჩქარე შეამციროს მუშა მუხრუჭით);

ვ.ბ.ე) მოსახვევთან, მიხვეულ ან მოხვეულ გზის მონაკვეთთან მისვლამდე, თუ არსებობს მოძრაობის სიჩქარის შემცირების საჭიროება (ჯერ უნდა დამუხრუჭდეს მძლავრად, ხოლო საჭის მობრუნების დაწყებამდე – ოდნავ მსუბუქად, რათა გაძლიერდეს საჭის ზემოქმედება და უზრუნველყოფილ იქნეს საბურავების საკმარისი მოჭიდულობა გზის საფართან);

ვ.ბ.ვ) ავტომობილის გასაჩერებლად (მუშა მუხრუჭის სატერფულზე დაწოლის ძალის ცვლით ავტომობილის სრულად გაჩერებამდე. ამასთან, დასამუხრუჭებლად შერჩეულ უნდა იქნეს ყველაზე მეტად შესაფერისი საფარის სავალი ნაწილის მონაკვეთი);

ვ.ბ.ზ) გაჩერებისათვის წინასწარ შერჩეულ ადგილთან (მათ შორის, გამომცდელის მიერ მითითებულ ადგილთან) გასაჩერებლად (ავტომობილი უნდა გაჩერდეს შერჩეულ ადგილთან რაც შეიძლება ახლოს, მაქსიმუმ 1 მეტრის დაშორებით);

ვ.გ) დაღმართზე მოძრაობისას დასამუხრუჭებლად მუშა მუხრუჭის გარდა ასევე უნდა გამოიყენოს ძრავით დამუხრუჭება;

ვ.დ) ავტომობილის გაჩერება უნდა განახორციელოს მდორედ და თანდათანობით. მუშა მუხრუჭის სატერფულზე დაწოლა უნდა ცვალოს გზის საფარის გრძივი პროფილის ცვლილების გათვალისწინებით. ამასთან, ავტომობილის გაჩერებამდე ოდნავ უნდა შეამციროს მუშა მუხრუჭის სატერფულზე დაწოლა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მგზავრების რყევა, ხოლო შემდეგ თანდათანობით ისევ უნდა გაიზარდოს დაწოლა;

ვ.ე) ავტომობილის მუშა მუხრუჭის სატერფული უნდა მართოს მარჯვენა ფეხით, ამასთან საჭიროების გარეშე მოძრაობისას ფეხი არ უნდა ედოს მუხრუჭის სატერფულზე;

ვ.ვ) არ უნდა განახორციელოს მკვეთრი დამუხრუჭება, გარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილების აუცილებლობით გამოწვეული დამუხრუჭებისა;

შენიშვნა: მოქმედებები, რომლებიც აღწერილია ამ პუნქტის „ვ.ა.ბ“, „ვ.ბ.ვ“ და „ვ.დ“ ქვეპუნქტებში არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მძღოლობის კანდიდატი სიტუაციის სრული კონტროლის პირობებში იყენებს მკვეთრ დამუხრუჭებას, რათა თავიდან აიცილოს საფრთხე, რომელიც წარმოიშვა მისგან დამოუკიდებლად;

ვ.ზ) სადგომის მუხრუჭის გამოყენების შემთხვევაში, უნდა შემოწმოს სადგომმა მუხრუჭმა შეაკავა თუ არა ავტომობილი. ამასთან, მძღოლობის კანდიდატის მიერ სადგომი მუხრუჭი გამოყენებულ უნდა იქნეს:

ვ.ზ.ა) ავტომობილის დგომისას, როდესაც არ იგეგმება მოძრაობის დაუყოვნებლივ დაწყება;

ვ.ზ.ბ) აღმართზე გაჩერებული ავტომობილის ადგილიდან დაძვრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღმართზე ადგილიდან მდორედ დაძვრა შესაძლებელია სადგომი მუხრუჭის გამოყენების გარეშე;

ვ.თ) აღმართზე ან დაღმართზე ავტომობილის ადგილიდან დაძვრისას ავტომობილი არ უნდა დაგორდეს არჩეული მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამასთან, იგი ადგილიდან უნდა დაიძრას მდორედ;

ვ.ი) ადგილიდან დაძვრამდე უნდა შეამოწმოს, რომ სადგომი მუხრუჭი ბოლომდეა გამორთული.

ზ) საჭის მართვისას მძღოლობის კანდიდატმა:

ზ.ა) საგზაო მოძრაობის ნებისმიერ პირობებში საჭე უნდა მართოს სათანადო წესით და უნდა დაიცვას მოძრაობის არჩეული ტრაექტორია. ამასთან, მან:

ზ.ა.ა) საჭე უნდა მართოს მდორედ, ისე რომ ავტომობილმა იმოძრაოს ზუსტად საჭირო მიმართულებით (ეკავოს შესაბამისი ტრაექტორია სწორხაზოვანი მოძრაობისას, მოხვეულ ან მიხვეულ გზის მონაკვეთზე მოძრაობისას ან მოხვეული ან მიხვეული გზის მონაკვეთიდან გამოსვლისას);

ზ.ა.ბ) საჭე უნდა მართოს ორივე ხელით, გარდა ავტომობილის სხვა მართვის საშუალებების გამოყენების, უკუსვლით მოძრაობის ან ხელით სიგნალის მიცემის შემთხვევებისა;

ზ.ა.გ) ყოველთვის უნდა იქონიოს შესაძლებლობა საჭიროების წარმოქმნისას მოაბრუნოს საჭე იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ეს კონკრეტული მანევრის შესასრულებლად არის საჭირო;

ზ.ა.დ) მოძრაობის სწორხაზოვან ტრაექტორიაზე დაბრუნებისას, თითებს შორის გაცურებული საჭის თვალი უნდა გააჩეროს ისეთ მდგომარეობაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დასახაული ტრაექტორიით მოძრაობა;

ზ.ბ) ხელები არ უნდა მოუჭიროს საჭეს ზედმეტად მძლავრად და საჭის თვალი ხელებით უნდა ეჭიროს გარეთა მხრიდან. ამასთან, ავტომობილის სწორსწორხაზოვანი ტრაექტორიით მოძრაობისას საჭეზე მარჯვენა ხელი უნდა ეკიდოს მარჯვნივ, ხოლო მარხენა ხელი-მარცხნივ ისე, რომ საჭის თვალის როგორც საათის ციფერბლატის წარმოდგენისას, ხელების მტევნები აჩვენებდეს „3 საათს აკლია თხუთმეტი წუთი“ ან „2 საათს აკლია ათი წუთი“;

თ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტომობილის ეკონომიურად და ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდით მართვა, რაც გულისხმობს:

თ.ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის ელემენტების რამდენადაც შესაძლებელია მდორედ მართვას:

თ.ა.ა) ძრავის ჩართვისას და დაძვრისას ძრავის მუხლა ლილვის მაღალი სიხშირით ბრუნვის თავის არიდებას;

თ.ა.ბ) აქსელერატორის მდორედ და თანდათანობით გამოყენებას. შესაბამის შემთხვევაში აქსელერატორის სატერფულიდან ფეხის აღებას და ავტომობილისათვის წინ ინერციით მოძრაობის საშუალების მიცემას. აქსელერატორის სატერფულზე ფეხის ხშირი პერიოდულობით დაჭერისგან თავის არიდებას;

თ.ა.გ) გადაცემის სათანადო გამოყენებას. გადაცემათა მაღალ ან დაბალ გადაცემაში ხშირი ცვლის (გადართვის) თავის არიდებას. ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია გამოყენებულ უნდა იქნეს მაღალი გადაცემა, ძრავის ზედმეტად გადატვირთვის გარეშე;

თ.ა.დ) სიჩქარის შესაბამის შერჩევას. სიჩქარის საგზაო პირობებთან (ადგილის რელიეფი, გზისა და სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, მისი დატვირთვა, ატმოსფერული პირობები, მოძრაობის ინტენსივობა და სხვა) შესაბამისობას. იმის გათვალისწინებას, თუ როგორი გავლენა შეუძლია იქონიოს შესაბამისმა სიჩქარემ საწვავის მოხმარებაზე და გამონაბოლქვზე;

თ.ბ) საგზაო ვითარების ყოველმხრივ დაკვირვებას, მეთვალყურეობას, კონტროლს და დროულ რეაგირებას, რაც საფრთხის დროულად გამოვლენის და შესაბამისად მდორე, თანდათანობითი დამუხრუჭების და აჩქარების საშუალებას იძლევა;

ი) მძღოლობის კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გზაზე არსებული სიტუაციის დაკვირვება და მეთვალყურეობა. აღნიშნულის მიზნით:

ი.ა) მძღოლობის კანდიდატი უნდა ახორციელებდეს საგზაო ვითარებაზე ყოველმხრივ დაკვირვებას, მეთვალყურეობას და კონტროლს, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მძღოლობის კანდიდატი უნდა დააკვირდეს ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით მოძრავ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს, თუმცა აუცილებლად უნდა იყურებოდეს საჭირო მიმართულებით საჭირო დროს;

ი.ბ) მძღოლობის კანდიდატმა მანევრი უნდა შეასრულოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება მის უსაფრთხოებაში, ამასთან:

ი.ბ.ა) მანევრის დაწყებამდე მან უნდა დაათვალიეროს გზის მთელი მონაკვეთი, სადაც ავტომობილი იმოძრავებს მანევრის შესრულებისას და დარწმუნდეს არჩეული მიმართულებით მოძრაობის უსაფრთხოებაში;

ი.ბ.ბ) მანევრის შესრულებისას მან დაკვირვება და მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს გზაზე არსებულ სიტუაციას ერთზე მეტი მიმართულებით, თუმცა ამასთანავე აუცილებლად უნდა იყურებოდეს საჭირო მიმართულებით საჭირო დროს;

ი.გ) მძღოლობის კანდიდატმა ავტომობილის უკუხედვის გარე და შიდა სარკეებით უნდა ისარგებლოს ისე, როგორც ავტომობილის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილით, რათა

სათანადოდ შეაფასოს ნებისმიერი არსებული თუ შესაძლო საფრთხე. მძღოლობის კანდიდატმა ავტომობილის უკუხედვის შესაბამის გარე ან/და შიდა სარკეებში უნდა გაიხედოს:

ი.გ.ა) მოხვევის შუქ-მაჩვენებლის ჩართვამდე;

ი.გ.ბ) მოძრაობის დაწყებამდე, გარდა სატრანსპორტო ნაკადში მოძრაობის განახლების შემთხვევისა;

ი.გ.გ) მოძრაობის ზოლის შეცვლამდე, მათ შორის, სხვა მოძრაობის ზოლში ავტომობილის ნაწილობრივ, ავტომობილის ნახევარი სიგანით ან მეტით გადასვლამდე;

ი.გ.დ) გზაზე გასვლამდე;

ი.გ.ე) გზიდან გასვლამდე;

ი.გ.ვ) დაბრკოლების შემოვლამდე;

ი.გ.ზ) ავტომობილის თავისი სიგანით ან მეტით გვერდზე გადანაცვლებამდე;

ი.გ.თ) გზაჯვარედინზე მოხვევამდე;

ი.გ.ი) გზის ისეთი მონაკვეთზე შესვლამდე, სადაც საჭიროა სიჩქარის შემცირება ან გაჩერება (გზაჯვარედინები, რკინიგზის გადასასვლელები, ქვეითთა გადასასვლელები, საცხოვრებელი ზონები, გზის მიმდიებარე ტერიტორია და ა.შ.);

ი.გ.კ) უშუალოდ სიჩქარის შემცირებამდე, დამუხრუჭების დაწყებისას და ასევე უშუალოდ გაჩერებამდე;

ი.გ.ლ) გასწრებამდე, ასევე გასწრების დამთავრების შემდეგ, ადრე დაკავებულ მოძრაობის ზოლზე დაბრუნებამდე;

ი.გ.მ) უკუსვლით მოძრაობისას (გარდა უკუხედვის შესაბამის გარე ან/და შიდა სარკეებისა მძღოლობის კანდიდატმა კონტროლი ასევე უნდა განახორციელოს შესაბამისი მიმართულებით თავის მიტრიალებით);

ი.გ.ნ) ავტომობილიდან გადმოსვლისას კარის გაღებამდე;

ი.დ) ავტომობილის უკუხედვის შიდა და გარე სარკეებით უხილავი გზის მონაკვეთის (ე.წ. „მკვდარი უბნების“) შესამოწმებლად მძღოლობის კანდიდატმა შესაბამისი მიმართულებით უნდა მიატრიალოს თავი (ე.წ. მხარზე გახედვა):

ი.დ.ა) მოძრაობის დაწყებამდე;

ი.დ.ბ) მოძრაობის ზოლის შეცვლამდე, მათ შორის, სხვა მოძრაობის ზოლში ავტომობილის ნაწილობრივ, ავტომობილის ნახევარი სიგანით ან მეტით გადასვლამდე);

ი.დ.გ) სატრანსპორტო ნაკადების (მოძრაობის ზოლების) შეერთებამდე (შერწყმამდე);

ი.დ.დ) სატრანსპორტო ნაკადების (მოძრაობის ზოლების) განშტოებამდე;

ი.დ.ე) გზიდან გასვლამდე;

ი.დ.ვ) დაბრკოლების შემოვლამდე;

ი.დ.ზ) ავტომობილის საკუთარი სიგანით ან მეტით გვერდზე გადანაცვლებამდე;

ი.დ.თ) ავტომობილიდან გადმოსვლისას კარის გაღებამდე;

კ) მძღოლობის კანდიდატმა დროულად უნდა უზრუნველყოს გზაზე არსებული საფრთხის გამოვლენა და მასზე რეაგირება. აღნიშნულის მიზნით:

კ.ა) მძღოლობის კანდიდატმა დროულად (შეჯახების თავიდან ასაცილებლად დამუხრუჭების, აჩქარების ან გზის სხვა მონაკვეთზე მდორედ გადანაცვლებისათვის დამატებითი დროის მარაგის ქონით), საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე, სათანადო სიფრთხილის დაცვით უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება:

კ.ა.ა) თანმხვედრი მიმართულებით სხვადასხვა სიჩქარით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებზე;

კ.ა.ბ) ისეთ განსაკუთრებულ გარემოებებზე, როგორიცაა: გზაზე მოძრავი ოპერატიული, სპეციალური ან საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის სატრანსპორტო საშუალებები, არსებული დაბრკოლებები, საგზაო-სარემონტო სამუშაოები, ატმოსფერული პირობები, გზის საფარის მდგომარეობა, გზის სახიფათო მონაკვეთები, შეზღუდული ხილვადობა, გზაზე მოძრავი ცხოველები და ა.შ.;

კ.ა.გ) ქვეითებზე (განსაკუთრებით ბავშვებზე, ხანდაზმულებზე, სავარძელ-ეტლით მოძრავ შშმ პირებზე, საბავშვო ეტლის ან სავარძელ-ეტლის გადამყვან პირებზე), ველოსიპედის, მოპედის ან მოტოციკლის ქვეითად გადამყვან პირებზე, რომლებიც გადაადგილდებიან გზის სავალ ნაწილზე ან აპირებენ გზის სავალ ნაწილზე შესვლას ან/და მოძრაობენ მდგომ/გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებს შორის;

კ.ა.დ) გზაზე მოძრავ ნელმავალ, არაგაბარიტულ (მსხვილგაბარიტიან) და ზენორმატიულ (მძიმეწონიანი) სატრანსპორტო საშუალებებზე, მოპედებზე, ველოსიპედებზე, აგრეთვე ორგანიზებულ სატრანსპორტო კოლონებზე;

კ.ა.ე) გზაზე არებულ საფრთხის შემცველ ნებისმიერ სხვა გარემოებაზე;

კ.ბ) მძღოლობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს უნარი დროულად გამოავლინოს გზაზე არსებული ნებისმიერი საფრთხის შემცვლელი სიტუაცია და მიიღის დროული ზომები მის თავიდან ასაცილებლად;

ლ) მძღოლობის კანდიდატმა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, სათანადოდ უნდა ისარგებლოს უპირატესობით (პრიორიტეტით), დროულად დაუთმოს გზა (არ შექმნას დაბრკოლება) და მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. აღნიშნულის მიზნით მძღოლობის კანდიდატმა:

ლ.ა) სათანადოდ უნდა იმოქმედოს მოძრაობის უპირატესობის (პრიორიტეტის) და გზის დათმობის (დაბრკოლების არშექმნის) წესების შესაბამისად;

ლ.ბ) არ უნდა განაგრძოს ან არ განაახლოს მოძრაობა ან არ უნდა განახორციელოს მანევრი, თუ ეს უპირატესობის (პრიორიტეტის) მქონე მოძრაობის მონაწილეს იძულებულს გახდის უეცრად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება ან სიჩქარე;

ლ.გ) სათანდოდ უნდა შეაფასოს გზაზე არსებული სიტუაცია და მიიღოს უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველმყოფი სწორი და დროული გადაწყვეტილება, ამასთან, მან უსაფუძვლოდ არ უნდა შეაფერხოს მოძრაობა;

ლ.დ) საგზაო მოძრობის წესების დაცვით, უნდა იმოძრაოს ეფექტურად:

ლ.დ.ა) სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად, რომლებიც მოძრაობენ თანმხვედრი მიმართულებით, როდესაც არ არის აუცილებლობა მუდმივად ცვალოს დისტანცია იმავე სიჩქარით მოძრავ სხვა სატრანსპორტო საშუალებასთან;

ლ.დ.ბ) უმნიშვნელოდ ცვალებადი მოძრაობის პირობების შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალებების უმრავლესობა მოძრაობს თანმხვედრი მიმართულებით, იგივე სიჩქარით, როდესაც არ არის რთული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება გზაზე დაბრკოლების შესაძლო წარმოქმნასთან ან გზის ზედაპირის მდგომარეობის მუდმივად ცვლილების, მკვეთრი მოსახვევის ან ციცაბო აღმართის ან დაღმართის გამო;

ლ.დ.გ) ინტენსიური მოძრობისას და რეაგირება მოახდინოს მოძრაობის სიტუაციაზე და პირობებზე;

ლ.დ.დ) ავტომაგისტრალზე, მასთან გათანაბრებული საავტომობილო მოძრაობისათვის განკუთვნილ და 5.3 საგზაო ნიშნით მონიშნულ იმ გზაზე, რომელიც მიმდებარე ტერიტორიებს არ ემსახურება, აგრეთვე ნებისმიერ გზაზე, რომელზედაც მოძრაობის ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ-ს აღემატება;

ლ.ე) გზის დათმობის თაობაზე თავისი განზრახვა უნდა გამოხატოს ნათლად სიჩქარის შემცირებით ან გაჩერებით. ამასთან, თავისი მოქმდებებით შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეები;

ლ.ვ) სიჩქარის, დისტანციის, გვერდითი ინტერვალის, ხილვადობის, გზის ზედაპირის, ატმოსფერული პირობების და ქვეითებამდე მანძილის გათვალისწინებით, დროულად უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რათა არ წარმოეშვას უეცარი მანევრის, სიჩქარის სწრაფი შეცვლის ან მკვეთრი დამუხრუჭების საჭიროება საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების ქმედებების, გზაზე დაბრკოლების შესაძლო წარმოქმნის ან გზის სახიფათო მონაკვეთის გამო;

ლ.ზ) მაქსიმალურად ზუსტად უნდა შეარჩიოს უსაფრთხო დისტანცია და გვერდითი ინტერვალი სატრანსპორტო ნაკადში, განსაკუთრებით გზაჯვარედინზე მოძრაობისას, მოძრაობის ზოლის შეცვლისას და გზაზე გასვლისას;

ლ.თ) თავისუფალი გავლის შესაძლებლობის არქონის შემთხვევაში, უნდა გამოძებნოს ოპტიმალური გზა, რომელიც მისცემს საშუალებას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე, უსაფრთხოდ გადაჭრას პრობლემა;

ლ.ი) უნდა „ითანამშრომლოს“ სხვა მძღოლებთან, ე.ი. დაეხმაროს სატრანსპორტო ნაკადთან შერწყმაში, მოძრაობის ზოლის შეცვლაში (გადაჯგუფებაში), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გზა დაკავებულია;

ლ.კ) პოტენციურად საფრთხის შემცველი სიტუაციის შექმნის ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, საფრთხის წარმოქმნამდე უნდა გამოასწოროს მის მიერ დაშვებული შეცდომა;

ლ.ლ) მანევრის შესრულების ან სიჩქარის შეცვლის შემთხვევაში პოტენციური საფრთხის იდენტიფიცირებისას, დროული და სწორი თანმიმდევრობით უნდა შეასრულოს შესაბამისი საჭირო მოქმედებები, რომლებიც ქმნიან სატრანსპორტო საშუალების მართვის სისტემას (მოძრაობის ტრაექტორიის შერჩევა – შესაბამისი უკუხედვის სარკ(ეებ)ის გამოყენება – სიგნალების მიცემა – სიჩქარის შერჩევა – გადაცემის შერჩევა – შესაბამისი უკუხედვის სარკ(ეებ)ის გამოყენება – პრევენციული მოქმედებები – შესაბამისი მოქმედების შესრულება) და რომელიც გამიზნულია საფრხის თავიდან ასაცილებლად;

ლ.მ) გზაზე მოძრაობისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

ლ.მ.ა) არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში უნდა შემცირდეს სიჩქარე და გაიზარდოს დისტანცია წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებასთან;

ლ.მ.ბ) გზის ნათელი მონაკვეთიდან ბნელ მონაკვეთზე გასვლისას თვალი ნელა ეჩვევა სიბნელეს, რის გამოც წინ არსებული შესაძლო დაბრკოლება რთული შესამჩნევია;

ლ.მ.გ) ცუდად ან არათანაბრად განათებულ გზის მონაკვეთზე მოძრაობისას გართულებულია საგზაო მოძრაობის მონაწილეთა მიერ ერთმანეთის შემჩნევა;

ლ.მ.დ) მოყინულ გზის მონაკვეთზე შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნეს არიდებული დამუხრუჭება, სიჩქარის ცვლილება და მიმართულების მკვეთრი შეცვლა. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ყველაზე უფრო ხშირად გზა მოყინულია ხიდზე, გზაგამტარსა და ესტაკადაზე;

ლ.მ.ე) ვინაიდან წვიმისა და თოვის დროს მოძრაობისას იზრდება სატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭებისათვის საჭირო დრო და მანძილი, ამასთანავე, ნალექი აუარესებს ხილვადობას, უნდა შემცირდეს სიჩქარე და გაიზარდოს დისტანცია წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებასთან;

ლ.მ.ვ) წვიმის დაწყებისას გზის ზედაპირი ტალახიანდება და ქმნის მოცურების საშიშროებას, რის გამოც უნდა შემცირდეს სიჩქარე მდორე დამუხრუჭებით;

ლ.მ.ზ) წვიმიან ამინდში მოძრაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამოჩინილი ქვეითთა მიმართ, რადგან მათი შესაძლო სიჩქარის გამო შეიძლება შეიქმნას საფრთხის შემცველი სიტუაცია;

ლ.მ.თ) მოსახვევში მუხრუჭის მკვეთრად გამოყენებამ ან/და მაღალი სიჩქარით შესვლამ (განსაკუთრებით გზის სველი ზედაპირის არსებობისას) შესაძლოა გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებაზე კონტროლის დაკარგვა;

ლ.მ.ი) გზაზე წყლის გუბეების არსებობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვა და დამუხრუჭება გართულებულია, ამასთანავე, დიდია სატრანსპორტო საშუალების მოცურების ალბათობა;

ლ.მ.კ) თუ გზაზე შემჩნეული იქნება სხვა სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელიც აგრესიულად არის განწყობილი და გამომწვევად იქცევა, შენარჩუნებულ უნდა იქნეს სიმშვიდე და სატრანსპორტო საშუალებაზე კონტროლი;

ლ.მ.ლ) გასწრებისას ყველაზე უფრო ხშირად საავარიო სიტუაცია იქმნება დისტანციის დაუცველობის და საპირისპირო მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ არასაკმარისი ყურადღების გამოჩენის გამო;

ლ.მ.მ) დიდი ხნის განმავლობაში მაღალი სიჩქარით მოძრაობა აქვეითებს კონცენტრაციასა და მაღალი სიჩქარის შეგრძნებას;

ლ.მ.ნ) სატრანსპორტო საშუალების მართვა უნდა ხორციელდებოდეს მშვიდად, აგრესიულობის და თავის, როგორც გზაზე უპირატესის გამოჩენის მცდელობის გარეშე;

ლ.ნ) მოძრაობა უნდა დაიწყოს 10 წამის განმავლობაში გამომცდელისგან დაძვრაზე მითითების მიღების შემდეგ, თუ ეს დრო საკმარისია საგზაო სიტუაციის შესაფასებლად და მოძრაობის უსაფრთხოდ დასაწყებად;

მ) ავტომობილის გზაზე განლაგებისას მძღოლობის კანდიდატმა:

მ.ა) ავტომობილის გზაზე განლაგება უნდა უზრუნველყოს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, გზის სავალ ნაწილზე ავტომობილის უსაფრთხოდ განლაგების მიზნით მხედველობაში უნდა მიიღოს იმავე გზის სავალ ნაწილზე შემხვედრი, თანხმვედრი, ასევე გაჩერებული/მდგომი სატრანსპორტო საშუალებების განლაგება;

მ.ბ) საგამოცდო ავტომობილის გზაზე უსაფრთხოდ განლაგების შერჩევისას მხედველობაში უნდა მიიღოს:

მ.ბ.ა) შემხვედრი და გვერდზე მოძრავი ან მდგომი სხვა სატრანსპორტო საშუალებები;

მ.ბ.ბ) გზის ორივე მხრიდან მომდინარე განმეორებადი საფრთხეები (მაგ.: მოკლე მანძილზე გზის მიმდებარე ტერიტორიებიდან გამოსასვლელების სიხშირე);

მ.ბ.გ) ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც უახლოვდებიან მას სავალი ნაწილების გადაკვეთიდან;

მ.გ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოძრაობის წესების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისე უნდა შეარჩიოს საგამოცდო ავტომობილის გზაზე განლაგება, რომ ჰქონდეს საუკეთესო ხილვადობა და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებისათვის იყოს რაც შეიძლება კარგად ხილვადი. აღნიშნული მიზნით:

მ.გ.ა) გაზარდოს დისტანცია ავტომობილსა და მის წინ მიმავალ არაგაბარიტულ (მსხვილგაბარიტიან) სატრანსპორტო საშუალებას შორის, რათა წინ ჰქონდეს გზის რაც შეიძლება კარგი ხილვადობა;

მ.გ.ბ) ცუდი ხილვადობის მქონე გზაჯვარედინთან მიახლოვებისას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიუახლოვდეს გზის სავალი ნაწილის ღერძს (ორმხრივმოძრაობიან გზაზე) ან სავალი ნაწილის

მარცხენა კიდეს (ცალმხრივმოძრაობიან გზაზე), რათა ხილვადობა მოსახვევის მიღმა იყოს რაც შეიძლება კარგი;

მ.დ) გზაზე საგამოცდო ავტომობილის განლაგება უნდა შეარჩიოს ისე, რომ იგი რაც შეიძლება შორს იყოს სახიფათო ობიექტებისგან. აღნიშნული მიზნით:

მ.დ.ა) აღმართის უმაღლესი წერტილთან მიახლოებისას მიიწიოს რამდენადაც ეს შესაძლებელია, უკიდურესად მარჯვნივ, ხოლო გზაზე მდგომი სატრანსპორტო საშუალებების გასწვრივ მოძრაობისას – მოძრაობის ზოლის უკიდურესი მარცხენა კიდისაკენ;

მ.დ.ბ) უნდა იმოძრაოს ისე, რომ საგამოცდო ავტომობილსა და მოძრაობის სხვა მონაწილეს შორის დაშორება იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო;

მ.ე) უნდა იმოძრაოს ნებადართულ მოძრაობის ზოლში. დაკავებული მოძრაობის ზოლიდან სხვა მოძრაობის ზოლში არ უნდა გადავიდეს ამის საჭიროების გარეშე. საგზაო მონიშვნის ხაზებით აღნიშნული საგზაო მოძრაობის ზოლზე მოძრაობისას საგზაო მონიშვნის (წყვეტილი ხაზების) გადაკვეთა უნდა განახორციელოს მხოლოდ დაბრკოლების შემოვლის, გასწრების, მარცხნივ ან მარჯვნივ მოხვევის ან მობრუნების მანევრის შესრულებისას;

მ.ვ) გასწრება და დაბრკოლების შემოვლა უნდა განახორციელოს მარცხენა მხრიდან, გარდა საგზაო მოძრაობის წესებით გათვალისწინებული მარჯვენა მხრიდან გასწრების ნებადართული შემთხვევისა;

მ.ზ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოხვევა სრულდება გზაჯვარედინზე გასასვლელად, სადაც წრიული მოძრაობაა ორგანიზებული, მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევის წინ, აგრეთვე მობრუნების წინ, დროულად უნდა დაიკავოს შესაბამისი განაპირა მდებარეობა სავალ ნაწილზე, რომელიც თანმხვედრი მიმართულებით მოძრაობისთვისაა განკუთვნილი;

მ.თ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევის წინ, ისე, რომ არ დაარღვიოს საგზაო მოძრაობის წესებით დადგენილი მოთხოვნები, თუ იგი აპირებს გზიდან გასვლას:

მ.თ.ა) მარჯვენა მხრიდან, უნდა იმოძრაოს რაც შეიძლება ახლოს სავალი ნაწილის მარჯვენა კიდესთან და შემდეგ შეასრულოს შეძლებისდაგვარად მოკლე მანევრი;

მ.თ.ბ) მარცხენა მხრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიუახლოვდეს გზის სავალი ნაწილის ღერძს (ორმხრივმოძრაობიან გზაზე) ან სავალი ნაწილის მარცხენა კიდეს (ცალმხრივმოძრაობიან გზაზე), ხოლო თუ ის სხვა ორმხრივმოძრაობიან გზაზე აპირებს გასვლას, მოხვევა ისე უნდა შეასრულოს, რომ სავალი ნაწილების გადაკვეთიდან გამოსვლისას საგამოცდო ავტომობილი საპირისპირო მოძრაობის მხარეს არ აღმოჩნდეს;

მ.ი) მარცხნივ მოხვევამდე ან მობრუნებამდე საგამოცდო ავტომობილი მოძრაობის ზოლში უნდა განალაგოს საგზაო მონიშვნის პარალელურად. ამასთან, მარცხნივ მოხვევის მოლოდინში, გაჩერებული საგამოცდო ავტომობილის წინა თვლები მანევრის დაწყებამდე წინასწარ არ უნდა მოაბრუნოს მარცხნივ;

ნ) მძღოლობის კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დისტანციისა და გვერდითი ინტერვალის დაცვა. აღნიშნული მიზნით:

ნ.ა) მძღოლობის კანდიდატმა, რომელიც მიჰყვება სხვა სატრანსპორტო საშუალებას, უნდა დაიცვას სათანადო (უსაფრთხო) დისტანცია, რათა თავიდან აიცილოს შეჯახება მის წინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების მოულოდნელი დამუხრუჭების ან გაჩერების შემთხვევაში. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აგრეთვე გვერდითი ინტერვალის დაცვა;

ნ.ბ) დისტანცია წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებამდე ფასდება იმ დროით, რა დროშიც სატრანსპორტო საშუალება გაივლის მოცემულ დისტანციას და უნდა შეადგენდეს:

ნ.ბ.ა) ნორმალური მოძრაობის პირობებში ერთმანეთის მიყოლებით მოძრავ სატრან-სპორტო საშუალებათა შორის არსებული დისტანციის დასაფარად საჭირო დრო დასახლებულ პუნქტში არანაკლებ 2 წამს, ხოლო დაუსახლებელ პუნქტში – არანაკლებ 3 წამს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება

გასწრების მიზნით იმ საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის ზოლიდან გამოსვლის შემთხვევაზე, როდესაც მძღოლობის კანდიდატს გასწრების განზრახვის თაობაზე მიცემული აქვს შესაბამისი სიგნალი, აგრეთვე ამ პუნქტის „ნ.ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე;

ნ.ბ.ბ) მოყინულ გზაზე მოძრაობისას ერთმანეთის მიყოლებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებათა შორის არსებული დისტანციის დასაფარად საჭირო დრო დასახლებულ პუნქტში არანაკლებ 6 წამს, ხოლო დაუსახლებელ პუნქტში – არანაკლებ 9 წამს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება გასწრების მიზნით იმ საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის ზოლიდან გამოსვლის შემთხვევაზე, როდესაც მძღოლობის კანდიდატს გასწრების განზრახვის თაობაზე მიცემული აქვს შესაბამისი სიგნალი;

ნ.გ) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასწრების მომენტში მძღოლობის კანდიდატმა გასასწრებ სატრანსპორტო საშუალებას/საშუალებებს უნდა დაუტოვოს საკმარისი გვერდითი სივრცე;

ნ.დ) სატრანსპორტო ნაკადში საგამოცდო ავტომობილის გაჩერებისას წინ გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებასთან დისტანცია უნდა იყოს იმდენი, რომ შესაძლებელი იყოს უკუსვლით მოძრაობის გარეშე მისი გვერდის ავლა. ამასთან, მძღოლობის კანდიდატმა არ უნდა განაახლოს მოძრაობა წინ გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების მიერ მოძრაობის განახლებმადე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოიშვა წინ გაჩერებული სატრანსპორტო საშულებისათვის გვერდის ავლის აუცილებლობა (მაგ.: წინ გაჩერებულმა სატრანსპორტო საშუალებამ ჩართო საავარიო შუქსიგნალიზაცია);

ნ.ე) გვერდითი ინტერვალი თანხვედრი ან საპირისპირო მიმართულებიდან მოძრავ, ასევე გაჩერებულ ან მდგომ სატრანსპორტო საშუალებებთან, გზაზე მოძრავ ველოსიპედისტებთან, ქვეითებთან, გზის სავალი ნაწილის კიდესთან არსებულ დაბრკოლებებთან მიმართებით უნდა იყოს უსაფრთხო. ამასთან, გაჩერებულ, მდგომ სატრანსპორტო საშუალებებთან ან გზის სავალი ნაწილის კიდესთან არსებულ დაბრკოლებებთან მიმართებით გვერდითი ინტერვალი უნდა იყოს იმდენი, რომ არ უშვებდეს შეჯახების ალბათობას, ხოლო სადგომზე დადგომისას შესაძლებელი უნდა იყოს ავტომობილის კარებების შეუფერხებლად გაღება;

ნ.ვ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილისა და მის წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებას შორის დისტანციის გაზრდა უნდა უზრუნველყოს:

ნ.ვ.ა) არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში;

ნ.ვ.ბ) წვიმისა და თოვის დროს;

ნ.ვ.გ) ნებისმიერ სხვა სიტუაციაში, სადაც ამას მოძრაობის უსაფრთხოება მოითხოვს;

ო) მძღოლობის კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო სიჩქარის შერჩევა. აღნიშნული მიზნით:

ო.ა) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის სიჩქარე უნდა გაზარდოს თანაბრად, ამასთან არ უნდა გადააჭარბოს ნებადართულ სიჩქარეს. სიჩქარის შერჩევისას მძღოლობის კანდიდატმა უნდა გაითვალისწინოს საგზაო პირობები (ადგილის რელიეფი, გზის მდგომარეობა, ატმოსფერული პირობები, მოძრაობის ინტენსივობა, არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობა და სხვა), რათა საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საფრთხის ან დაბრკოლების წინ, რომლის განჭვრეტაც მას შეუძლია, შეამციროს სიჩქარე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გაჩერდეს. მძღოლობს კანდიდატმა საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებთან მიმართებაში უნდა დაიცვას სიჩქარის შერჩევის მოთხოვნები. შერჩეული სიჩქარე მძღოლობის კანდიდატს საშუალებას უნდა აძლევდეს მუდმივად აკონტროლოს საგამოცდო ავტომობილი ისე, რომ დაცულ იქნეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ო.ბ) მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეარჩიოს სწორი სიჩქარე:

ო.ბ.ა) უფრო დაბალ გადაცემაში გადართვამდე, რათა გადაცემის გადართვის შემდეგ საგამოცდო ავტომობილმა იმოძრაოს ბიძგების გარეშე ან ძრავმა არ იმუშაოს მაღალ სიხშირეზე;

ო.ბ.ბ) გართულებული მოძრაობის პირობებში (მაგ.: წვიმის ან თოვის დროს) უნდა შეამციროს სიჩქარე, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა გაჩერდეს მითითებულ საგზაო პირობებში ხილვადი გზის მონაკვეთის ფარგლებში;

ო.ბ.გ) გზის იმ მონაკვეთზე გასვლამდე, სადაც საჭიროა სიჩქარის შემცირება ან გაჩერება (მაგ.: გზაჯვრედინი, რკინიგზის და ქვეითთა გადასასვლელი, საცხოვრებელი ზონა და ტერიტორია, სადაც შეიძლება იყვნენ ქვეითები, ველოსიპედისტები, მდგომი/გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებები);

ო.ბ.დ) გზაჯვარედინზე მოხვევამდე ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლამდე;

ო.ბ.ე) არასაკმარისი ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში (მაგ.: აღმართის უმაღლეს წერტილთან, შეზღუდული ხილვადობის გზაჯვარედინთან და გზაჯვარედინზე) ან მოსახვევთან მიახლოვებისას (მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეამციროს სიჩქარე, სანამ არ დარწმუნდება შემდგომი მოძრაობის უსაფრთხოებაში);

ო.ბ.ვ) მდგომი/გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებების გასწვრივ მოძრაობისას;

ო.ბ.ზ) სხვა სიტუაციაში, სადაც ამას მოძრაობის უსაფრთხოება მოითხოვს;

ო.გ) მძღოლობის კანდიდატმა განსაკუთრებული საფუძვლის გარეშე მეტისმეტად დაბალი სიჩქარით მოძრაობით არ უნდა გაართულოს სხვა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება;

ო.დ) მძღოლობის კანდიდატი, რომელიც აპირებს შესამჩნევად შეამციროს სიჩქარე, თუ სიჩქარის ეს შემცირება გამოწვეული არ არის უშუალო საფრთხით, წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ მას ეს შეუძლია გააკეთოს ისე, რომ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შეექმნათ საფრთხე და ზედმეტად არ გაართულოს მათი მოძრაობა;

ო.ე) მოხვევის და მობრუნების მანევრის შესრულებისას საგამოცდო ავტომობილი უნდა მოძრაობდეს არაუმეტეს 30კმ/სთ სიჩქარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი მანევრის შესრულებისას შერჩეული სიჩქარე მძღოლობის კანდიდატს საშუალებას აძლევს აკონტროლოს საგამოცდო ავტომობილი ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება;

ო.ვ) არ უნდა გაზარდოს საგამოცდო ავტომობილის სიჩქარე, როდესაც მას უსწრებს სხვა სატრანსპორტო საშუალება;

პ) მძღოლობის კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მარეგულირებელისა და შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, ასევე საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნების შესრულება. აღნიშნული მიზნით:

პ.ა) მძღოლობის კანდიდატმა უნდა შეასრულოს მარეგულირებლის სიგნალების, შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნები ურთიერთდამოკიდებულების უპირატესი ძალის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას მიაჩნია, რომ ეს მოთხოვნები ეწინააღმდეგება საგზაო მოძრაობის წესებს;

პ.ბ) მძღოლობის კანდიდატმა მანევრის შესრულებისათვის საგზაო მოძრაობის ზოლის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნები;

ჟ) მძღოლობის კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოხვევის შუქ-მაჩვენებელის სათანადო გამოყენება. აღნიშნული მიზნით:

ჟ.ა) მძღოლობის კანდიდატი ვალდებულია შესაბამისი მიმართულების მოხვევის შუქ-მაჩვენებელი ჩართოს:

ჟ.ა.ა) მოძრაობის დაწყებამდე;

ჟ.ა.ბ) მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევამდე;

ჟ.ა.გ) მობრუნებამდე;

ჟ.ა.დ) დაბრკოლების შემოვლამდე;

ჟ.ა.ე) მოძრაობის ზოლის შეცვლამდე (მათ შორის, გასწრებისას და გასწრების დამთავრების შემდეგ ადრე დაკავებულ მოძრაობის ზოლზე დაბრუნებასას, ასევე სხვა მოძრაობის ზოლში ავტომობილის ნაწილობრივ, ავტომობილის ნახევარი სიგანით ან მეტით გადასვლამდე);

ჟ.ა.ვ) გზიდან გასვლამდე;

ჟ.ა.ზ) საგამოცდო ავტომობილის თავისი სიგანით ან მეტით გვერდზე გადანაცვლებამდე;

ჟ.ა.თ) წრიულმოძრაობიანი გზაჯვარედინიდან გასვლამდე;

ჟ.ბ) მოხვევის შუქ-მაჩვენებელით სიგნალი მიცემული უნდა იქნეს დროულად, მანევრირების დაწყების წინ და უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, მისი დასრულებისთანავე. ამასთანავე, სიგნალმა არ უნდა შეაცდინოს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეები.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე დაიშვება ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებით, ამ მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები მძღოლობის კანდიდატზე ვრცელდება მისი შესაძლებლობის შეზღუდვის ხასიათისა და სატრანსპორტო საშუალების ადაპტაციის გათვალისწინებით.

4. მძღოლობის კანდიდატმა უნდა დაიცვას საგამოცდო მარშრუტი (არ უნდა გადაუხვიოს საგამოცდო მარშრუტს), გარდა საგზაო მოძრაობისას შექმნილი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევისა, გამომცდელის შესაბამისი მითითების არსებობისას. ამასთან, საგამოცდო მარშრუტიდან გადახვევის შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა მოძრაობა უნდა გააგრძელოს გამომცდელის მიერ მითითებული სვლაგეზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №106 - ვებგვერდი, 04.11.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №108 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 38[8]. პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება

1. ამ წესის 38[7] მუხლის პირველის პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მგზავრობის დაწყებამდე შემოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი არ/ვერ ასრულებს ავტომობილის ტექნიკური გამართულობის შემოწმებასთან დაკავშირებით გამომცდელის დავალებას;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატმა ავტომობილის დაძვრამდე არ შეამოწმა საგამოცდო ავტომობილის კარები დაკეტილია თუ არა;

ა.გ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის დაძვრამდე არ შეამოწმა გამორთულია თუ არა სადგომი მუხრუჭი და ჩართული სადგომი მუხრუჭით მოძრაობს 1 მეტრზე მეტ მანძილზე, მაგრამ არაუმეტეს 10 მეტრისა;

ა.დ) მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილის ძრავის გაშვებისას ბერკეტი არ არის ნეიტრალურ გადაცემაში, ხოლო ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილის შემთხვევაში – დგომის („P“) პოზიციაში;

ა.ე) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატმა ავტომობილის დაძვრამდე არ შეამოწმა საგამოცდო ავტომობილის კარები დაკეტილია თუ არა და სწრაფად არ აღმოფხვრა დარღვევა (გაიარა 10 მეტრზე მეტი მანძილი);

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატის მიერ მძღოლის სავარძელი არ/ვერ იქნა სათანადოდ დარეგულირებული (მორგებული);

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატის მიერ საგამოცდო ავტომობილის მძღოლის სავარძლის თავის საყრდენი მოწყობილობა (თავის მისაყუდებელი) არ/ვერ იქნა სათანადოდ დარეგულირებული (მორგებული);

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატმა უსაფრთხოების ღვედი არ/ვერ შეიკრა სათანადო წესით;

ბ.ე) მძღოლობის კანდიდატის მიერ უკუხედვის სარკეები არ/ვერ იქნა სათანადოდ დარეგულირებული (მორგებული);

ბ.ვ) მძღოლობის კანდიდატის მიერ საჭე არ/ვერ იქნა სათანადოდ დარეგულირებული (მორგებული);

ბ.ზ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის დაძვრამდე არ შეამოწმა გამორთულია თუ არა სადგომი მუხრუჭი და ჩართული სადგომი მუხრუჭით მოძრაობს 10 მეტრზე მეტ მანძილზე.

2. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილის გარე სანათი ხელსაწყოებისა და მართვის დამატებითი (დამხმარე) სხვა საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი არასათანდოდ/საჭიროების გარეშე იყენებს საგამოცდო ავტომობილის მართვის ნებისმიერ დამატებით (დამხმარე) საშუალებას (მაგ.: გარე სანათ ხელსაწყოებს, მოხვევის შუქ-მაჩვენებელს, ხმოვანი სიგნალს, საავარიო შუქსიგნალიზაციას, საქარე მინის მინამწმენდს, წყლის შესაშხურებელს, ვენტილაციას, კლიმატ-კონტროლს ან/და მართვის დამატებით (დამხმარე) სხვა საშუალებებს), მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.ბ) ძრავის ამუშავების შემდეგ, მოძრაობის დაწყებამდე მძღოლობის კანდიდატი არ ამოწმებს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებს ან/და მაფრთხილებელი სიგნალების მაჩვენებლებს და არ რწმუნდება ავტომობილის ტექნიკურ გამართულობაში, ან არ იცის რაზე მიუთითებს და რა მოიმოქმედოს, როდესაც მაფრთხილებელი სიგნალი შესაბამის დროში არ გამოირთო ან როდესაც საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები მიუთითებენ გაუმართაობაზე;

ა.გ) ავტომობილის მოძრობისას მძღოლობის კანდიდატი არ რეაგირებს ან 30 წამზე მეტ დროში რეაგირებს საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების მაჩვენებლებზე და მაფრთხილებელ სიგნალებზე, ან არ იცის რაზე მიუთითებს და რა მოიმოქმედოს, როდესაც ჩაირთო მაფრთხილებელი სიგნალი ან გაუმართაობის მაუწყებელი საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები;

ა.დ) მძღოლობის კანდიდატი ცდილობს მეორედ გაუშვას საგამოცდო ავტომობილის ძრავი, როდესაც ის უკვე გაშვებულია;

ა.ე) საგამოცდო ავტომობილი ძრავის გაშვებისას გორდება უკონტროლოდ, მათ შორის, იმის გამო, რომ ამის საჭიროების არსებობისას ჩართული არ იყო სადგომი მუხრუჭი;

ა.ვ) მძღოლობის კანდიდატმა ხმოვანი სიგნალი გამოიყენა არასაჭიროებისამებრ ან უფრო ხანგრძლივი დროით, ვიდრე ეს აუცილებელია;

ა.ზ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილიდან გადმოსვლამდე არ გამორთო (ჩააქრო) ძრავი;

ა.თ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი საჭიროებისას არ იყენებს ან არასათანდოდ იყენებს საგამოცდო ავტომობილის მართვის ნებისმიერ დამატებით (დამხმარე) საშუალებას (მაგ.: გარე სანათ ხელსაწყოებს, მოხვევის შუქ-მაჩვენებელს, ხმოვანი სიგნალს, საავარიო შუქსიგნალიზაციას, საქარე მინის მინამწმენდს, წყლის შესაშხურებელს, ვენტილაციას, კლიმატ-კონტროლს ან/და მართვის

დამატებით (დამხმარე) სხვა საშუალებებს), რითიც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილს მართავს უსაფრთხოების ღვედის შეკვრის გარეშე;
ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი უკუხედვის სარკეს/სარკეებს, მძღოლის სავარძელს ან მძღოლის სავარძლის საყრდენ მოწყობილობას (თავის მისაყუდებელს) არეგულირებს (ირგებს) საგამოცდო ავტომობილის მოძრაობისას.
3. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაბმულობის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:
ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:
ა.ა) მძღოლობის კანდიდატმა გადაბმულობის არასათანადო მართვით, არასათანადო გადაცემით და ა.შ. თავიდან ვერ აირიდა საგამოცდო ავტომობილის ძრავის ჩაქრობა, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ა.ბ) მძღოლობის კანდიდატს დაჭერილი აქვს ფეხი გადაბმულობის სატერფულზე და 3 წამზე მეტი დროის განმავლობაში არ ახორციელებს გადაცემათა ჩართვას, გადართვას ან გამორთვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა დაიწყოს მოძრაობა, გაჩერდეს ან შეასრულოს მანევრირება დაბალი სიჩქარით;
ა.გ) მძღოლობის კანდიდატი არასათანადოდ მართავს (ბოლომდე არ აჭერს) საგამოცდო ავტომობილის გადაბმულობის სატერფულს გადაცემის ჩართვისას, გადართვისას ან გამორთვისას;
ა.დ) მძღოლობის კანდიდატი საჭიროების გარეშე მოძრაობს სატერფულზე ფეხის აუღებლად სრულად ჩაურთველი გადაბმულობით;
ა.ე) მძღოლობის კანდიდატს ფეხი აქვს მიბჯენილი (მიდებული) გადაბმულობის სატერფულზე, როდესაც გადაბმულობა არ გამოიყენება (არ ხდება დაჭერა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნელა მოძრავ სატრანსპორტო ნაკადში ხდება ავტომობილის დაძვრა და მალე უნდა მოხდეს მისი გაჩერება;
ა.ვ) მძღოლობის კანდიდატმა ზედმეტად სწრაფად აუშვა გადაბმულობის სატერფულს, რამაც გამოიწვია საგამოცდო ავტომობილის ბიძგებით მოძრაობა;
ა.ზ) მძღოლობის კანდიდატმა დამუხრუჭებისას მუხრუჭის სატერფულს ფეხი დააჭირა გადაბმულობის გამორთვის შემდეგ, გარდა აღმართზე გაჩერების ან ნელა მოძრავ სატრანსპორტო ნაკადში ადგილიდან დაძვრის ან გაჩერების შემთხვევებისა;
ა.თ) ავტომობილის გადაცემათა კოლოფის ნეიტრალურ მდგომარეობაში ჩართვისას მძღოლობის კანდიდატს ფეხი არ გადააქვს (არ იღებს) გადაბმულობის სატერფულიდან;
ა.ი) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის დაბალი სიჩქარით მოძრაობისას არასათანადოდ მართავს საგამოცდო ავტომობილის გადაბმულობის სატერფულს (მხოლოდ „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);
ა.კ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილის გაჩერებისას გამორთო გადაბმულობა ავტომობილის 30კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას;
ა.ლ) გადაბმულობის სატერფულის გამოყენებისას მძღოლობის კანდიდატი ფეხს სატერფულზე აჭერს იმაზე უფრო მეტი ხნით ვიდრე ეს საჭიროა გადაცემის ჩასართველად, გამოსართველად, გადასართველად, მოძრაობის დაწყების, გაჩერების ან დაბალი სიჩქარით მანევრირებისათვის;
ა.მ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ) მძიმე შეცდომას, თუ:
ბ.ა) მძღოლობის კანდიდატმა გადაბმულობის არასათანადო მართვით, არასათანადო გადაცემით და ა.შ. თავიდან ვერ აირიდა საგამოცდო ავტომობილის ძრავის ჩაქრობა, რითაც შექმნა პოტენციურად საფრთხის შემცველი სიტუაცია;
ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატმა **მეექვსედ** დაუშვა ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსუბუქი შეცდომა;

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატმა **მეექვსედ** დაუშვა ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსუბუქი შეცდომა.

4. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცემის შერჩევასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი ირჩევს ისეთ გადაცემას, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ სიტუაციას, საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეს, ტექნიკურ მონაცემებს ან/და საგზაო მოძრაობის პირობებს, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატი მდგარი/გაჩერებული ავტომობილის დაძვრისას გადაცემათა გადართვას პირველიდან მეორე გადაცემაში ახორციელებს დაგვიანებით (მხოლოდ „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.გ) მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილით თანაბარი სიჩქარით მოძრაობისას მძღოლობის კანდიდატს ჩართული აქვს ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის შეუსაბამო (უფრო დაბალი) გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგზაო სიტუაცია ან/და საგზაო მოძრაობის პირობები ამას მოითხოვს (მხოლოდ „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.დ) მძღოლობის კანდიდატი გადაცემის გადართვას ახორციელებს, როდესაც გზაჯვარედინზე ან მოხვეული ან მიხვეული გზის მონაკვეთზე მოძრაობისას ატრიალებს საჭეს ან/და გადაცემათა გადართვა ხელს უშლის საგამოცდო ავტომობილს თანაბარ და მდორე მოძრაობაში;

ა.ე) მძღოლობის კანდიდატი მოსახვევში, მიხვეული ან მოხვეული გზის მონაკვეთზე ან დაღმართზე მოძრაობს ნეიტრალური გადაცემით;

ა.ვ) მძღოლობის კანდიდატმა ჩართო, გადართო ან გამორთო გადაცემა (ან ცდილობს აღნიშნულს) გადაბმულობის გამოურთავად ან გადაცემის გადართვას არ ახორციელებს მდორედ;

ა.ზ) მძღოლობის კანდიდატმა ჩართო ნეიტრალური გადაცემა, საგამოცდო ავტომობილის 30კმ/სთ ან მეტი სიჩქარით მოძრაობისას;

ა.თ) მძღოლობის კანდიდატი აგვიანებს გადაცემის გადართვას ან გადაცემის გადართვას ახორციელებს შეუსაბამო ადგილას ან/და დროს;

ა.თ[1]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის გადაცემების ჩართვას ახორციელებს დიდი ხმაურით (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.თ[2]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის გადაცემის გადართვისას, პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, გადაცემის იმავე გადართვას ვერ ახორციელებს ვერც მეორე ჯერზე (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.თ[3]) მძღოლობის კანდიდატი საწვავის და გამონაბოლქვი აირების რაოდენობის შესამცირებლად არასათანადოდ იყენებს საგამოცდო ავტომობილის გადაცემებს (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

[ა.თ[1]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის გადაცემების ჩართვის მოქმედებას ახორციელებს არასათანადოდ, რის შედეგად წარმოიშობა დამახასიათებელი დიდი ხმაური, ვიბრაცია ან/და საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაფაზე ირთვება შესაბამისი გაფრთხილება (მხოლოდ „C“, „D“, „„CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.თ[2]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის გადაცემის გადართვისას, პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, გადაცემის იმავე გადართვას ვერ ახორციელებს ვერც

მეორე ჯერზე (მხოლოდ „C“, „D“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ა.თ[3]) მძღოლობის კანდიდატი საწვავის მოხმარებისა და გამონაბოლქვი აირების რაოდენობის შესამცირებლად არასათანადოდ იყენებს საგამოცდო ავტომობილის გადაცემებს (მხოლოდ „C“, „D“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);*(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]*

ა.ი) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი ირჩევს ისეთ გადაცემას, რომელიც არ შეესაბამება, მოცემულ სიტუაციას, საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეს, ტექნიკურ მონაცემებს ან/და საგზაო მოძრაობის პირობებს, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი რთავს უკუსვლის გადაცემას, როდესაც საგამოცდო ავტომობილი მოძრაობს პირდაპირ ან რთავს წინ მოძრაობის გადაცემას, როდესაც საგამოცდო ავტომობილი მოძრაობს უკუსვლით ან ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილით მოძრაობისას გადაცემას რთავს დგომის („PARK“) პოზიციაში;

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი არ ირჩევს გადაცემას, რომელიც უზრუნველყოფს საგამოცდო ავტომობილის უსაფრთხოდ დგომას, როდესაც სადგომი მუხრუჭი ჩართული არ არის;

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატმა **მეექვსედ** დაუშვა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცემის შერჩევის ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა.

5. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქსელერატორის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა) მძღოლობის კანდიდატი გადაცემის გადართვისას ძალიან მძლავრად აწვება აქსელერატორის სატერფულს, როდესაც გადაბმულობა გამორთულია ან ბოლომდე არ არის ჩართული;

ბ) მძღოლობის კანდიდატი გაჩერებისათვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილამდე (მოძრაობის ამკრძალავი შუქნიშნის სიგნალი, 7.16 საგზაო ნიშანი ან სხვ.) ან სხვა შესაბამის სიტუაციაში, როდესაც მოძრაობის უსაფრთხოება ამის საშუალებას იძლევა, არ უშვებს (აწვება) აქსელერატორის სატერფულს და არ იყენებს (არ ხარჯავს) საგამოცდო ავტომობილის ინერციას;

გ) ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე საგამოცდო ავტომობილი მოძრაობის დაწყებისას ან შემდგომში მოძრაობს ბიძგებით;

დ) მძღოლობის კანდიდატმა აუცილებლობის გარეშე მკვეთრად გაზარდა საგამოცდო ავტომობილის სიჩქარე - ძრავის მუხლა ლილვის ბრუნვის სიხშირემ წუთში შეადგინა 3000 ან მეტი ბრუნი (მხოლოდ „B“, „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

ე) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

6. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილის დამუხრუჭებასა და გაჩერებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი მოძრაობისას ამუხრუჭებს არასათანადოდ და ვერ უზრუნველყოფს საგამოცდო ავტომობილის გაჩერებას, რაც აძლევს საგამოცდო ავტომობილს მოძრაობის გაგრძელების საშუალებას;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატი მუშა მუხრუჭის ან/და სადგომი მუხრუჭის არასათანდოდ გამოყენების გამო ვერ უზრუნველყოფს გაჩერებული/მდგომი ავტომობილის ადგილზე შეკავებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ფეხის გადატანა მუშა მუხრუჭიდან აქსელერატორის სატერფულზე);

ა.გ) მძღოლობის კანდიდატი აღმართზე გაჩერებისას მუშა მუხრუჭის ან/და სადგომი მუხრუჭის არასათანდოდ გამოყენების გამო ვერ უზრუნველყოფს საგამოცდო ავტომობილის შეკავებას ადგილზე, ე.ი. საგამოცდო ავტომობილი უგორდება უკან, მაგრამ მყისიერად ასწორებს შეცდომას;
ა.დ) მძღოლობის კანდიდატი ძლიერად აწვება მუხრუჭის სატერფულს, რითაც იწვევს ავტომობილის თვლების ბლოკირებას და სრიალს, მაგრამ სრაფად ასწორებს შეცდომას;
ა.ე) მძღოლობის კანდიდატი მოსახვევში, მოხვეული ან მიხვეული გზის მონაკვეთზე მოძრაობისას მძლავრად აწვება საგამოცდო ავტომობილის მუშა მუხრუჭის სატერფულს;
ა.ვ) მძღოლობის კანდიდატს ავტომობილის მოძრაობისას საჭიროების გარეშე ფეხი უდევს საგამოცდო ავტომობილის მუხრუჭის სატერფულზე;
ა.ზ) მძღოლობის კანდიდატი მუშა მუხრუჭის სატერფულს მართავს მარცხენა ფეხით;
ა.თ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილიდან გადმოსვლამდე არ ჩართო სადგომი მუხრუჭი;
ა.ი) მოსახვევში, მიხვეულ ან მოხვეულ გზის მონაკვეთთან შესასვლელად (შესვლამდე) მძღოლობის კანდიდატი მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად არასათანადოდ იყენებს მუხრუჭის სატერფულს;
ა.კ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ) მძიმე შეცდომას, თუ:
ბ.ა) მძღოლობის კანდიდატმა საჭიროების გარეშე გამოიყენა მკვეთრი დამუხრუჭება, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი აღმართზე/დაღმართზე გაჩერებისას ვერ უზრუნველყოფს საგამოცდო ავტომობილის შეკავებას ადგილზე, ე.ი. საგამოცდო ავტომობილი უგორდება და მყისიერად არ ასწორებს შეცდომას;
ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი ძლიერად აწვება საგამოცდო ავტომობილის მუხრუჭის სატერფულს, რითაც იწვევს საგამოცდო ავტომობილის თვლების ბლოკირებას და სრიალს და სწრაფად არ ასწორებს შეცდომას;
ბ.დ) მძღოლობის კანდიდატი არასათანადოდ რთავს საგამოცდო ავტომობილის სადგომ მუხრუჭს და ვერ იმორჩილებს საგამოცდო ავტომობილს;
ბ.ე) მძღოლობის კანდიდატი მოძრაობის დაწყების მცდელობისას ტოვებს საგამოცდო ავტომობილის სადგომ მუხრუჭს ჩართულ მდგომარეობაში, რაც იწვევს საგამოცდო ავტომობილის თვლების დამუხრუჭებასა და შეუძლებელს საგამოცდო ავტომობილის ადგილიდან დაძვრას და სწარაფად არ ასწორებს შეცდომას.
7. ამ წესის 38^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჭის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:
ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:
ა.ა) მძღოლობის კანდიდატი ვერ იცავს მოძრაობის არჩეულ ტრაექტორიას: უხვევს მოძრაობის ტრაექტორიიდან, საჭეს ატრილებს ბიძგებით;
ა.ბ) საგამოცდო ავტომობილი ერთი საბურავით მაინც გადადის გზისპირზე ან მიედება ტროტუარის ნაპირს, მაგრამ არ ადის მასზე;
ა.გ) მძღოლობის კანდიდატი არასათანადოდ ატრიალებს (მართავს) საგამოცდო ავტომობილის საჭის თვალს, კერძოდ:
ა.გ.ა) საჭის თვალი ხელებით უჭირავს შიგნითა მხრიდან;
ა.გ.ბ) ატრილებს (მართავს) საჭის თვალს მხოლოდ ერთი ხელით, გარდა ავტომობილის მართვის სხვა საშუალებების გამოყენების, უკუსვლით მოძრაობის ან ხელით სიგნალის მიცემის შემთხვევებისა;
ა.გ.გ) ატრიალებს საჭის თვალს ხელისგულით;
ა.გ.დ) უმიზეზოდ ატრიალებს საჭის თვალს, როდესაც ავტომობილი არ მოძრაობს;
ა.გ.ე) საჭის თვალი უჭირავს გადაჯვარედინებული ხელებით ან იმგვარად, რაც ხელს უშლის საჭის მართვას;

ა.დ) ავტომობილის სწორხაზოვანი ტრაექტორიით მოძრაობისას მძღოლობის კანდიდატს ხელები საგამოცდო ავტომობილის საჭეზე არასათანადოდ აქვს განლაგებული;
ა.ე) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ) მძიმე შეცდომას, თუ:
ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი ვერ იმორჩილებს საგამოცდო ავტომობილის საჭეს;
ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის მოძრაობისას ორივე ხელს იღებს საჭიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას აქვს წამიერი ხასიათი და არ იწვევს პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას (მაგალითად, მანევრირების დროს ძალიან დაბალი სიჩქარით მოძრაობისას);
ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილით შეეჯახა კონსტრუქციულად გამოყოფილ უსაფრთხოების კუნძულს ან გზის სხვა ელემენტს ან საგამოცდო ავტომობილის ერთი ან ერთზე მეტი თვლით ავიდა ტროტუარის ბორდიურზე, თუმცა არ დამდგარა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);
ბ.დ) მძღოლობის კანდიდატმა **მეექვსედ** დაუშვა ამ პუნქტის „ა.ა“ ან/და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა.
8. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაკვირვებასთან და მეთვალყურეობასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:
ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:
ა.ა) მძღოლობის კანდიდატი არ ახორციელებს ან არასათანდოდ ახორციელებს საგზაო ვითარების დაკვირვებას, მეთვალყურეობას და კონტროლს;
ა.ბ) მძღოლობის კანდიდატს საჭიროზე მეტი ხნით გადააქვს ყურადღება საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის მიმართულებიდან, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ა.გ) მძღოლობის კანდიდატი არ სარგებლობს ან არასათანადოდ სარგებლობს ავტომობილის უკუხედვის გარე ან/და შიდა სარკეებით;
ა.დ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილით უკუსვლის მანევრის დაწყებამდე ან უკუსვლის მანევრის შესრულებისას არ იყურება უკან ან თუ უკუსვლით მოძრაობის დაწყებამდე მძღოლობის კანდიდატი უკან იყურება მხოლოდ უკუხედვის სარკეებით;
ა.ე) მძღოლობის კანდიდატი არსებული სიტუაციისათვის შეუსაბამოდ დიდხანს იყურება უკუხედვის გარე ან/და შიდა სარკეში;
ა.ვ) ამის საჭიროების არსებობისას მძღოლობის კანდიდატი შესაბამისი მიმართულებით არ ატრიალებს თავს ავტომობილის უკუხედვის შიდა და გარე სარკეებით უხილავი გზის მონაკვეთის (ე.წ. „მკვდარი უბნების“) შესამოწმებლად;
ა.ზ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ) მძიმე შეცდომას, თუ:
ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი რკინიგზის გადასასვლელზე, გზაჯვარედინის გავლისას ან გზის მიმდებარე ტერიტორიიდან გზაზე გასვლისას არ ახორციელებს საგზაო ვითარების ყოველმხრივ დაკვირვებას;
ბ.ბ) საგზაო მოძრაობის ზოლის შეცვლამდე, მოხვევამდე ან სხვა სიტუაციაში, როდესაც საგამოცდო ავტომობილი საკუთარი სიგანით ან მეტით ინაცვლებს გვერდზე მძღოლობის კანდიდატი არ ახორციელებს საგზაო ვითარების ყოველმხრივ დაკვირვებას არც უკუხედვის სარკის და არც თავის შესაბამისი მიმართულებით მიტრიალებით (ე.წ. მხარზე გახედვა);
ბ.გ) მძღოლობის კანდიდატს გადააქვს მზერა საგამოცდო ავტომობილის მოძრაობის მიმართულებიდან, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.დ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის უკუსვლით მოძრაობისას გვერდზე და უკან ვითარების გასარკვევად არ ახორციელებს საგზაო ვითარების დაკვირვებას არც უკუხედვის სარკის და არც თავის შესაბამისი მიმართულებით მიტრიალებით;

ბ.ე) მძღოლობის კანდიდატმა მეექვსედ დაუშვა ამ პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსუბუქი შეცდომა.

9. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფრთხის გამოვლენასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი არასაკმარისად დროულად რეაგირებს გზაზე შექმნილ საფრთხის შემცველ სიტუაციაზე, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ: მძღოლობის კანდიდატი არასათანადოდ ან არასაკმარისად დროულად რეაგირებს გზაზე შექმნილ საფრთხის შემცველ სიტუაციაზე, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას.

10. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უპირატესობასთან (პრიორიტეტი)/გზის დათმობასთან (დაბრკოლების არშექმნა) და გადაწყვეტილებების მიღებასათან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) სატრანსპორტო ნაკადში მოძრაობისთვის უსაფრთხო დისტანციის არსებობის მიუხედავად მძღოლობის კანდიდატი ვერ ბედავს მოძრაობის განახლებას;

ა.ბ) გზაზე მოძრაობის შემაფერხებელი გარემობების არარსებობის მიუხედავად, მძღოლობის კანდიდატი უმიზეზოდ აჩერებს საგამოცდო ავტომობილს (ყოვნდება);

ა.გ) მოძრაობის გავლის უპირატესობის (პრიორიტეტის) უფლების ქონის მიუხედავად მძღოლობის კანდიდატი გზას უთმობს სხვა მძღოლს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გზის დათმობას საფუძვლად დაედო სხვა მძღოლთან თანამშრომლობა (დახმარება);

ა.დ) მძღოლობის კანდიდატი გზის დათმობის თაობაზე თავის განზრახვას არ გამოხატავს ნათლად ან/და თავისი მოქმედებით შეცდომაში შეყავს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეები;

ა.ე) მძღოლობის კანდიდატი სათანადოდ ვერ აფასებს სხვა სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარეს და მათთან მიმართებით დისტანციას/მანძილს მოძრაობის დაწყებისას, გზაჯვარედინის გავლისას, მოძრაობის ზოლის შეცვლისას, გზაზე გასვლისას;

ა.ვ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი შედის და საგამოცდო ავტომობილს აჩერებს ქვეითთა ან რკინიგზის გადასასვლელზე ან სავალი ნაწილების გადაკვეთაზე, რომელზეც ან რომლის მიღმაცარის ხერგილი;

ბ.ბ) შუქნიშნის ნებადამრთველი სიგნალის ჩართვისას, მძღოლობის კანდიდატი არ გადის იმ გზის სავალი ნაწილების გადაკვეთიდან, რომელზეც შესულია მარცხნივ მოხვევის მიზნით (ეს მოქმედება შეცდომად ფასდება, როდესაც მძღოლობის კანდიდატი გზის სავალი ნაწილის გადაკვეთიდან გასასვლელად არ იყენებს სატრანსპორტო ნაკადში უსაფრთხო შუალედს);

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი არ უთმობს გზას უპირატესობის (პრიორიტეტის) მქონე საგზაო მოძრაობის მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უპირატესობის (პრიორიტეტის) მქონე საგზაო მოძრაობის მონაწილემ თავისი ქმედებით ნათლად გამოხატა ამ უფლების გამოუყენებლობისა და გზის დათმობის თაობაზე;

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატი ქვეითთა გადასასვლელზე შევიდა ისე, რომ დარწმუნებული არ იყო, რომ არ მოუხდებოდა მასზე გაჩერება;

ბ.ე) მძღოლობის კანდიდატმა გამომცდელის მითითების შემდეგ 20 წამის განმავლობაში უსაფუძვლოდ არ დაძრა საგამოცდო ავტომობილი;

ბ.ვ) მძღოლობის კანდიდატი გზაზე მოძრაობისას არ ითვალისწინებს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ლ.მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას;

11. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომობილის გზაზე განლაგებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლის არარსებობისას სცდება მოძრაობის ზოლის საზღვარს (თუმცა არ იცვლის მოძრაობის ზოლს);

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატმა ისე შეარჩია საგამოცდო ავტომობილის გზაზე განლაგება, რომ წინ აქვს გზის ცუდი ხილვადობა და შეცდომის აღმოსაფხვრელად არ აკეთებს არჩეული მოძრაობის ტრაექტორიის კორექტირებას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.გ) მძღოლობის კანდიდატი შესაბამისი საფუძვლის არსებობისას არ გადადის დაკავებული მოძრაობის ზოლიდან სხვა მოძრაობის ზოლში ან გადადის დაკავებული მოძრაობის ზოლიდან სხვა მოძრაობის ზოლში ამის საჭიროების გარეშე, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.დ) მიუხედავად იმისა, რომ გარემოება ამის საშუალებას იძლევა მძღოლობის კანდიდატი არ მოძრაობს გზის სავალი ნაწილის მარჯვენა კიდესთან ახლოს;

ა.ე) თავისუფალი მარჯვენა ზოლის არსებობისას, მძღოლობის კანდიდატი საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე იკავებს მარცხენა მოძრაობის ზოლს;

ა.ვ) მძღოლობის კანდიდატმა დაიკავა განაპირა მარცხენა მოძრაობის ზოლი საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე (მხოლოდ „B“, „D“, „BE“ კატეგორიების/„D1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

[ა.ვ) მძღოლობის კანდიდატმა დაიკავა განაპირა მარცხენა მოძრაობის ზოლი საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე (მხოლოდ „B“, „D“, „BE“, „DE“ კატეგორიების/„D1“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

ა.ზ) მძღოლობის კანდიდატი შესაბამისი საფუძვლის არსებობისას არ სარგებლობს გაქანების ან აჩქარების ზოლით;

ა.თ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარჯვნივ მოხვევის წინ, მძღოლობის კანდიდატი არ მოძრაობს რაც შეიძლება ახლოს სავალი ნაწილის მარჯვენა კიდესთან ან მოხვევის შესრულებისას არ ასრულებს შეძლებისდაგვარად მოკლე მანევრს, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.ი)მძღოლობის კანდიდატი სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარჯვნივ მოხვევის მანევრს ასრულებს საპირისპირო მოძრაობის გამყოფ ხაზთან ძალიან ახლოს, თუმცა არ გადადის საპირისპირო მოძრაობის მხარეს;

ა.ი[1]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილით მარჯვნივ მოხვევის დასრულებისას სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი ნაწილით საჭიროების გარეშე გადადის საპირისპირო მიმართულების მოძრაობის მხარეს (მხოლოდ „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);

[ა.ი[1]) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილით მარჯვნივ მოხვევის დასრულებისას სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი ნაწილით საჭიროების გარეშე გადადის საპირისპირო მიმართულების მოძრაობის მხარეს (მხოლოდ „C“, „D“, „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

ა.კ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარცხნივ მოხვევის წინ, მძღოლობის კანდიდატი მაქსიმალურად არ უახლოვდება გზის სავალი ნაწილის ღერძს (ორმხრივმოძრაობიან გზაზე) ან სავალი ნაწილის მარცხენა კიდეს (ცალმხრივმოძრაობიან გზაზე), მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.ლ) მარცხნივ მოხვევამდე ან მობრუნებამდე საგამოცდო ავტომობილი არ იმყოფება მოძრაობის ზოლში საგზაო მონიშვნის პარალელურად;
ა.მ) მძღოლობის კანდიდატი მარცხნივ მოხვევის მოლოდინში, გაჩერებული საგამოცდო ავტომობილის წინა თვლებს მანევრის დაწყებამდე წინასწარ აბრუნებს მარცხნივ;
ა.ნ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარცხნივ მოხვევის მანევრის დასრულებისას საგამოცდო ავტომობილი უმნიშვნელოდ გადადის საპირისპირო მოძრაობის მხარეს, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველი სიტუაციას;
ა.ო) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მარცხნივ მოხვევის ან მარჯვნის მოხვევის მანევრის შესრულებასთან დაკავშირებულ გზაზე განლაგების სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ) მძიმე შეცდომას, თუ:
ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი ირჩევს ავტომობილის მოძრაობის არასწორ ტრაექტორიას ან ახორციელებს მოძრაობის ზოლის შეცვლას სავალი ნაწილების გადაკვეთაზე, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.ა[1]) მძღოლობის კანდიდატს საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე უკავია განაპირა მარცხენა მოძრაობის ზოლი (მხოლოდ „C“ კატეგორიის/„C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);
[ბ.ა[1]) მძღოლობის კანდიდატს საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე უკავია განაპირა მარცხენა მოძრაობის ზოლი (მხოლოდ „C“, „CE“ კატეგორიების/„C1“, „C1E“, ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა შემთხვევაში);***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***
ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი გასწრებას ახორციელებს მარჯვენა მხრიდან, გარდა საგზაო მოძრაობის წესებით ნებადართული შემთხვევისა;
ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილს აჩერებს გაჩერებისათვის აკრძალულ ადგილზე (ეს შეცდომა არ გამოიყენება გაჩერების ამკრძალავი საგზაო ნიშნის ან/და საგზაო მონიშვნის მოქმედების ზონაში გაჩერების შემთხვევაში);
ბ.დ) საგზაო მოძრაობის წესებით განსაზღვრული ნებადართული შემთხვევის გარდა მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის მესამედით ან მეტით გადადის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობისათვის განკუთვნილ მოძრაობის ზოლზე;
ბ.ე) მძღოლობის კანდიდატმა მეექვსედ დაუშვა გზაზე განლაგების წესის ამ პუნქტის „ა.ა“-„ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა;
ბ.ვ) მძღოლობის კანდიდატი მარჯვნივ უხვევს არასათანადო მოძრაობის ზოლიდან;
ბ.ზ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარჯვნივ მოხვევის წინ, მძღოლობის კანდიდატი არ მოძრაობს რაც შეიძლება ახლოს სავალი ნაწილის მარჯვენა კიდესთან ან არ ასრულებს შეძლებისდაგვარად მოკლე მანევრს, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.თ) მძღოლობის კანდიდატი სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარჯვნივ მოხვევის მანევრის დასრულებისას გადადის საპირისპირო მოძრაობის მხარეს;
ბ.ი) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარცხნივ მოხვევის წინ, მძღოლობის კანდიდატი მაქსიმალურად არ უახლოვდება გზის სავალი ნაწილის ღერძს (ორმხრივმოძრაობიან გზაზე) ან სავალი ნაწილის მარცხენა კიდეს (ცალმხრივმოძრაობიან გზაზე), რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;
ბ.კ) სხვა გზაზე გასასვლელად ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელად მარცხნივ მოხვევის მანევრის დასრულებისას საგამოცდო ავტომობილი უმნიშვნელოდ გადადის საპირისპირო მოძრაობის

მხარეს, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას ან საგამოცდო ავტომობილი მესამედით ან მეტით გადადის საპირისპირო მოძრაობის მხარეს.

12. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისტანციისა და გვერდითი ინტერვალის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს საგამოცდო ავტომობილსა და წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებასთან სათანდო დისტანციას, თუმცა მალევე ასწორებს შეცდომას;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს სათანადო გვერდით ინტერვალს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ ან სავალი ნაწილების კიდესთან არსებულ დაბრკოლებასთან მიმართებით უკავია ძალიან მცირე სივრცე, თუმცა მალევე ასწორებს შეცდომას;

ა.გ) მძღოლობის კანდიდატმა სატრანსპორტო ნაკადში საგამოცდო ავტომობილი ისე გააჩერა, რომ შეუძლებელია უკუსვლით მოძრაობის გარეშე წინ გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების გვერდის ავლა;

ა.დ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს საგამოცდო ავტომობილსა და წინ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებასთან სათანდო დისტანციას და მალევე არ ასწორებს შეცდომას;

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს სათანადო გვერდით ინტერვალს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეების მიმართ ან სავალი ნაწილების კიდესთან არსებულ დაბრკოლებასთან მიმართებით უკავია ძალიან მცირე სივრცე და მალევე არ ასწორებს შეცდომას.

13. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიჩქარის შერჩევასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) **მსუბუქ შეცდომას, თუ:**

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილის აჩქარებას ახორციელებს ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა მოძრაობის პირობების მხედველობაში მიღების გარეშე;

ა.ბ) მძღოლობის კანდიდატი მოძრაობს უფრო ჩქარა, ვიდრე ეს შეესაბამება გზაზე არსებულ სიტუაციას, მაგრამ არ აჭარბებს გზის მოცემულ მონაკვეთზე დაშვებულ სიჩქარეს, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.გ) მძღოლობის კანდიდატმა მოხვევის ან მობრუნების მანევრი შეასრულა 30 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი მანევრის შესრულებისას შერჩეული სიჩქარე მძღოლობის კანდიდატს საშუალებას აძლევს აკონტროლოს საგამოცდო ავტომობილი ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება;

ა.დ) მძღოლობის კანდიდატმა გადააჭარბა საგამოცდო მარშრუტის გზის მონაკვეთზე ნებადართულ (დადგენილ) სიჩქარეს, მაგრამ არაუმეტეს 15 კმ/სთ-სა, თუმცა არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ა.დ[1]) მძღოლობის კანდიდატმა გადააჭარბა საგამოცდო მარშრუტის გზის მონაკვეთზე ნებადართულ (დადგენილ) სიჩქარეს 15 კმ/სთ-ზე მეტით, რაც გაგრძელდა არაუმეტეს 100 მეტრისა;

ა.ე) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატმა გადააჭარბა საგამოცდო მარშრუტის გზის მონაკვეთზე ნებადართულ (დადგენილ) სიჩქარეს 15 კმ/სთ-ზე მეტით, რაც გაგრძელდა 100 მეტრზე მეტ მანძილზე;

ბ.ა[1]) მძღოლობის კანდიდატმა გადააჭარბა საგამოცდო მარშრუტის გზის მონაკვეთზე ნებადართულ (დადგენილ) სიჩქარეს, მაგრამ არაუმეტეს 15 კმ/სთ-სა, რაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი კონკრეტულ სიტუაციისთვის მოძრაობს ძალიან ნელა, ე.ი. გზის მოცემულ მონაკვეთზე დაშვებულ მაქსიმალურ სიჩქარეზე 15 კმ/სთ მეტით ნაკლები სიჩქარით, როდესაც მოძრაობის პირობები ამას არ მოითხოვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულს აქვს ხანმოკლე ხასიათი და მძღოლობის კანდიდატის მიერ სწრაფად ხდება გამოსწორება ან მძღოლობის კანდიდატი უსაფრთხოდ და თანაბარი სიჩქარით შეერევა სატრანსპორტო ნაკადს;

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატი ზრდის საგამოცდო ავტომობილის სიჩქარეს, როდესაც მას უსწრებს სხვა სატრანსპორტო საშუალება;

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატი მოძრაობს უფრო ჩქარა, ვიდრე ეს შეესაბამება გზაზე არსებულ სიტუაციას, მაგრამ არ აჭარბებს გზის მოცემულ მონაკვეთზე დაშვებულ სიჩქარეს, რითიც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას ან არასათანადო სიჩქარის შერჩევა ხდება უკუსვლით მოძრაობისას.

14. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელისა და შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, ასევე საგზაო ნიშნებისა და საგზაო მონიშვნების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას თუ:

ა.ა) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილს აჩერებს ისე, რომ საგამოცდო ავტომობილის არაუმეტეს ნახევრით სცდება „სდექ“ ხაზს ან/და 7.16 საგზაო ნიშანს;

ა.ბ) არასაკმარისი ხარისხით აღიქვამს მოძრაობის მარეგულირებელ სიგნალებს, ე.ი. ზედმეტად აყოვნებს მოძრაობას, თუმცა შეუძლია იმოძრაოს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებისათვის ხელშეშლის გარეშე;

ა.გ) მძღოლობის კანდიდატი არ იცავს ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნას, მაგრამ არ ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი არ ასრულებს ან არასათანდოდ ასრულებს მარეგულირებელის, შუქნიშნის მაშუქი სიგნალების, საგზაო ნიშნებისა ან საგზაო მონიშვნების მოთხოვნებს;

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატი საგამოცდო ავტომობილს გაჩერებისას საგამოცდო ავტომობილის ნახევარზე მეტით გასცდა „სდექ“ ხაზს ან/და 7.16 საგზაო ნიშანს ან გააჩერა სავალი ნაწილების გადაკვეთის ნაპირებიდან ისეთ მანძილზე, რამაც შექმნა პოტენციურად საფრთხის შემცველი სიტუაცია;

ბ.გ) მძღოლობის კანდიდატმა მოხვევის ან მობრუნების მანევრი შეასრულა აკრძალულ ადგილზე;

ბ.დ) მძღოლობის კანდიდატმა შეასრულა უკუსვლით მოძრაობის მანევრი, უკუსვლით მოძრაობისათვის აკრძალულ ადგილას.

15. ამ წესის 38[7] მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოხვევის შუქ-მაჩვენებელის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს:

ა) მსუბუქ შეცდომას, თუ: მძღოლობის კანდიდატი არასათანდოდ იყენებს მოხვევის შუქ-მაჩვენებელს (საჭიროების არსებობისას არ რთავს/დროულად არ რთავს ან რთავს მიმართულების შეუსაბამაბო მოხვევის შუქ-მაჩვენებელს ან მოხვევის შუქ-მაჩვენებელი გამორთო მანევრის (მოქმედების) დაწყებამდე ან მის დასრულებამდე ან მოხვევის შუქ-მაჩვენებლის ავტომატურად გამორთვის შემთხვევაში არ რთავს (მიუხედავად საჭიროებისა) მას ხელახლა ან მოხვევის შუქ-მაჩვენებლს რთავს საჭიროების გარეშე ან მოხვევის შუქ-მაჩვენებლი არ გამორთო მანევრის დასრულებისთანავე);

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედება შეცდომად არ შეფასდება, თუ უახლეს გადამკვეთ გზამდე ან გზის მიმდებარე ტერიტორიაზე შესასვლელამდე, იმ ადგილამდე, სადაც განსაზღვრულია მოხვევა და ა.შ. მცირე მანძილის გამო ან/და გზაზე არსებული სიტუაციის

გათვალისწინებით შესაბამისი მოქმედების შესრულება შეცდომაში შეიყვანს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეს.

ბ) მძიმე შეცდომას, თუ:

ბ.ა) მძღოლობის კანდიდატი რთავს მიმართულების შეუსაბამაბო მოხვევის შუქ-მაჩვენებელს, რითაც ქმნის პოტენციურად საფრთხის შემცველ სიტუაციას;

ბ.ბ) მძღოლობის კანდიდატმა მეექვსედ დაუშვა მოხვევის შუქ-მაჩვენებლის გამოყენების მოთხოვნის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთი და იგივე ან სხვადასხვა მსუბუქი შეცდომა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №108 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 39. მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (დისკვალიფიკაციის) პირობები

1. მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა უარყოფითად შეფასდება (დისკვალიფიკაცია), თუ:

ა) ამ წესის 24^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მძღოლობის კანდიდატი გაძევებულ იქნა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდიდან;

ბ) მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული დროის განმავლობაში ვერ უზრუნველყო თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო გამსვლელი ქულების დაგროვება;

გ) არსებობს ამ წესით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდიდან დისკვალიფიკაციის სხვა საფუძველი.

2. მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი უარყოფითად შეფასდება (დისკვალიფიკაცია), თუ:

ა) ამ წესის 24^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მძღოლობის კანდიდატი გაძევებულ იქნა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპიდან;

ბ) მძღოლობის კანდიდატმა დააგროვა 39-ზე მეტი საჯარიმო ქულა;

გ) მძღოლობის კანდიდატი ქმნის საავარიო სიტუაციას, ვერ უზრუნველყოფს საგამოცდო ავტომობილის დროულ გაჩერებას ან/და დაკარგა საგამოცდო ავტომობილის მართვაზე კონტროლი, რის გამოც გამომცდელი იძულებული ხდება ჩაერიოს საგამოცდო ავტომობილის მართვაში ან/და შეწყვიტოს გამოცდა;

დ) მძღოლობის კანდიდატმა ვერ უზრუნველყო საგამოცდო ელემენტის დადგენილი წესით დასრულება;

ე) მძღოლობის კანდიდატის მიერ საგამოცდო ელემენტის შეუსრულებლობის ან გამოცდის მიმდინარეობის გაჭიანურების გამო, ფერხდება საგამოცდო პროცესი ან/და ხელი ეშლება სხვა მძღოლობის კანდიდატებს;

$ე^1$) პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე მძღოლობის კანდიდატმა ვერ უზრუნველყო ამ წესის 35-ე მუხლის 2^1 ან/და 2^2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულება;

ვ) მძღოლობის კანდიდატმა დაარღვია საგამოცდო ელემენტების შესრულების თანმიმდევრობა ან/და გამოტოვა რომელიმე საგამოცდო ელემენტი ან/და არ დაემორჩილა გამომცდელის კანონიერ მოთხოვნას;

ზ) მძღოლობის კანდიდანტმა ვერ უზრუნველყო ამ წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ვ“ ან „გ.ზ“ქვეპუნქტით განსაზღვრული რომელიმე მოთხოვნის შესრულება;
თ) საგამოცდო ელემენტის „აღმართის“ შესრულებისას, ავტომობილი „სდექ“ ხაზთან შეჩერების გარეშე გასცდა მას 1 მეტრზე მეტი მანძილით;
ი) საგამოცდო ელემენტის „აღმართის“ შესრულებისას, ავტომობილის 20 სმ-ზე მეტად დაგორების შემთხვევაში, მძღოლობის კანდიდატმა დაუყოვნებლივ არ ჩართო სადგომი მუხრუჭი;
კ) მძღოლობის კანდიდანტმა ვერ უზრუნველყო ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულება;
ლ) გამოცდის მსვლელობისას, მძღოლობის კანდიდატის მიერ ამ წესის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა დარღვეულ იქნა მესამედ;
მ) გამოცდის მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მძღოლობის კანდიდატმა გამოავლინა ამ წესის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დაბალი დონე;
ნ) მძღოლობის კანდიდატი უარს აცხადებს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე გასვლაზე ან მოითხოვს მის შეწყვეტას;
ო) არსებობს ამ წესით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპიდან დისკვალიფიკაციის სხვა საფუძველი.
3. მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპი არადამაკმაყოფილებლად შეფასდება (დისკვალიფიკაცია), თუ:
ა) გამომცდელი ამ წესის 38[6] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზნით სიტყვიერად ან ფიზიკურად ჩაერია საგამოცდო ავტომობილის მართვაში;
ბ) მძღოლობის კანდიდატის ბრალეულობით დადგა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია);
გ) მძღოლობის კანდიდატის მოქმედება მოძრაობის სხვა მონაწილეს იძულებულს ხდის უეცრად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება ან სიჩქარე (საფრთხის შემცველი სიტუაცია) და არ წარმოადგენს ამ წესით განსაზღვრულ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებულ მსუბუქ ან მძიმე შედომას ან მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის არადამაკმაყოფილებლად შეფასების (დისკვალიფიკაციის) სხვა საფუძველს;
დ) მძღოლობის კანდიდატმა არ შეასრულა (არ დაემორჩილა) გამომცდელის კანონიერ მითითებას/მოთხოვნას, გარდა მოძრაობის დაწყების შესახებ მითითებისა;
ე) საგამოცდო ავტომობილის მართვასთან დაკავშირებული მძღოლობის კანდიდატის მოქმედება/უმოქმედობა წარმოადგენს საფრთხეს საგზაო მოძრაობის მონაწილეთათვის ან/და საგამოცდო ავტომობილისათვის, მიუხედავად იმისა, წარმოიშვა თუ არა საგამოცდო ავტომობილის მართვაში გამომცდელის ჩარევის საჭიროება და არ წარმოადგენს ამ წესით განსაზღვრულ პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მძღოლობის კანდიდატის მიერ დაშვებულ მძიმე შედომას ან მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის არადამაკმაყოფილებლად შეფასების (დისკვალიფიკაცია) სხვა საფუძველს;
ვ) მძღოლობის კანდიდატმა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მიმდინარეობისას გამოიყენა მობილური ტელეფონი;
ზ) მძღოლობის კანდიდატმა საგამოცდო ავტომობილი დაძრა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის დაწყებამდე გამომცდელის შესაბამისი მითითების გარეშე;
თ) მძღოლობის კანდიდატი უარს აცხადებს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე გასვლაზე;
თ[1]) მძღოლობის კანდიდატი მოითხოვს პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის შეწყვეტას;
ი) მძღოლობის კანდიდატი არ გამოცხადდა ან ამ წესით განსაზღვრული დროის დარღვევით გამოცხადდა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე;
კ) მძღოლობის კანდიდატი გაძევებულ იქნა პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპიდან ამ წესის 24[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით.
ლ) არსებობს ამ წესით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპიდან დისკვალიფიკაციის სხვა საფუძველი.

4. ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით განსაზღვრული გარემოების დადგომისთანავე მართვის უფლების მისაღები შესაბამისი გამოცდა შეწყდება, ხოლო გამოცდა ჩაუბარებლად ჩაითვლება.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მობილური ტელეფონის გამოყენება ხდება საგამოცდო პროცესის ფოტო/ვიდეოგადაღების ან/და აუდიოჩაწერის მიზნით) და „ი“ ქვეპუნქტებითა და ამ წესის 241 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“, „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპზე მისი დაშვება შესაძლებელია დისკვალიფიკაციიდან არაუადრეს 90 კალენდარული დღისა.
6. ამ წესის 241 მუხლის 91 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობისას, იმავე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“, „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით მძღოლობის კანდიდატის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე მისი დაშვება შესაძლებელია დისკვალიფიკაციიდან არაუადრეს 730 კალენდარული დღისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 02.04.2024წ.

თავი IV. მართვის უფლების მინიჭება, მართვის მოწმობის გაცემა და მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრი

მუხლი 40. მართვის უფლების მნიჭება და მართვის მოწმობის გაცემა

1. პირს, რომლემაც წარმატებით ჩააბარა მოთხოვილი კატეგორიისათვის ან ქვეკატეგორიისათვის ამ წესით განსაზღვრული მართვის უფლების მისაღები გამოცდა (თეორიული ან/და პრაკტიკული) სააგენტო ანიჭებს შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

2. სააგენტოს მიერ პირისათვის „AM“, „A“, „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“, „T“, „S“ კატეგორიის ან/და „A1“, „A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება დასტურდება მართვის მოწმობის გაცემით, ხოლო ტრამვაის მართვის უფლების მინიჭება – ტრამვაის მართვის მოწმობის გაცემით, ამასთანავე:

ა) ყოველი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თარიღად მიიჩნევა ამ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის მართვის მოწმობის გაცემის თარიღი;

ბ) ყოველი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მინიჭებული მართვის უფლების გაუქმების თარიღად ჩაითვლება ამ კატეგორიისათვის/ქვეკატეგორიისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის დასრულების თარიღი.

3. პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა მართვის უფლების მისაღები გამოცდა, ვალდებულია, მართვის მოწმობის მიღების მიზნით, გამოცხადდეს საგამოცდო სამსახურში და წარმოადგინოს მართვის მოწმობის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე ახალი კატეგორიის ან ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარებამდე გაცემული მართვის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .

4. პირის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებამდე, სააგენტოს მიერ მართვის მოწმობის დამზადება და გაცემა არ განხორციელდება.

5. მართვის მოწმობის გაცემად ჩაითვლება სააგენტოს მიერ მინიჭებული კატეგორიისათვის ან ქვეკატეგორიისათვის მართვის მოწმობის დამზადება (დაბეჭდვა) და მართვის მოწმობათა გაცემის

რეესტრში შესაბამისი ჩანაწერების ასახვა. მართვის მოწმობის გაცემამდე პირი ითვლება მართვის უფლების არმქონედ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 41. მართვის მოწმობის მოქმედების ვადა

1. პირისათვის „AM“, „A“, „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“, „T“, „S“ კატეგორიის ან/და „A1“„A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება დასტურდება სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის (შემდგომ – მართვის მოწმობა) გაცემით, ხოლო ტრამვაის მართვის უფლების მინიჭება – ტრამვაის მართვის მოწმობის გაცემით, ამასთანავე:

ა) ყოველი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თარიღად მიიჩნევა ამ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის მართვის მოწმობის გაცემის თარიღი;

ბ) „AM“, „A“, „B“, „BE“, „T“, „S“ კატეგორიების/„A1“, „A2“, „B1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:

ბ.ა) ბ.ა) 15 წელი (გარდა ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ბ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა;

გ) „C“, „CE“, „D“, „DE“ კატეგორიების/„C1“, „C1E“, „D1“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:

გ.ა) 5 წელი (გარდა ამ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

გ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა;

დ) ტრამვაის მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა:

დ.ა) 5 წელი (გარდა ამ პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

დ.ბ) უფლებამოსილი პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მართვის მოწმობის შეზღუდული ვადით გაცემის თაობაზე რეკომენდაციის აღნიშვნის შემთხვევაში – დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებელი გადამოწმებისათვის განსაზღვრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა.

2. მინიჭებული კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადა შეიძლება შემცირდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

3. ამ წესის შესაბამისად ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის გარეშე მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის შემთხვევაში დაინტერესებული პირისათვის მინიჭებული და იურიდიული ძალის მქონე კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაცვლელი/აღსადგენი მართვის მოწმობით იმავე კატეგორიებისათვის/ქვეკატეგორიებისათვის განსაზღვრული მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროით.

4. ამ წესის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა 1 წელი;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის მოქმედების ვადაა 3 წელი, გარდა ამ წესის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. მართვის მოწმობის შეცვლისას, დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისას, შეჩერებული ან ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენისას ახალი მართვის მოწმობის გაცემის შემთხვევაში, მართვის მოწმობის მოქმედების ვადა შესაბამისი კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებისათვის განისაზღვრება ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. მართვის მოწმობის მოქმედების საერთო ვადად განისაზღვრება მასში ასახული მინიჭებული კატეგორიების/ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების მაქსიმალური ვადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.01.2024 წ.

მუხლი 42. საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის წესი

1.დაინტერესებულ პირზე, ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე, სააგენტოს მიერ გაიცემა:

ა) „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა;

ბ) „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა:

ა) არის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციის დანართი №10-ის შესაბამისად დამზადებული დოკუმენტი და მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული წესით, ამავე კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე;

ბ) გაიცემა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული და მართვის მოწმობაში ასახული, მინიჭებული კატეგორი(ებ)ით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა:

ა) არის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციის დანართი №7-ის შესაბამისად დამზადებული დოკუმენტი და მოქმედებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციით გათვალისწინებული წესით, ამავე კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე;

ბ) გაიცემა ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში ასახული, მინიჭებული კატეგორი(ებ)ით/ქვეკატეგორი(ებ)ით.

4. საერთაშორისო მართვის მოწმობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა საგამოცდო სამსახურში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება, რომელშიც, მათ შორის, უნდა მიეთითოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის ის ფორმა, რომლის მიღებასაც პირი ითხოვს;

ბ) ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა არ გაიცემა იმ ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არ აღემატება 1 წელს.

6. იმ ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არ აღემატება 3 წელს, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა მართვის მოწმობის მოქმედების ვადით.

7. დაკარგული, დაზიანებული ან ვადაგასული საერთაშორისო მართვის მოწმობის სანაცვლოდ გაიცემა ახალი საერთაშორისო მართვის მოწმობა.

8. დაუშვებელია უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დაზიანებული საერთაშორისო მართვის მოწმობის სააგენტოს მიერ შეცვლა, ხოლო დაკარგვის შემთხვევაში – მისი აღდგენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის გრძანება №3 - ვებგვერდი, 23.01.2024 წ.

მუხლი 43. ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში ზოგიერთი მონაცემის აღნიშვნის თავისებურების შესახებ

1. ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში მონაცემების აღნიშვნა (დატანა) ხორციელდება „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 აპრილის №334 ბრძანებულებისა და ამ წესის შესაბამისად.

2. ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის:

ა) წინა მხარეს (ავერსი) მე-9 გრაფაში მიეთითება პირისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების ის კატეგორია (ქვეკატეგორია), რომლის მართვის უფლებას არ მოიცავს ამავე პირზე მინიჭებული სხვა კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, გარდა „AM“ კატგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისა, რომელიც ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის წინა მხარის (ავერსი) მე-9 გრაფაში მიეთითება მიუხედავად იმისა, პირს მინიჭებული აქვს თუ არა სხვა კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

ბ) უკანა მხარეს (რევერსი) მე-9 გრაფაში მიეთითება პირისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების ყველა ის კატეგორია (ქვეკატეგორია), რომელზეც ვრცელდება აღნიშნული მართვის მოწმობა (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მართვის უფლებებისა). ამასთან, „AM“ კატგორიის და „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის უკანა მხარეს (რევერსი) მითითების წესი განისაზღვრება ამ მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტებით.

2^1. „AM“ კატეგორიის:

ა) ამ წესის 4^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით მინიჭების შემთხვევაში, ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის უკანა მხარეს (რევერსი) „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიეთითება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში („A1“ ქვეკატეგორიის გასწვრივ) შემდეგი სახით - (AM). ამასთან, პირის მიერ სხვა კატეგორიის/ ქვეკატეგორიის მინიჭების შემთხვევაში, ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის უკანა მხარეს (რევერსი) „AM“ კატეგორიის შესახებ ინფორმაციის მითითება აღარ ხდება, ხოლო „AM“ კატეგორიის მოქმედების ვადად მიიჩნევა მართვის მოწმობის მოქმედების ვადა;

ბ) ამ წესის 4^1 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით მოპოვების შემთხვევაში, ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის უკანა მხარეს (რევერსი) „AM“ კატეგორიის შესახებ ინფორმაციის მითითება არ ხდება.

2^2. ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის უკანა მხარეს (რევერსი) „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება:

ა) „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების არმქონე პირის შემთხვევაში მიეთითება კოდირებულად შემდეგი სახით: მე-12 გრაფაში („A“ კატეგორიის გასწვრივ) - 103. (A2) და მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) შემდეგი სახით - 103. (A2) ≤35 kW; ≤0,2 kW/kg;

ბ) „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირის შემთხვევაში მიეთითება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) კოდირებული სახით და მითითებული უნდა იქნეს კოდი (103), აგრეთვე „A2“ ქვკატგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თარიღი (მაგ: 103. (A2) 03.11.21). ამასთან „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოქმედების ვადად მიიჩნევა „A“ კატეგორიისათვის მართვის მოწმობის მე-11 გრაფაში მითითებული მოქმედების ვადა.

3. გარდა პირისათვის მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისა, ამ მუხლის 2^1 დ 2^2 პუნქტების მოთხოვნათა გათავლისწინებით, ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში სავალდებულოა აღნიშნულ იქნეს პირის მიერ მოპოვებული ამ წესის:

ა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უფლება;

გ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

დ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ე) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ვ) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლება;

ზ) მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლება;

თ) მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლება;

ი) მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლების მინიჭებისა და გაუქმების თარიღად განისაზღვრება იმ კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისა და გაუქმების თარიღი, რომლის საფუძველზეც პირმა მოიპოვა აღნიშნული უფლება. ეს წესი არ ვრცელდება იმ კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაზე, რომლის მინიჭებაც განხორციელდა პირის მიერ კონკრეტულად ამ უფლების მოსაპოვებლად მართვის უფლების მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად.

4^1. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული წესი აგრეთვე ვრცელდება 2012 წლის 1 აგვისტომდე პირისათვის მინიჭებული კატეგორიების ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობაში ასახვისას.

5. ერთიანი ნიმუშის ეროვნულ მართვის მოწმობაში არ აღინიშნება პირის მიერ მოპოვებული ამ წესის:

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

გ) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

დ) მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული უფლება;

ე) მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ვ) 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება;

ზ) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება.

6. მართვის მოწმობაში საცხოვრებელი ადგილის გრაფაში შეიძლება მიეთითოს, მხოლოდ ქალაქის ან რაიონის დასახელება.

7. (ამოღებულია - 18.03.2014, №216).

8. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში აღნიშნული უფლებამოსილი პირის რეკომენდაციის საფუძველზე პირს სატრანსპორტო საშუალებათა მართვაზე დაუწესდა შეზღუდვა, დაკავშირებული რაიმე მოწყობილობის ტარებასთან ან/და სატრანსპორტო საშუალების ადაპტაციასთან, ან/და შეეზღუდა რაიმე ქმედების განხორციელება ან/და დაუწესდა სხვა შეზღუდვა, მძღოლისათვის მინიჭებულ მართვის უფლებას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ამ შეზღუდვებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. ამ პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვები აისახება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში კოდირებული სახით, შემდეგი წესით:

ა) 01.01 – სათვალე;

ბ) 01.02 – კონტაქტური ლინზები;

გ) 01.06 – სათვალე ან კონტაქტური ლინზები;

დ) 02.01 – სასმენი აპარატი ერთი ყურისათვის;

ე) 02.02 – სასმენი აპარატი ორივე ყურისათვის;

ვ) 03.01 – ზედა კიდურის პროთეზი;

ზ) 03.02 – ქვედა კიდურის პროთეზი;

თ) 10.02 – ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება;

ი) 101 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სამართავად ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება.

9. (ამოღებულია - 18.03.2014, №216).

10. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით შეცვლის შემთხვევაში, მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) კოდირებული სახით მითითებული უნდა იქნეს კოდი (70.) შეცვლილი მართვის მოწმობის ნომერი და გამცემი ქვეყნის საერთაშორისო კოდი (მაგ. 70. 1627959.NL).

11. ამ ბრძანების 6^1 და 9^1 მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირისათვის მხოლოდ ავტომატური გადაცემის კოლოფის მქონე „B“ ან/და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების თაობაზე შეზღუდვის დაწესება აისახება მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (კატეგორიის გასწვრივ) კოდირებული სახით და მიეთითება კოდი (78.).

12. დაინტერესებული პირის სურვილის შემთხვევაში, მართვის მოწმობის მე-12 გრაფაში (ქვედა ნაწილში) დამატებით შეიძლება აისახოს მართვის მოწმობის მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. მართვის მოწმობაში სისხლის ჯგუფი და რეზუსი დაიტანება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, რომლის წარმოდგენასაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირი.

13. ამ წესის შესაბამისად ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის გარეშე მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის შემთხვევაში, ახალ მართვის მოწმობაში არ აისახება დაინტერესებული პირისათვის მინიჭებული ის კატეგორია/ქვეკატეგორია, რომელიც შეჩერებულია მოქმედების ვადის ამოწურვის ან დაინტერესებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.

14. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის შესაბამისად მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის შედეგად გაცემულ ახალ მართვის მოწმობაზე დაიტანება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული (შენახული) მფლობელის ფოტოსურათი და ხელმოწერა, მართვის მოწმობის მე-12

გრაფაში (ქვედა ნაწილში) კოდირებული სახით მითითებული უნდა იქნეს კოდი (102), აგრეთვე ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვის თარიღი (მაგ: 102. 12.05.2015).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 26 ივნისის ბრძანება №489 - ვებგვერდი, 27.06.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

მუხლი 44. მართვის მოწმობის გაცემის რეესტრი

1. მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია აისახება სააგენტოს მიერ წარმოებულ მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში. მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერებსა და მართვის მოწმობაში, ტრამვაის მართვის მოწმობაში ან საერთაშორისო მართვის მოწმობაში აღნიშნული მონაცემების შეუსაბამობისას, უპირატესობა ენიჭება მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახულ სარეგისტრაციო ჩანაწერებს.

2. სააგენტო მართვის მოწმობის გაცემის რეესტრს აწარმოებს ელექტრონული სახით.

3. მართვის მოწმობის გაცემის რეესტრში აისახება შემდეგი სარეგისტრაციო ჩანაწერები:

ა) დადგენილი წესით მართვის მოწმობაში აღსანიშნავი კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემები;

ბ) გაწეული მომსახურებისა და მომსახურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაცია.

4. სავალდებულოა მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახულ იქნეს მართვის მოწმობის მფლობელი პირის საცხოვრებელი ადგილის სრული დასახელება. ამ მიზნისათვის პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მისი საქართველოში რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს საქართველოში არ გააჩნია რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი, ან იგი რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, საცხოვრებელ ადგილად შეიძლება ასახულ იქნეს საქმისწარმოებისას მის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი.

5. მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, პირი ვალდებულია სარეგისტრაციო ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების მიზნით მიმართოს სააგენტოს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარეგისტრაციო ჩანაწერებში ასახულ საცხოვრებელ ადგილზე გაგზავნილი დოკუმენტი პირს ვერ ჩაჰბარდა, დოკუმენტი ჩაითვლება ჩაბარებულად.

6. სააგენტო უფლებამოსილია მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში შეცვალოს ან აღადგინოს დაკარგული სარეგისტრაციო ჩანაწერები, აგრეთვე შეასწოროს აშკარად მცდარი სარეგისტრციო ჩანაწერი. სარეგისტრაციო ჩანაწერის აღდგენა ან შესწორება დასაშვებია, თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების შეფასებით, შესაძლებელია აღსადგენი ან შესასწორებელი მონაცემების დადგენა.

7. მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერების აღდგენა ან შესწორება შეიძლება განხორციელდეს:

ა) საგამოცდო ოქმების ან სააგენტოში დაცული სხვა დოკუმენტების მიხედვით;

ბ) მართვის მოწმობის მიხედვით;

გ) უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

8. სავალდებულოა მართვის მოწმობის შეცვლა, თუ იგი არ შეესაბამება მართვის მოწმობის გაცემის რეესტრში აღდგენილ ან შეცვლილ მონაცემებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

თავი V. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეჩერება და შეწყვეტა (გაუქმება), ჩამორთმეული უფლების აღდგენა

მუხლი 45. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევისა და შეწყვეტის (გაუქმება) საფუძვლები

1. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების საფუძველია:

ა) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით შეჩერება;

გ) პირისათვის მინიჭებული „AM“, „A“, „B“, „C“, „D“, „BE“, „CE“, „DE“, „T“, „S“ კატეგორიის/„A1“, „A2“, „B1“, „C1“, „D1“, „C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვა (მხოლოდ ამ კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის);

დ) მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვა;

დ[1]) მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის კალენდარული წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწურვა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გარემოებების არსებობა.

2. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის საფუძველია:

ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით ჩამორთმევა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ჩამორთმევა.

3. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმების) საფუძველია:

ა) უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირი) მიერ მიღებული გადაწყვეტილება მართვის უფლების შეწყვეტის (გაუქმება) თაობაზე;

ბ) პირის გარდაცვალება;

გ) მართვის უფლების მქონე პირის მიერ უფლების გაუქმების მოთხოვნის შესახებ სააგენტოში განცხადების წარდგენა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გარემოებების არსებობა.

4. სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შეჩერება, ჩამორთმევა და შეწყვეტა (გაუქმება) ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის საფუძვლის აღმოფხვრამდე და მართვის უფლების აღდგენამდე პირს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა, გარდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სატრანსპორტო საშუალების შეჩერებული/ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „დ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლებით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებიდან საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვის უფლების აღდგენამდე, პირი, რომელსაც მართვის უფლება შეჩერებული აქვს, მართვის უფლების არმქონედ მიიჩნევა, გარდა ამ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. სააგენტოს თანამშრომელი უფლებამოსილია პირს ჩამოართვას სააგენტოში წარმოდგენილი მართვის მოწმობა:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1211 მუხლით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას;

ბ) ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული გარემოების არსებობისას;

გ) მართვის მოწმობაში ასახული მონაცემების მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში არსებულ სარეგისტრაციო ჩანაწერებთან შეუსაბამობისას;

დ) მართვის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის გამო.

8. პირს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდა ან ჩამოერთვა ამ წესის 46–ე მუხლის მე–3, მე–5 და მე–7 პუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით, მართვის უფლების აღდგენის თაობაზე უფლება აქვს სააგენტოს მიმართოს, მხოლოდ უფლების შეჩერების ან ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდგომ.

9. პირის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის განხორციელების შემთხვევაში, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული უფლება უქმდება ავტომატურად. ამასთან, სააგენტო არ არის ვალდებული გადაამოწმოს პირის მოთხოვნის მოტივი და გასაუქმებელ უფლებასთან დაკავშირებით სააგენტოში არსებული დოკუმენტები ან მათი დამზადების სისწორე. შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის უფლების მქონე პირს უფლების გაუქმების მოთხოვნით შეუძლია მიმართოს სააგენტოს, მხოლოდ შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის შემდგომ.

10. პირი, რომელსაც შეუწყდა (გაუუქმდა) მართვის უფლება, ითვლება მართვის უფლების არმქონედ.

11. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირი) მიერ მართვის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის (გაუქმება) შედეგად ჩამორთმეული მართვის მოწმობები შესანახად უნდა გადაეგზავნოს სააგენტოს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №988- ვებგვერდი, 31.12.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 46. შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა

1. ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა შესაძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის საფუძველზე, რომელიც დაადასტურებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის შესაძლებლობას. ამასთან, შეჩერებული მართვის უფლების აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს მართვის მოწმობის დაბრუნებიდან. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ჯანმრთელობის შესახებ ცნობის შესაბამისად, მართვის უფლება შეიძლება აღდგენილ იქნეს ნაკლები კატეგორიით ან/და ქვეკატეგორიით.

2. ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული, ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღდგენილად ჩაითვლება მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ვადის გასვლისთანავე

(გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ამასთან, მართვის უფლების აღდგენის შემდგომ პირი ვალდებულია დადგენილი წესით დაიბრუნოს ჩამორთმეული მართვის მოწმობა.

შენიშვნა: ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის გასვლად ასევე მიიჩნევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მართვის უფლების ვადამდე აღდგენა.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-5 და მე-7 (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი იმყოფებოდა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან/და სამართალდამრღვევმა პირმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თავი აარიდა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებას) ნაწილებით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია მართვის უფლების შეჩერების ვადის გასვლის შემდგომ, ამასთან, შეჩერებული მართვის უფლების აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს მართვის მოწმობის დაბრუნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

4. ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენის შემდეგ ამ ბრძანებით დადგენილი წესით. ამასთან, შეჩერებული მართვის უფლების აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს მართვის მოწმობის დაბრუნებიდან.

5. ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს მართვის მოწმობის დაბრუნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

6. ამ მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მართვის მოწმობის დაბრუნებად ჩაითვლება მართვის უფლების შეჩერების/ჩამორთმევის ვადის გასვლის შემდეგ, უფლების აღდგენის თაობაზე დაინტერესებული პირის მომართვისა და კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე სააგენტოს მიერ ახალი მართვის მოწმობის დამზადება (დაბეჭდვა) და მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში შესაბამისი ჩანაწერების ასახვა.

7. იმ პირებს, რომლებსაც საქართველოში ჩამოერთვათ ან შეუჩერდათ უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული და საქართველოს მიერ აღიარებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-7 ნაწილით (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი იმყოფებოდა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან/და სამართალდამრღვევმა პირმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თავი აარიდა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებას) გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღუდგებათ შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ, სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირებისა და ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის საფუძველზე;

ბ) ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღუდგებათ ამ მუხლის მე–10 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის შემდგომ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩამორთმეული ან შეჩერებული მართვის უფლების აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს უფლების აღდგენის თაობაზე

დაინტერესებული პირის მომართვისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე სააგენტოს მიერ მართვის უფლების აღდგენის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ასახვის შემდეგ.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია, სააგენტოში წარადგინოს სამედიცინო დაწესებულების დიაგნოსტირების დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ნარკომანიით დაავადების არარსებობის ფაქტი.

10. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული მართვის უფლების აღსადგენად და მართვის მოწმობის დასაბრუნებლად პირმა სააგენტოში უნდა წარადგინოს ექიმ-სპეციალისტების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობისა (ფორმა №IV-100/ა) და სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევა) დასკვნა.

11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტი არ მიიღება, თუ მათი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 30 კალენდარული დღე.

12. ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღდგენილად ჩაითვლება:

ა) მართვის უფლების შეჩერების ვადის გასვლისთანავე (გარდა ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა); ამასთან, მართვის უფლების აღდგენის შემდგომ პირი ვალდებულია დადგენილი წესით დაიბრუნოს ჩამორთმეული მართვის მოწმობა;

ბ) მართვის უფლების შეჩერების ვადის გასვლამდე, ამ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესით.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის მე-5 და მე-6 ნაწილებით და ამ წესის 54-ე მუხლის 23-ე-25-ე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე აღსადგენად სავალდებულოა:

ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებამდე მძღოლობის კანდიდატისათვის მინიჭებული და შეჩერების დროისათვის იურიდიული ძალის მქონე (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ან/და მართვის მოწმობისათვის მოქმედების ვადის ამოწურვის საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება), მძღოლობის კანდიდატის მიერ მითითებული ერთ-ერთი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, თუ აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვებისას ეს წესი ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარემოებას. ამასთან, ამ ქვეპუნქტით დადგენილი წესით, ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების მითითების უფლებამოსილება მძღოლობის კანდიდატს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებამდე არ გააჩნდა ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეჩერებული „B“ ან/და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე აღსადგენად, ამავე კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს როგორც მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე, ასევე ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებით, ამ წესის 382 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

ბ) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებამდე მძღოლობის კანდიდატისათვის მინიჭებული და შეჩერების დროისათვის იურიდიული ძალის მქონე (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებისათვის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ან/და მართვის მოწმობისათვის მოქმედების ვადის ამოწურვის საფუძვლით შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება), მძღოლობის კანდიდატის მიერ მითითებული ერთ-ერთი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის ჩაბარება, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების ვალდებულების წარმოშობის გარემოება.

14. შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული წესით აღდგენა იურიდიულ ძალას იძენს:

ა) ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და შესაბამისი კატეგორიის (ქვეკატეგორიის) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; ამასთან, მართვის მოწმობის გაცემად ჩაითვლება სააგენტოს მიერ მინიჭებული კატეგორიისათვის ან ქვეკატეგორიისათვის მართვის მოწმობის დამზადება (დაბეჭდვა) და მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის ასახვა; ამ შემთხვევაში მართვის მოწმობა, რომლის სანაცვლოდაც გაიცა ახალი მართვის მოწმობა, კარგავს იურიდიულ ძალას;

ბ) ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და მართვის უფლების აღდგენის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში ასახვის შემდეგ, თუ პირს შეჩერებული ჰქონდა უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული და საქართველოს მიერ აღიარებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; ამასთან, პირს უბრუნდება ჩამორთმეული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა.

15. უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული და საქართველოს მიერ აღიარებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ან ჩამორთმევის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა არ განხორციელდება, თუ გასულია ამ წესის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, აგრეთვე 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან 1^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №988- ვებგვერდი, 31.12.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

თავი VI. მართვის მოწმობის შეცვლა და დაკარგულის აღდგენა

მუხლი 47. მართვის მოწმობის შეცვლა

1. მართვის მოწმობის შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) მართვის მოწმობის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის საფუძველზე ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობის გაცემა;

გ) მართვის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლა;

დ) მართვის მოწმობის გამოყენებისთვის უვარგისობა (გაცვეთა, დაზიანება);

ე) მართვის მოწმობაში ასახული რომელიმე მონაცემის შეცვლა ან უზუსტობის გამოსწორება;

ვ) მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების შეცვლა ან უზუსტობის გამოსწორება;

ზ) მართვის მოწმობაში აღნიშნული მონაცემების მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერებთან შეუსაბამობა;

თ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

2. მართვის მოწმობის შესაცვლელად პირმა საგამოცდო სამსახურში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) შესაცვლელი მართვის მოწმობა;

დ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ე) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მართვის მოწმობაში აღნიშნული მონაცემების ან/და მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების შეცვლის საფუძვლის წარმოშობის ან მათში უზუსტობის დადგენის შემთხვევაში, ახალი მართვის მოწმობის შეცვლის თაობაზე განცხადებას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ასევე უნდა დაერთოს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

4. იმ შემთხვევაში თუ, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას, სააგენტოს უფლება აქვს გამოსაკვლევი გარემოების დაზუსტების მიზნით, მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

5. შეცვლილ მართვის მოწმობში, მონაცემები აღინიშნება შესაცვლელი მართვის მოწმობის თაობაზე მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების, წარმოდგენილი დიკუმენტებისა და მართვის მოწმობის შეცვლის საფუძვლის შესაბამისად.

6. მართვის მოწმობის შეცვლა ახალი მოწმობით არ განხორციელდება თუ:

ა) მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრიით არ დასტურდება შესაცვლელი მართვის მოწმობის გაცემის ფაქტი;

ბ) დაინტერესებულ პირს მოთხოვნის მომენტისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეჩერებული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) აქვს მართვის უფლება;

გ) დაინტერესებულმა პირმა ვერ უზრუნველყო მომსახურების გაწევისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა;

დ) არსებობს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

7. საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ 2012 წლის 1 აგვისტომდე გაცემული ძველი ნიმუშის მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით შეცვლისას, პირზე მინიჭებული კატეგორიები შეიცვლება ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად.

8. შეცვლილი მართვის მოწმობა კარგავს იურიდიულ ძალას და ექვემდებარება დადგენილი წესით განადგურებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 47[1]. მართვის მოწმობის შეცვლა ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტების სააგენტოს ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე

1. სააგენტო უფლებამოსილია, მართვის მოწმობის შეცვლა ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა განახორციელოს ამ მუხლით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ შესაბამისი

ელექტრონული სახის დოკუმენტების სააგენტოს ვებგვერდზე (შემდგომში – ვებგვერდი) წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე. ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების მიღების პირობას წარმოადგენს:

ა) დაინტერესებული პირის ვებგვერდზე რეგისტრაცია;

ბ) რეგისტრაციის დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება (თანხმობის გაცხადებად მიიჩნევა ვებგვერდზე, შესაბამის ფანჯარაში ღილაკის – „დიახ“ დაჭერა).

2. ვებგვერდზე დარეგისტრირებული დაინტერესებული პირის შემდგომი ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მითითებით.

3. ელექტრონული სახის დოკუმენტების სააგენტოს ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე მართვის მოწმობის შესაცვლელად ან დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად დაინტერესებულმა პირმა სააგენტოს ვებგვერდზე უნდა წარადგინოს (ატვირთოს):

ა) ელექტრონული სახის განცხადება (დაინტერესებულმა პირმა ზუსტად და სრულყოფილად უნდა შეავსოს ველებში მითითებული შესაბამისი მონაცემები და მიუთითოს ის მომსახურების სახე, რომლის მიღებაც სურს);

ბ) ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ან „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, თუ მომსახურების გაწევის შედეგად გაცემული შეცვლილი ან აღდგენილი მართვის მოწმობის სააგენტოში მიღებას დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს ამ პირის მეშვეობით;

გ) სააგენტოს ის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც უნდა განხორციელდეს შეცვლილი ან აღდგენილი მართვის მოწმობის გაცემა;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) შესაცვლელი მართვის მოწმობის ასლი (ავერსი და რევერსი);

ვ) მომსახურების გაწევისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ან ინფორმაცია არ მოიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, სააგენტოს, დაზუსტების მიზნით, უფლება აქვს მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის ელექტრონული ან მატერიალური სახით წარმოდგენა. ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლება სააგენტომ შეიძლება განახორციელოს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი მოთხოვნის ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) გზით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაში მან უნდა უზრუნველყოს დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა. თუ დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მომსახურების გაწევის თაობაზე მიღებული განცხადება დატოვოს განუხილველად.

6. ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენიდან 7 სამუშაო დღეში სააგენტო დაინტერესებულ პირს, ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) გზით ატყობინებს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მართვის მოწმობის შეცვლის მოთხოვნაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული და წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია მოიცავს შეტყობინების განხორციელების დღისათვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ მონაცემებს, არ არსებობს მართვის მოწმობის შეცვლის კანონმდებლობით განსაზღვრული შემზღუდავი გარემოება და სააგენტო თანახმაა ამ მუხლით დადგენილი წესით განახორციელოს მართვის მოწმობის შეცვლა;

ბ) დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის მოთხოვნაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მართვის მოწმობის დამზადების შესახებ;

გ) ამ მუხლით დადგენილი წესით მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის მოთხოვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის თაობაზე უარის თქმის შესახებ.

7. დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნის შესაბამისად ამ მუხლით დადგენილი წესით გაცემული (შეცვლილი ან აღდგენილი) მართვის მოწმობის მიღება შეუძლია:

ა) დაინტერესებულ პირს;

ბ) დაინტერესებული პირის მიერ ვებგვერდზე წარდგენილ (ატვირთულ) ელექტრონულ განცხადებაში მითითებულ პირს (განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს აღნიშნული პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

გ) შესაბამისი სანოტარო აქტით დადასტურებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს;

დ) დაინტერესებული პირის მიერ ვებგვერდზე წარდგენილ (ატვირთულ) ელექტრონულ განცხადებაში მითითებულ საფოსტო/საკურიერო მომსახურების განმახორციელებელ დაწესებულებას (ამ დაწესებულების თანამშრომელს).

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვებგვერდზე განთავსების დღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოცხადდნენ სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფში მართვის მოწმობის მისაღებად, ხოლო მართვის მოწმობის შეცვლის მოთხოვნისას – ასევე შესაცვლელი მართვის მოწმობის მატერიალური სახით წარმოსადგენად.

9. სააგენტო არ უზრუნველყოფს ამ მუხლით გაცემული მართვის მოწმობის დაინტერესებული პირისათვის (ან სხვა ადრესატისათვის) გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

10. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი დაინტერესებულ პირსა და ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს შორის მიღწეული შეთანხმების შინაარსსა და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე, აგრეთვე აღნიშნული პირების მიერ მათთვის დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერ და არაჯეროვან შესრულებაზე.

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე სააგენტოს უფლება აქვს არ განახორციელოს მართვის მოწმობის შეცვლის მოთხოვნის საფუძველზე მართვის მოწმობის დამზადება და გაცემა. ამასთან, მართვის მოწმობის შეცვლა შესაძლებელი იქნება დადგენილი პროცედურების თავიდან გავლის გზით.

12. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მართვის მოწმობის შეცვლისას ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისას ახალი მართვის მოწმობაში მონაცემები აღინიშნება მართვის მოწმობათა რეესტრში ბოლოს დაფიქსირებული სარეგისტრაციო ჩანაწერების შესაბამისად (თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ამასთან, მართვის მოწმობის მე-6 და მე-7 გრაფაში დაიტანება ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას სააგენტოში ელექტრონული სახით შექმნილი და დაცული მფლობელის ფოტოსურათი და ელექტრონული საშუალებებით შესრულებული მფლობელის ხელმოწერა.

13. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მართვის მოწმობის შეცვლა ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა არ განხორციელდება, თუ:

ა) შესაცვლელი ან აღსადგენი მართვის მოწმობა გაცემულია 2012 წლის 1 აგვისტომდე;

ბ) შესაცვლელი ან აღსადგენი მართვის მოწმობა გაცემულია უცხო ქვეყნის მიერ;

გ) შეუძლებელია მომსახურების გაწევისათვის დაინტერესებული პირის შესაბამისი მონაცემების დადგენა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების გზით;

დ) არსებობს ამ წესის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტით ან 50-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე გარემოება;

ე) დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას;

ვ) ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვის თარიღიდან გასულია:

ვ.ა) 4 ან მეტი წელი, იმ შემთხვევაში, თუ ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას დაინტერესებულ პირი იყო 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი

ვ.ბ) 10 ან მეტი წელი, იმ შემთხვევაში, თუ ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას დაინტერესებული პირი იყო 18 წლის ასაკს მიღწეული პირი;

ზ) მომსახურების გაწევისათვის სავალდებულოა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა;

თ) მართვის მოწმობის შეცვლაზე დაინტერესებულმა პირმა არ უზრუნველყო ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება;

ი) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონით განსაზღვრული შესაბამისი საფასურები;

კ) სააგენტოში ელექტრონული სახით დაცული არ არის მართვის მოწმობის მფლობელის ფოტოსურათი ან ელექტრონული საშუალებებით შესრულებული ხელმოწერა;

ლ) წარმოდგენილი არ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები;

მ) დაინტერესებული პირი არ არის საქართველოს მოქალაქე;

ნ) მომსახურების გაწევა შეუძლებელია ტექნიკურად ან/და არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

14. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ვებგვერდზე განათავსოს მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია ან/და პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება;

ბ) შეწყვიტოს მომსახურება ტექნიკური პრობლემის, შეცდომის, უზუსტობის, დაინტერესებული პირის მხრიდან უკანონო ქმედების განხორციელების ან სხვა მიზეზის გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან სააგენტოს;

გ) შეწყვიტოს დაინტერესებული პირის ავტორიზაცია/რეგისტრაცია და მის მიერ ვებგვერდით სარგებლობა, თუ ჩათვლის, რომ აღნიშნული პირი მოქმედებს დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით; ამასთან, თუ სათანადო გარემოებების დადგენის მიზნით დაწყებულია შესაბამისი საქმისწარმოება, შეაჩეროს ავტორიზაცია/რეგისტრაცია და დაინტერესებული პირის მიერ ვებგვერდით სარგებლობა მის დასრულებამდე;

დ) უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ დაინტერესებული პირი ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას, ან არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები;

ე) უარი განაცხადოს ამ მუხლით დადგენილი წესით მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის თაობაზე;

ვ) მომსახურების საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დადგენის მიზნით გადაამოწმოს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის თაობაზე;

ზ) გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

15. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას სააგენტო უფლებამოსილია უზრუნველყოს საზღვარგარეთ მყოფი დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს ვებგვერდზე

წარდგენილი (ატვირთული), უცხო ენაზე შედგენილი ელექტრონული სახის დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა. ამასთან, ასეთი წესით ნათარგმნი დოკუმენტის სააგენტოს მიერ წარმოებაში მისაღებად სავალდებულო არ არის მისი დადგენილი წესით დამოწმება.

16. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მომსახურების გაწევისას დაინტერესებული პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესები და პროცედურები;

ბ) მომსახურების გაწევამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდა;

გ) მიიღოს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან მომსახურების გაწევის შედეგად გაცემული (დამზადებული) დოკუმენტი;

დ) ზუსტად და სრულყოფილად შეავსოს ვებგვერდზე ველებში მითითებული შესაბამისი მონაცემები.

17. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, სააგენტოს ვებგვერდზე ელექტრონული სახით წარდგენილ (ატვირთულ) დოკუმენტებს აქვს იურიდიული ძალა და საწინააღმდეგოს დადგენამდე ისინი უტყუარად ითვლებიან. ვებგვერდზე წარდგენილი (ატვირთული) დოკუმენტების ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაინტერესებულ პირს.

18. ამ მუხლით დადგენილი წესით მართვის მოწმობის გაცემის (შეცვლის ან დაკარგულის აღდგენის) შემთხვევაში ის მართვის მოწმობა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ახალი მართვის მოწმობის გაცემა, კარგავს იურიდიულ ძალას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 26 ივნისის ბრძანება №489 - ვებგვერდი, 27.06.2013წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

მუხლი 48. საქართველოს მოქალაქეზე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადა და შეცვლის წესი

1. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობით:

ა) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ კალენდარული წლის განმავლობაში მისი საქართველოში პირველად შემოსვლიდან არაუმეტეს ერთი წლისა, საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღოს საგზაო მოძრაობაში, როგორც მძღოლმა;

ბ) მართვის უფლების მისაღები გამოცდის გარეშე შეცვალოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით, მაგრამ არაუგვიანეს შესაცვლელი მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვისა.

2. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობით უფლება აქვს:

ა) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღოს საგზაო მოძრაობაში როგორც მძღოლმა;

ბ) მართვის უფლების მისაღები გამოცდის გარეშე შეცვალოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით, მაგრამ არაუგვიანეს შესაცვლელი მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვისა.“;

2[1]. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილება პირს არ წარმოეშობა, თუ:

ა) საქართველოში კომპეტენტური ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს/ჰქონდა ანალოგიური კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელიც შეწყვეტილი (გაუქმებული) არ არის;

ბ) საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული:

ბ.ა) ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, ჩამორთმევის ვადის გასვლამდე;

ბ.ბ) ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, ჩამორთმევის ვადის გასვლისა და ამ წესის 46-ე მუხლის მე-8, მე-10 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენამდე;

გ) საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აქვს შეჩერებული.

3. საქართველოს მოქალაქემ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა წარმოადგინოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

ბ) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა;

გ) მართვის მოწმობის დასტური;

დ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

4. (ამოღებულია - 18.03.2014, №216).

5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას, სააგენტოს უფლება აქვს, გამოსაკვლევი გარემოების დაზუსტების მიზნით, მოსთხოვოს პირს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

5[1]. მართვის მოწმობის დასტური არ მიიღება, თუ მისი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 90 კალენდარული დღე.

6. საქართველოს მოქალაქეზე (მათ შორის, საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეობა) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შეცვლა არ განხორციელდება, თუ:

ა) ამოწურულია შესაცვლელად წარმოდგენილი, უცხო ქვეყნის მიერ გაცემულ მართვის მოწმობის მოქმედების ვადა;

ბ) დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს შესაცვლელი, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის სააგენტოსათვის ჩაბარებას;

გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოება, რომელიც მოთხოვნის მომენტისათვის პირს უკრძალავს სატრანსპორტო საშუალების მართვას;

დ) საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობაში მითითებული კატეგორიის/ქვეკატეგორიის იდენტური კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებას ან მოწმობით განსაზღვრული კატეგორიებიდან/ქვეკატეგორიებიდან ითვალისწინებს, მხოლოდ რომელიმეს და დაინტერესებული პირი უარს აცხადებს მართვის მოწმობის ნაკლები კატეგორიით/ქვეკატეგორიით მიღებაზე;

ე) დაინტერესებული პირის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა;

ვ) თუ არსებობს საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც ზღუდავს უცხოეთში გაცემული მძღოლის მოწმობის შეცვლას;

ვ[1]) შესაცვლელი მართვის მოწმობა ან/და დაინტერესებული პირისათვის უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების კატეგორია/ქვეკატეგორია არ შეესაბამება როგორც ,,საგზაო მოძრაობის შესახებ'' ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციის, ასევე ,,საგზაო მოძრაობის შესახებ'' ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციისა და ,,მართვის მოწმობების თაობაზე'' ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის 2006/126/EC დირექტივის მოთხოვნებს;

ზ) საქართველოს მოქალაქეს (მათ შორის, საქართველოს ის მოქალაქე, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეობა) მართვის მოწმობის გაცემის თარიღამდე უკანასკნელ უწყვეტ თორმეტ თვიან პერიოდში სულ მცირე 185 კალენდარული დღე არ უცხოვრია მართვის მოწმობის გამცემ უცხო ქვეყანაში;

თ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით, შეცვლილი, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა კარგავს იურიდიულ ძალას და ბარდება სააგენტოს.

8. (ძალადაკარგულია - 12.12.2014, N991).

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის მიზნებისთვის, პირის მართვის მოწმობის გამცემ უცხო ქვეყანაში საზღვრის კვეთის ფაქტი უნდა დადასტურდეს საზღვრის კვეთის შესახებ შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ გაცემული დოკუმენტით.

2. ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის მიზნებისთვის, სააგენტო უფლებამოსილია გადაამოწმოს დაინტერესებული პირის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტი და ამ მიზნით დაამუშაოს ამ პირის შესახებ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ მონაცემები. თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ მონაცემებით დადასტურდა ამ შენიშვნის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოების საწინააღმდეგო ფაქტი, სააგენტო უარს ეტყვის დაინტერესებულ პირს მართვის მოწმობის შეცვლაზე.

2[1]. ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ პირზე, რომელიც მართვის მოწმობის გაცემის მომენტისათვის იყო იმავე ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც გასცა მართვის მოწმობა და დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენას;

ბ) თუ შესაცვლელი მართვის მოწმობა გაცემულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ.

3. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 12 ივლისის ბრძანება №365 - ვებგვერდი, 12.07.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება №115 - ვებგვერდი, 10.10.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 მაისის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 30.05.2019წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

მუხლი 49. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირებზე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებისა და შეცვლის წესი

1. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, გარდა ამ მუხლის 12 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობით უფლება აქვს:

ა) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს მისი საქართველოში ბოლო შემოსვლიდან ერთი წლისა, საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღოს საგზაო მოძრაობაში როგორც მძღოლმა;

ბ) მართვის უფლების მისაღები გამოცდის გარეშე შეცვალოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა შესაბამისი კატეგორიის ან/და ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით, მაგრამ არაუგვიანეს შესაცვლელი მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვისა.

1[1]. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სააკრედიტაციო ბარათის იმ მფლობელს, რომელსაც გააჩნია უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა, უფლება აქვს ამ მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს სააკრედიტაციო ბარათის მოქმედების ვადისა საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღოს საგზაო მოძრაობაში როგორც მძღოლმა.

1[2]. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის მფლობელ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება არ წარმოეშობა, თუ პირს:

ა) საქართველოში კომპეტენტური ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს/ჰქონდა ანალოგიური კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელიც შეწყვეტილი (გაუქმებული) არ არის;

ბ) საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აქვს ჩამორთმეული:

ბ.ა) ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, ჩამორთმევის ვადის გასვლამდე;

ბ.ბ) ამ წესის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, ჩამორთმევის ვადის გასვლისა და ამ წესის 46-ე მუხლის მე-8, მე-10 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენამდე;

გ) საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აქვს შეჩერებული.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა;

გ) უცხო ქვეყნის მიერ გაცემული შესაცვლელი მართვის მოწმობა;

დ) მართვის მოწმობის დასტური;

ე) (ამოღებულია - 09.03.2021, №18);

ვ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

3. (ამოღებულია - 18.03.2014, №216).

4. საქართველოში უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა თანამშრომლებმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად

(გარდა ბინადრობის მოწმობისა) დამატებით უნდა წარმოადგინონ სააკრედიტაციო ბარათის ასლი და წერილი საკონსულო დაწესებულებიდან საცხოვრებელი ადგილის მისამართის ჩვენებით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას, სააგენტოს უფლება აქვს, გამოსაკვლევი გარემოების დაზუსტების მიზნით, მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

5[1]. მართვის მოწმობის დასტური არ მიიღება, თუ მისი გაცემიდან სააგენტოში წარდგენამდე გასულია 90 კალენდარული დღე.

6. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის შეცვლა არ განხორციელდება, თუ:

ა) ამოწურულია შესაცვლელად წარმოდგენილი უცხო ქვეყნის მიერ გაცემულ მართვის მოწმობის მოქმედების ვადა;

ა[1]) დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს შესაცვლელი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის სააგენტოსათვის ჩაბარებას;

ბ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოება, რომელიც მოთხოვნის მომენტისათვის პირს უკრძალავს სატრანსპორტო საშუალების მართვას;

გ) საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობაში მითითებული კატეგორიის/ქვეკატეგირიის იდენტური კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებას ან მოწმობით განსაზღვრული კატეგორიებიდან/ქვეკატეგორიებიდან ითვალისწინებს, მხოლოდ რომელიმეს და დაინტერესებული პირი უარს აცხადებს მართვის მოწმობის ნაკლები კატეგორიით/ქვეკატეგორიით მიღებაზე;

დ) დაინტერესებული პირის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა;

ე) თუ არსებობს საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც ზღუდავს უცხოეთში გაცემული მძღოლის მოწმობის შეცვლას;

ე[1]) შესაცვლელი მართვის მოწმობა ან/და დაინტერესებული პირისათვის უცხო ქვეყნის მიერ მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების კატეგორია/ქვეკატეგორია არ შეესაბამება როგორც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციის, ასევე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციისა და „მართვის მოწმობების თაობაზე“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის 2006/126/EC დირექტივის მოთხოვნებს;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

7. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ის მართვის მოწმობა, რომლის სანაცვლოდაც ამ მუხლით განსაზღვრული წესით გაიცემა ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობა, კარგავს იურიდიულ ძალას და უნდა ჩაბარდეს სააგენტოს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №18 - ვებგვერდი, 10.03.2021წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 23 იანვრის ბრძანება №3 - ვებგვერდი, 23.01.2024 წ.

მუხლი 50. დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის წესი

1. მართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში პირი ვალდებულია განახორციელოს მისი აღდგენა, დაკარგვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2. დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენდ დაინტერესებულმა პირმა სააგენტოში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეიცავს მომსახურების გაწევისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას, სააგენტოს უფლება აქვს, გამოსაკვლევი გარემოების დაზუსტების მიზნით, მოსთხოვოს დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

4. დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა ხდება მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერების შესაბამისად.

5. დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა არ განხორციელდება თუ:

ა) მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრით არ დასტურდება აღნიშნული მოწმობის გაცემის ფაქტი;

ბ) მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრში ასახული სარეგისტრაციო ჩანაწერებით ვერ ხორციელდება მოწმობის მფლობელის ან მისთვის მინიჭებული კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების სრულყოფილი იდენტიფიცირება;

გ) მოთხოვნის მომენტისათვის, პირს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

დ) ჯანმრთელობის მგომარეობის გაუარესების გამო პირს აეკრძალა სატრანსპორტო საშუალების მართვა;

ე) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

6. თუ საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აკრძალულია დაკარგული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული, მართვის მოწმობის აღდგენა.

7. დაკარგული მართვის მოწმობა, რომლის სანაცვლოდაც გაიცა ახალი მართვის მოწმობა, კარგავს იურიდიულ ძალას.

8. დაკარგული მართვის მოწმობის პოვნის შემთხვევაში, მპოვნელი ვალდებულია ჩააბაროს იგი საგამოცდო სამსახურს, სადაც მოხდება მისი დადგენილი წესით განადგურება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 51. წარმომადგენლის მეშვეობით მართვის მოწმობის შეცვლა ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა

1. პირი უფლებამოსილია მართვის მოწმობის შეცვლის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის თაობაზე წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სააგენტოს.

2. წარმომადგენლის მეშვეობით მართვის მოწმობის შესაცვლელად ან დაკარგული მართვის მოწმობის აღსადგენად სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) მართვის მოწმობის შეცვლისათვის ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისათვის ამ წესით განსაზღვრული დოკუმენტები;

ბ) სათანადოდ დამოწმებული, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. ამ მუხლით განსაზღვრული წესით მართვის მოწმობის შეცვლისას ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისას ახალ მართვის მოწმობაში მონაცემები აღინიშნება მართვის მოწმობათა რეესტრში ბოლოს დაფიქსირებული სარეგისტრაციო ჩანაწერების შესაბამისად (თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ამასთან, მართვის მოწმობის მე-6 და მე-7 გრაფაში დაიტანება ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას სააგენტოში ელექტრონული სახით შექმნილი და დაცული მფლობელის ფოტოსურათი და ელექტრონული საშუალებებით შესრულებული მფლობელის ხელმოწერა.

4. ამ მუხლით განსაზღვრული წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის შეცვლა ან დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენა არ განხორციელდება, თუ:

ა) შესაცვლელი ან აღსადგენი მართვის მოწმობა გაცემულია 2012 წლის 1 აგვისტომდე;

ბ) შესაცვლელი ან აღსადგენი მართვის მოწმობა გაცემულია უცხო ქვეყნის მიერ;

გ) შეუძლებელია მომსახურების გაწევისათვის დაინტერესებული პირის შესაბამისი მონაცემების დადგენა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების გზით;

დ) არსებობს ამ წესის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტით ან 50-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე გარემოება;

ე) დაინტერესებული პირი არ უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას;

ვ) ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვის თარიღიდან გასულია:

ვ.ა) 4 ან მეტი წელი, იმ შემთხვევაში, თუ ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას დაინტერესებულ პირი იყო 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი

ვ.ბ) 10 ან მეტი წელი, იმ შემთხვევაში, თუ ფოტოსურათისა და ხელმოწერის მონაცემთა ბაზაში შენახვისას დაინტერესებული პირი იყო 18 წლის ასაკს მიღწეული პირი;

ზ) მომსახურების გაწევა შეუძლებელია ტექნიკურად ან/და არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევისათვის უარის თქმის სხვა სამართლებრივი საფუძვლები.

თ) წარმოდგენილი არ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები;

ი) სააგენტოში ელექტრონული სახით დაცული არ არის მართვის მოწმობის მფლობელის ფოტოსურათი ან ელექტრონული საშუალებებით შესრულებული ხელმოწერა;

კ) არ იქნა უზრუნველყოფილი შესაცვლელი მართვის მოწმობის სააგენტოში მატერიალური სახით წარდგენა;

ლ) მომსახურების გაწევისათვის სავალდებულოა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა;

მ) არ იქნა გადახდილი მომსახურების გაწევისათვის კანონით განსაზღვრული შესაბამისი საფასურები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №238 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 51[1]. მართვის მოწმობის შეცვლის და დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

1. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ასაკის ან/და კატეგორიის (ქვეკატეგორიის) მინიჭებისათვის დადგენილი ვადის (სტაჟის) დარღვევით, 2007 წლის 1 თებერვლამდე მინიჭებული შესაბამისი კატეგორიის (ქვეკატეგორიის) მართვის უფლება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, თუ მართვის მოწმობის გაცემა დასტურდება მართვის მოწმობის გაცემათა რეესტრით.

2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე, სააგენტოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ან ძალადაკარგულად გამოცხადებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით მითითებული მართვის უფლება აღდგება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მართვის მოწმობის გაცემით.

3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ასაკის ან/და კატეგორიის (ქვეკატეგორიის) მინიჭებისათვის დადგენილი ვადის (სტაჟის) დარღვევით მინიჭებული და სააგენტოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ან ძალადაკარგულად გამოცხადებული მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, კანონმდებლობის დადგენილი წესით. ამასთან, სააგენტოს გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი ან ძალადაკარგულად გამოცხადებული მართვის უფლება აღდგენილად ჩაითვლება ახალი მართვის მოწმობის გაცემიდან.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით მითითებული გარემოების გამოვლენის თაობაზე სააგენტო აცნობებს საგამოძიებო ორგანოს, რაც არ აფერხებს მართვის მოწმობის გაცემას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

თავი VII. დოკუმენტების დამზადების, შენახვისა და განადგურების წესი

მუხლი 52. მართვის მოწმობისა და სხვა დოკუმენტების დამზადება-შენახვის წესი

1. მართვის მოწმობები მზადდება და ივსება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ქართული და ლათინური შრიფტით, რომელთა მონაცემები აისახება მართვის მოწმობათა გაცემის ელექტრონულ რეესტრში.

2. მართვის მოწმობაში ჩანაწერთა სისწორე და გაცემის საფუძვლიანობა მოწმდება საგამოცდო სამსახურის თანამშრომლების მიერ.

3. საგამოცდო სამსახურის მიერ მართვის მოწმობაში დაშვებული უზუსტობის არსებობის შემთხვევაში, მოწმობა შეიცვლება კანონით დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე. დაზიანებული მართვის მოწმობა ნადგურდება დადგენი წესით.

4. ყალბი მძღოლის მოწმობის გამოვლენის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ულტრაიისფერი გამოსხივების მქონე ხელსაწყო.

5. გარდაცვლილი პირის მართვის მოწმობა უნდა წარედგინოს სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს. გარდაცვლილის მართვის მოწმობა, გაუქმებისა და მისი მთელ სისქეზე გახვრეტის (პრეფორაციის) შემდეგ უბრუნდება მის წარმდგენ ფიზიკურ პირს (ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში), ხოლო ასეთის არარსებობისას ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ნიმუშის სახით მართვის მოწმობის სხვა პირისათვის გაცემის შემთხვევაში სავალდებულოა მართვის მოწმობის მთელ სისქეზე გახვრეტა (პერფორაცია) ან მასზე ნიმუშზე მიმათითებელი წარწერის დატანა.

7 მართვის მოწმობების პლასტიკური ბარათები და საერთაშორისო მართვის მოწმობის ბუკლეტები ინახება საგამოცდო სამსახურებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. საგამოცდო სამსახურებში დაცული დოკუმენტების შენახვისათვის დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) გაუქმებული მართვის მოწმობების, ასევე მომსახურების გაწევისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადაა 3 წელი;

ბ) საგამოცდო ოქმების შენახვის ვადაა 10 წელი;

გ) მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის ჩანაწერების შენახვის ვადაა 60 წელი;

დ) მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის გადაწყვეტილება შენახული უნდა იქნეს პირის მიერ მართვის უფლების აღდგენიდან მინიმუმ ერთი წელი.

ე) უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მართვის უფლების შეჩერების შედეგად ჩამორთმეული მართვის მოწმობები შენახული უნდა იქნეს შეჩერების ვადის გასვლიდან მინიმუმ ერთი წელი;

მუხლი 53. დოკუმენტების განადგურების წესი

1. შენახვის ვადის გასვლის შემდგომ, დოკუმენტები (გარდა მკაცრი აღრიცხვისა) ნადგურდება დაწვის გზით, საგამოცდო სამსახურის მიერ.

2. საგამოცდო სამსახურებში დაცული მკაცრი აღიცხვის დოკუმენტების განადგურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების განადგურების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს, როგორც საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ასევე სააგენტომ.

3. სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შენახვის ვადის გასვლის გამო განადგურებული მართვის მოწმობების აღდგენა შეიძლება განხორციელდეს დაკარგული მართვის მოწმობის აღდგენისათვის განსაზღვრული წესის შესაბამისად.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 54. გარდამავალი დებულებანი

1. პირი, რომელსაც T1, T2, T3 ან T4 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2007 წლის 1 თებერვლდან 2012 წლის 1 აგვისტომდე, ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ A ან/და B კატეგორიის, აგრეთვე A1 ან/და B1 ქვეკატეგორიის მართვის უფლებას მოიპოვებს პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. პირი, რომელსაც C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე, ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ A ან/და B კატეგორიის, აგრეთვე A1 ან/და B1 ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

3. პირი, რომელსაც C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე და მოთხოვნის მომენტისათვის აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს:

ა) D კატეგორიის, აგრეთვე D1 ქვეკატეგორიის (D კატეგორიის მართვის უფლების არქონის შემთხვევაში) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ) CE კატეგორიის, აგრეთვე C1E ქვეკატეგორიის (CE კატეგორიის მართვის უფლების არქონის შემთხვევაში) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

4. პირი, რომელსაც A ან/და B კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე, ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ, მაგრამ არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა, C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე, თუ C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაკტიკულ გამოცდაზე დაშვების თაობაზე მოთხოვნა სააგენტოს მიერ დაკმაყოფილდა 2012 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

5. პირი, რომელმაც C კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მოიპოვა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით და მოთხოვნის მომენტისათვის აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს:

ა) D კატეგორიის, აგრეთვე D1 ქვეკატეგორიის (D კატეგორიის მართვის უფლების არქონის შემთხვევაში) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე;

ბ) CE კატეგორიის, აგრეთვე C1E ქვეკატეგორიის (CE კატეგორიის მართვის უფლების არქონის შემთხვევაში) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას მოიპოვებს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

6. პირმა, რომელმაც წარმატებით ჩააბარა მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდა 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 1 აგვისტომდე, თეორიული გამოცდის შედეგის მოქმედების ვადაში პრაკტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი კატეგორიის მინიჭება ხორციელდება თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების დღისათვის ამ უფლების მინიჭებისათვის მოქმედი მოთხოვნების (კრიტერიუმების) შესაბამისად.

6^1. თუ 2014 წლის 15 დეკემბრამდე მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების საფუძველზე წარმოიშვა მართვის მოწმობის გაცემის საფუძველი, მაგრამ არ განხორციელდა მართვის მოწმობის გაცემა, სააგენტოს მიერ 2014 წლის 14 დეკემბრის შემდგომ, აღნიშნული მოწმობის გაცემა განხორციელდება მართვის უფლების მინიჭების საფუძვლის წარმოშობის დღისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

7. თუ 2012 წლის 1 აგვისტომდე მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე წარმოიშვა მართვის მოწმობის გაცემის საფუძველი, მაგრამ არ განხორციელდა მართვოს მოწმობის გაცემა, სააგენტოს მიერ 2012 წლის 1 აგვისტოს შემდეგ მათვის მოწმობა გაიცემა გამოცდის წარმატებით ჩაბარების დღისათვის ამ უფლების მინიჭებისათვის მოქმედი მოთხოვნების (კრიტერიუმების) შესაბამისად.

8. ამ წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლება არ ვრცელდება „B“ კატეგორიის მართვის უფლების არმქონე პირებზე, რომლებმაც „CE“ ან „DE“ კატეგორიის ან „C1E“ ან „D1E“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მოიპოვეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე.

9. (ამოღებულია - 12.12.2014, N991).

10. 2013 წლის 1 სექტემბრამდე გამოცდაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში მომზადება გაიარა ამ ბრძანებამდე არსებული შესაბამისი ან შესაფერისი კატეგორიისათვის განსაზღვრული სასწავლო პროგრამით.

10^1. 2015 წლის 14 დეკემბრის შემდგომ გამოცდაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს მძღოლობის კანდიდატი, რომელმაც მძღოლთა მოსამზადებელ დაწესებულებაში მომზადება გაიარა ამ თარიღისათვის არსებული შესაბამისი ან შესაფერისი კატეგორიისათვის/ქვეკატეგორიისათვის განსაზღვრული სასწავლო პროგრამით.

11. ამ წესის 46-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებთან დაკავშირებით 2013 წლის 15 თებერვლამდე სახელის დამდები ორგანოს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 302-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ამავე კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით შეფარდებული მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირებასთან დაკავშირებით.

12. პირს, რომელსაც „C“ ან „D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2012 წლის 1 აგვისტომდე, ამ ბრძანების 6^1 და 9^1 მუხლებით განსაზღვრული წესით

„B“ ან/და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაში აქვს როგორც ავტომატური, ასევე მექანიკური გადაცემის კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

13. შეჩერებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება 2013 წლის 27 დეკემბრიდან აღუდგეთ იმ პირებს, რომლებსაც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 27 ნოემბრის N1644 საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის ვადა გაუვიდათ 2013 წლის 27 დეკემბრამდე.

14. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის 23-ე მუხლის პირველის პუნქტის „ა–ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა დაწყებულია 2014 წლის 1 მარტამდე, ხოლო მომსახურების გაწევის შედეგად მართვის მოწმობის გაცემა უნდა განხორციელდეს 2014 წლის 1 მარტიდან, მართვის მოწმობა გაიცემა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარმოდგენის შემდეგ, ამ ბრძანებით დადგენილი წესით.

15. პირი, რომელსაც „C1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭა (მიუხედავად მინიჭების თარიღისა) ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით და მოთხოვნის მომენტისათვის აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სხვა კატეგორიის/ქვეკატეგორიის (გარდა „D1“, „D“ „T“, „S“ და „ტრამვაის“ კატეგორიების/ქვეკატეგორიისა) მართვის უფლებას მოიპოვებს ამ კატეგორიის ან ქვეკატეგორიისათვის დადგენილი პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი მართვის მოწმობის საფუძველზე.

16. თუ ამ მუხლიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, პირს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების რომელიმე კატეგორია/ქვეკატეგორია მოპოვებული აქვს 2014 წლის 15 დეკემბრამდე, სხვა კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლების მოპოვებისათვის თეორიული ან/და პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების ვალდებულება წარმოეშოება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი მართვის უფლების მოპოვებისათვის აღნიშნულ ვალდებულებას ითვალისწინებდა ამ ინსტრუქციის 2014 წლის 14 დეკემბრისათვის მოქმედი რედაქცია. ამასთან, თუ სასურველი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მოპოვებისათვის ამ პერიოდში დადგენილი იყო I, II, III ან IV კატეგორიის თეორიული გამოცდა, პირმა უნდა ჩააბაროს მოთხოვნის დღისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა.

17. მძღოლობის კანდიდატმა, რომელმაც 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2014 წლის 14 დეკემბრამდე წარმატებით ჩააბარა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა, უფლება აქვს, არსებული წესით, შესაბამის მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე გავიდეს თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების დღიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ ამ ვადაში არა უმეტეს 5 გასვლისა (გარდა დამატებით პრაქტიკულ გამოცდაზე ვადაზე ადრე დაშვების კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა).

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება იმ მძღოლობის კანდიდატზე, რომელიც 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2014 წლის 15 დეკემბრამდე მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით დაშვებული იყო 5-ჯერ (გარდა მართვის უფლების მისაღებ დამატებით პრაქტიკულ გამოცდაზე ვადაზე ადრე დაშვების კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა).

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მძღოლობის კანდიდატის მართვის უფლების მისაღებ დამატებით პრაქტიკულ გამოცდაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადაზე ადრე დაშვება არ განხორციელდება, თუ მან პრაქტიკულ გამოცდაზე ვადაზე ადრე გასვლის გარდა, მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე მეხუთედ მიიღო უარყოფითი შეფასება და თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან გასულია 30 კალენდარული დღე.

20. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის შენიშვნის 4^1 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილება პირს წარმოეშობა, თუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის:

ა) პირველი ან/და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩაიდინა 2017 წლის 30 ივნისის შემდეგ;

ბ) პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩადენილი ჰქონდა 2017 წლის 1 ივლისამდე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩაიდინა 2017 წლის 30 ივნისის შემდეგ. ამ შემთხვევაში პირი გამოცდაზე დაიშვება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არაუადრეს 3 თვისა.

21. პირს, რომელსაც 2021 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით მოპოვებული აქვს ამ წესით გათვალისწინებული იმ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს „AM“ კატეგორიის და „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას, ასეთი უფლება პირს წარმოეშობა მიუხედავად იმისა, მართვის მოწმობაში ამ უფლებების მოპოვების თაობაზე მითითებულია თუ არა ამ წესის 43-ე მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტებით დადგენილი წესით.

22. ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული პირების შემთხვევაში, ამ წესის 43-ე მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტებით დადგენილი წესით „AM“ კატეგორიის და „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მართვის მოწმობაში მითითების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ ახალი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

23. პირი, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2021 წლის 7 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 116-ე მუხლის პირველი ან/და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისთვის, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაიშვება არაუმეტეს ერთხელ ამ სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არაუადრეს 3 თვისა.

24. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2021 წლის 7 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით, ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე პირი დაიშვება არაუმეტეს ერთხელ ამ სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არაუადრეს 3 თვისა.

25. ამ მუხლის 24-ე პუნქტით დადგენილი წესით, პირი ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევებშიც, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2021 წლის 7 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის გამო შეჩერებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით დაშვებული იყო ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე, მაგრამ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა არ განხორციელებულა.

26. პირი, რომელმაც „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მოიპოვა ამ წესის 541 ან 542 მუხლებით დადგენილი წესით:

ა) „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად ვალდებულია ჩააბაროს აღნიშნული ქვეკატეგორიის მოსაპოვებლად განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული გამოცდა;

ბ) „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად ვალდებულია ჩააბაროს აღნიშნული კატეგორიის მოსაპოვებლად განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული გამოცდა, თუ მოთხოვნის მომენტისათვის, მას მოპოვებული არ აქვს „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

27. მძღოლობის კანდიდატი, რომელიც „B“ და „BE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებულ იქნა 2022 წლის 25 აპრილამდე და რომელიც, ამ წესის 24^2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭება 2022 წლის 25 აპრილამდე არსებული წესით.

28. პირს, რომელსაც „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მინიჭებული აქვს 2021 წლის 6 დეკემბრამდე, მისთვის „A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისას გამოიყენება ამ კატეგორიის მოპოვებისათვის „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირისათვის 2021 წლის 6 დეკემბრამდე გათვალისწინებული მინიმალური ასაკი და დადგენილი ვადა (სტაჟი).

29. ამ მუხლით (გარდა ამ მუხლის 26-ე პუნქტისა) გათვალისწინებული „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებისათვის დადგენილი დებულებები ასევე ვრცელდება „A2“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების შემთხვევაზე.

30. მძღოლობის კანდიდატს, რომელიც „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებულ იქნა 2023 წლის 1 სექტემბრამდე და რომელიც, ამ წესის 24^2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭება 2023 წლის 1 სექტემბრამდე არსებული წესით.

31. ამ წესის 38^3 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა ჩააბარა 2023 წლის 1 სექტემბრამდე, თუ მის მიერ იმავე თეორიულ გამოცდაზე მიღებული დამაკმაყოფილებელი შედეგი იურიდიული ძალის მქონეა.

[32. მძღოლობის კანდიდატს, რომელიც „CE“, „DE“ კატეგორიების/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებულ იქნა 2024 წლის 31 დეკემბრამდე და რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭება 2024 წლის 31 დეკემბრამდე არსებული წესით.***(ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან)]***

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 11 თებერვლის ბრძანება №99 - ვებგვერდი, 12.02.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 26 ივნისის ბრძანება №489 - ვებგვერდი, 27.06.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №832 - ვებგვერდი, 28.10.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №988- ვებგვერდი, 31.12.2013წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №991 - ვებგვერდი, 11.12.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №1032 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის ბრძანება №335 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 06.12.2021 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 01.02.2022 წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №88 - ვებგვერდი, 08.09.2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №107 - ვებგვერდი, 04.11.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №63 - ვებგვერდი, 23.08.2023წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №65 - ვებგვერდი, 30.08.2024წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2024 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №87 - ვებგვერდი, 04.12.2024წ.

მუხლი 54[1]. „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დროებითი წესი

1. მიტანის მომსახურების (ე.წ. „დელივერი სერვისი“/„საკურიერო მომსახურება“) სფეროში (შემდგომში – მიტანის მომსახურება) დასაქმებულ, მიტანის მომსახურების გამწევ, 18 წელს მიღწეულ ფიზიკურ პირს (შემდგომში – მძღოლობის კანდიდატი), რომელსაც მოთხოვნის მომენტისათვის აქვს 45 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების მართვის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილება, უფლება აქვს, 2022 წლის 20 მარტამდე „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მოიპოვოს მართვის უფლების მისაღები შესაბამისი თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მართვის გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს:

ა) მიტანის მომსახურების გამწევ ორგანიზაციასთან (დამსაქმებელი) დადებული ხელშეკრულებით ან ასეთი ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომლითაც დასტურდება მძღოლობის კანდიდატის მიერ მიტანის მომსახურების სფეროში დასაქმების/საქმიანობის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილება;

ბ) მძღოლობის კანდიდატის განცხადებით, რომლითაც იგი ადასტურებს 45 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებით მიტანის მომსახურების გაწევის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილებას;

გ) მოთხოვნის მომენტისათვის 45 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების მძღოლობის კანდიდატზე რეგისტრაციის არსებობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ მძღოლობის კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ით შესაძლებელია მის მიერ 45 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების კანონიერად ფლობისა და მომსახურების გაწევისას აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილების დადასტურება.

4. ამ მუხლით განსაზვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშულების მართვის უფლების მოსაპოვებლად თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2[1] დანართით გათვალისწინებულ 20 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 20 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა.

5. ამ წესის 21[1] მუხლი არ ვრცელდება ამ მუხლით განსაზღვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე დაშვებაზე, თუ მძღოლობის კანდიდატის თეორიულ გამოცდაზე დაშვება ხდება მიტანის მომსახურების გამწევი ორგანიზაციის (დამსაქმებელი) მიერ წარდგენილი და საგამოცდო სამსახურის მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

6. ამ მუხლით განსაზღვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ მუხლს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის ბრძანება №9 - ვებგვერდი, 01.02.2022 წ.

მუხლი 54[2]. 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირისთვის „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დროებითი წესი

1. 18 წელს მიღწეულ ფიზიკურ პირს (შემდგომში – მძღოლობის კანდიდატი), რომელსაც 2022 წლის 28 მარტამდე ჰქონდა 25 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილება, უფლება აქვს 2022 წლის 26 აპრილიდან 2022 წლის 6 ივნისამდე პერიოდში „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მოიპოვოს მართვის უფლების მისაღები შესაბამისი თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დამადასტურებელი მართვის მოწმობის გაცემის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მართვის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს:

ა) მძღოლობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განცხადებით, რომლითაც იგი ადასტურებს 2022 წლის 28 მარტამდე 25 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის გამოცდილებას;

ბ) მძღოლობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტ(ებ)ით, რომლითაც დასტურდება 2022 წლის 28 მარტამდე მის მიერ 25 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების კანონიერად ფლობის/სარგებლობის ან აღნიშნული მახასიათებელების მქონე სატრანსპორტო საშუალების მის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ სულ მცირე ორი სრულწლოვანი მოწმე წერილობით ადასტურებს მძღოლობის კანდიდატის მიერ არანაკლებ 3 (სამი) თვის განმავლობაში 25 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ- ან სამთვლიანი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების კანონიერად ფლობის ან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის ფაქტს.

4. ამ მუხლით განსაზღვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოსაპოვებლად თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ[2]“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2[2] დანართით გათვალისწინებულ 20 საგამოცდო ტესტს (ბილეთი). თეორიულ გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად მძღოლობის კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 20 წუთის განმავლობაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა.

5. ამ წესის 21[1] მუხლი არ ვრცელდება ამ მუხლით განსაზღვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე მძღოლობის კანდიდატის დაშვების შემთხვევებზე.

6. ამ მუხლით განსაზღვრული წესით „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვების შემთხვევაზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ მუხლს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №31 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 55. დასკვნითი დებულებანი

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1 (ამოღებულია - 18.03.2014, №216)

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 მარტის ბრძანება №216- ვებგვერდი, 19.03.2014წ.

ხაშმარ ძიძრაიის წეგლის ხაგამოცდო ბარათი

№	გამოცდის თარიღი	კითხვებზე გაცემული პასუხები																									შეფასება გამომცდელის ხელმოწერა
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
		26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
		26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
		26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	

გამოცდილების ხელმოწერა « » ---------- 200

№	საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ 2012 წლის 1 აგვისტომდე გაცემული ძველი ნიმუშის მართვის მოწმობით მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების კატეგორია	საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ 2012 წლის 1 აგვისტომდე გაცემული ძველი ნიმუშის მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული მართვის მოწმობით ან „ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობით შეცვლისას ეკვივალენტური სატრანსპორტო საშუალების კატეგორია
1.	„მოტოციკლის მძღოლი“	„A“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
2.	“მძღოლი მოყვარული”	„B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
3.	„მესამე კლასის მძღოლ-პროფესიონალი“	„B“ და „C” კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
4.	„მეორე კლასის მძღოლი“	„BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
5.	„პირველი კლასის მძღოლი“	„BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
6.	„A“, „B“, „C“, ან/და „D“,კატეგორია	„A“, „B“, „C“, ან/და „D“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
7.	„BCE“ კატეგორიები	„B“, „C“, „BE“, „CE“, კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
8	„CE“ კატეგორიები	„C“, „CE“, კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
9	„BDE“ კატეგორიები	B“ „D“ „BE“, „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
10	BCDE“ კატეგორიები	B“, „C“, „D“ „BE“, „CE“, „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
11	„CDE“ კატეგორიები	„C“, „D“ „CE“, „DE“ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
12	„T1“ კატეგორია	„T“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
13	„T2“ კატეგორია	„S“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
14	„T3“ კატეგორია	„ტრამვაის“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
15	„T4“ კატეგორია	„D“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
16	სხვა კატეგორია	შესაბამისი ეკვივალენტის მქონე კატეგორია

1. „პარალელური პარკირება“ **დანართი № 4**



2. **“ ზიგზაგი ”**



3. **შეგლუდული სიგანის შემოსაბრუნებელი უბანი.**



4. ბოქსი ავტომობილის უკუსვლით სადგომზე დასაყენებლად.



5. "რვიანი"





6. „აღმართი“



შენიშვნა:

V – ავტომობილის სიგრძე

H – ავტომობილის სიგანე

Rგ – ავტომობილის უმცირესი მოხვევის რადიუსი
(ავტომობილის გარე გაბარიტული წერტილიდან) მეტრებში

Rშ – შიდა წრის რადიუსი